



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

36  
1909

Զ յ Ե յ Ե Լ Ե Զ

Ն 1

36  
1909

M = 10' = 5020

სამეცნიერო, ზედაგოგირი და სა-  
ლიტერატურო ჟურნალი

# განათლება

წელიწადი მეორე



30/ix-47.

№ I.

1909 წ.



ტფილისი

ელექტრო-მბეჭდავი «მ. მ. მ. ბ. ა.», მოსკოვის და გუნბის ქუჩა № 5—2.

1909



1.	საქართველოს ისტორია. ნაწილი I. ძველი დრო.	
1.	ხუთი და ხაირი: I. საზოგადო შიშობილვა,	
2.	ქართველთა ტომი, მათი უძველესი ბინა და კულტურა.	
3.	ხეთქლთა ძლიერება და რძი მეზობელ ერებთან.	
4.	ხაირ უნარტთა ხანგრძლივი ბრძოლთა აშურებთან.	
5.	ხეთქლთა გავლენა ძველს ბერძნებზე. ს. ქვარაანისა	1—21
2.	სწავლთა აღზრდის საქმე საქართველოში ძველ დრო-დან (IV-ს ) მე XVIII საუკუნის დასასრულამდე.	
I.	სკოლები საქართველოში მე X საუკუნემდე და ბიზანტიელთა ზედ გავლენა. სსმ. ცომიანისი.	21—49
3.	მასწავლებელი. ამბავი ვ. დოროშვილისა, ზ. უდილისა	50—61
4.	ნათქვეყნი. (ლექსი) დ. თომაშვილისა	62—63
5.	ხელოვნთა მასწავლებელი ლ. ბ-ძისა	64—74
6.	სკოლის გამცდილებიდან. სახმო წესით კითხვის სწავლება ან. შუბლაძისა	75—96
7.	ცრუხერცელთა აღმზადელი (მოთხრობა) ვაჟა-ფშაველასი	97—102
8.	მოცუეუბული ლექსი ვაჟა-ფშაველასი	103—104
9.	დაიშხვრა ბარემ! (შინობლოგიური ეტიუდი) ვ. მადაქიაშვილისა	105—112
10.	ზროფესორი ნიკ. იაკობის ძე მარრი. (ბიოგრაფია).	113—114
11.	წინასწარი ცნობა ქართულთა ენის სემიტურს ენებთან ნათესაობის. შესახებ პროფ. ნ. მარრიას თარგმანი და ვ. კარიჭაშვილისა	115—120
12.	ბიბლიოგრაფია: I ხვენი ხალხის განათლება, ხელოვნობა და მეურნეობა ქვემოქართლელთა, გამც. ზაქარია ჭიჭინაძისა II. ილია აღსაზიშვილი ბუნება და ცხოვრება III. გასტონ-ტისანდე მეცნაე რეპისთვის წამებულნი, თარგმნილი ნიკიტიანისა. IV ზოლ-ბერი ბუნების ცოდნა, თარგმნილი ვ. სურგულაძის მიერ	121—125
13.	ძველი უკუდმართობის გამეფება სკოლებში. (წერილი დასავლეთ საქართველოდან). განდგომილისა.	125—128
14.	რედაქციისაკან.	

შარშანდელ ხელის მომწერლებს, ვისაც წლიური ფასი ხუთი მანეთი გადახდილი აქვს, წელსაც ვგზავნებთ ჟურნალ „განათლების“ ნომრებს.

# რელაქციისაგან.

ჩვენი მწერლობის ერთს ნაკლულევენებას, სხვათა შორის, ისიც შეადგენს, რომ დღეს არ მოგვეპოვება ისეთი სერიოზული ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც გამოდიოდეს თავის დროზე შეუფერხებლად. ამას დღეს თითქმის ყველა ჩვენთაგანი გრძნობს, მაგრამ ჯერჯერობით ვერავითარი ისეთი საერთო ღონისძიება გამოგვიძებნია, რომ ეს ნაკლი შეგვევსო. ჩვენში ზოგიერთები ჟურნალ-გაზეთების საქმის წარმოების ბედ-იღბალს ქველმოქმედებაზე ამყარებენ: თუ ვინმე რასმე მოწყალებას გამოიღებს, ჟურნალიც იხიერებს, რადგანაც იგი ბევრს ხარჯს ითხოვს და გასავალი კი არ ექნებაო. რამდენადაც მართალი უნდა იყოს ეს მოსაზრება, თუ ჩვენი მწერლობის მოკლე ისტორიის ახლო წარსულს მოვივინებთ, დავინახავთ, რომ ვერც მარტო ქველ-მოქმედებაზე აგებულს ჟურნალ-გაზეთობას უბოგინია ჩვენში დიდ-ხანს. მაშასადამე ქველმოქმედებაც სუსტია იქ, თუ თვით ჟურნალ-გაზეთების გამო-მოძველებმა სხვა ზომებიც არ მიიღებს ნაწარმოების ბაზრის მოსაპოვებლად, ხელის-მომწერთა და მკითხველთა გასამრავლებლად. ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა იდეური და შეერთებული ძალღონით მუშაობა, რაც, სამწუხურად, დღეს ჩვენში არაა სჩანს. არც ერთს სპეციალურ დროგამოშვებით გამოცემას ჩვენში ჯერ-ჯერობით თავის-თავად არსებობა არ შეუძლიან, რადგანაც რომელი დარგიც უნდა ავიღოთ, არც იმდენი სპეციალისტები გყვანან, რომელიც შეადგენდნენ მკითხველების საკმაო რიცხვს და ისიც ვინც არიან, ან სრულიად არაფერს კითხულობენ ქართულად, ან ზოგი ნაწილი უფრო უცხო მწერლობას ეტანება და ქართული არაფრად ებიტნავენა. რომ უფრო ფართოდ შევხედოთ ამ საკითხს, ცხადად დავინახავთ, რომ დღევანდელი პირობების მიხედვით ჩვენში საზოგადო მრავალ შინაარსიან ჟურნალს უნდა ჰქონდეს მეტი გასავალი, რადგანაც მხოლოდ ასეთს ჟურნალს შეუძლიან მიიზიდოს და დააკმაყოფილოს მომეტებული რიც-

ხვი მკითხველთა. ამ აზრით ხელმძღვანელობდით, როცა შრან-  
 შან წამოვიწყეთ ჟურნალ „განათლების“ გამოცემა, მაგრამ სა-  
 სურველად ვერ განვახორციელეთ ჩვენი მიზანი უფრო იმის  
 გამო, რომ საჭირო ძალები ჩვენში ფრიად დაქსაქსული აღმოჩნ-  
 და დასაშუალებაც მცირე; ხოლო ორიოდე კაცი კი, მოგვხ-  
 სენებათ „კამაშიაც ბრალიაო“ და რაც უნდა ენერჯის პატ-  
 რონი იყვნენ, მარტო ვერას გახდება, თუ შეერთებულად, ერთად  
 თავ-მოყრით, სოლიდარულად და კოლექტიურის ძალღონით  
 არ გაუძღვებიან საერთო საქმეს. დღეს ჩვენში ზოგიერთი  
 წრეები ჰფიქრობენ ცალკე კრებულის გამოცემას სიტყვა-კაზ-  
 მულის მწერლობიდან, არის ყოველ-კვირეული ჟურნალიც,  
 რომელიც სიტყვა-კაზმულის და ხელოვნების პროგრამის გა-  
 ნხორციელებას ადგას და სხვაც, მაგრამ ყველას იმდენად შემო-  
 კლებული აქვთ საფანელი, რომ სულსა ჰღათავენ და დღეს თუ  
 ხვალ ის ბედი მოელისთ, რაც ბევრს ჩვენს ჟურნალ გაზეთებს  
 რგებიათ ხვედრად. ზოგიერთებსაც ჟურნალ-გაზეთების გამო-  
 ცემის უფლება ჯიბეში უდევთ და შეჰყურებენ დროს, იქნება  
 ვინმემ ციურ მანანასავით რამე გადმოგვიგდოს და საქმეს შეუდ-  
 გეთო. მაგრამ მანანა არსაიდანა სჩანს და საქმე შეჩერებულია.  
 იქნება გამოჩნდეს კიდევ ვინმე გულ-უხვი გულ-შემატკივარი  
 ჩვენის მწერლობისა და მართლაც გამოიღოს რამე თანხა  
 ჟურნალ-გაზეთების გამოსაცემად, მაგრამ მარტო ეს საქმეს  
 არ უშველის, თუ შეერთებულს ძალ-ღონეს არ ავამუშავებთ  
 და ზოგჯერ პირად ინტერესს და კერძო თავ-მოყვარეობასაც  
 კი არ შევწირავთ საზოგადო საქმეს, თუ ამას ქვეყნის სიკე-  
 თე მოითხოვს. დიახ, ერთი მიზეზთაგანი ჩვენი მწერლობის  
 ნაკლისა ჩვენ შეუთანხმებლობაში, ჩვენს დაქსაქსულობაშია,  
 ისედაც მცირედი ძალის გაფანტვაში, განცალკევებით მოქმე-  
 დებაში, რომელიც ყოველთვის უძლური არისდა იქნება.

„განათლების“ რედაქცია იწვევს ჩვენი მწერლობისა და  
 ხალხის განათლების გულ-შემატკივართ საერთო მოქმედებისა-  
 კენ. მარტო სიტყვა კაზმული მწერლობა და ხელოვნება არ  
 კმარა, დროა მკითხველები შევაჩვიოთ მშობლიურს ენაზედ  
 სამეცნიერო წერილების კითხვასაც, ამას მოითხოვს, როგორც  
 მთელი ერის, აგრეთვე მშობლიური ენის ინტერესიც, რადგანაც  
 ენის განვითარებაც მეცნიერების განვითარებასთან არის  
 შეკავშირებული და ენა ვითარდება და შეინახვება არა მარ-  
 ტო ბელეტრისტიულს, არამედ სამეცნიერო ნაწარმოებშიაც,  
 ან ორივეში ერთად.

# საქართველოს ისტორია.

ნაწილი I. ძველი დრო.

## I ხეობი და ნაირი.

### 1. საზოგადო მიმოხილვა.

დღეს უკვე ცნობილია, რომ კავკასია—მცირე აზიის ხალხებს დიდი როლი უთამაშნიათ უძველეს დროში და დიდი გავლენა ჰქონებიათ ძველს ისტორიულ ერებზედ. მაგრამ რაში იხატოდა ეს როლი და გავლენა, რას წარმოადგენდა მათი კულტურა, რა ტომის ხალხები იყვნენ თვით ისინი, რა რიგ განვითარდნენ და რა კულტურა შეჰქმნეს,—ყოველივე ეს სრულიად უცნობი იყო ამ ბოლო დრომდე.

მეცნიერთა საოცარმა ენერჯიამ და თავგანწირვამ სძლია და ანუსხა სავსებით რომის და საბერძნეთის წარსული და მალალი ცივილიზაცია, ეგვიპტის, აშურ-ბაბილონის, ფინიკიის, პალესტინის, კართაგენის და სპარსეთის ძველი კულტურა. მეცნიერებამ ჰპოვა კლიტე და ამოიკითხა იეროგლიფები და ლურსმული წარწერანი; არქეოლოგიამ მიწის თხრით ამოაჩინა ძველი სამეფო ტროა, იპოვნა გმირ აქილეს საფლავიც კი, მაგრამ ამ მეცნიერებამ, ამ ბოლო დრომდე, ვერარა უყო მცირე აზიის და კავკასიის მკვიდრთა წარსულს. ეს რჩებოდა დღემდე ამიყანათ და ამის აუხსნელობა აჩენდა დიდს გაუვალ ხრამს, ჰქმნიდა ვრცელს ღია ფურცელს ისტორიულ მეცნიერებაში და მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში.—მაგრამ მეცნიერებამ ახსნა მრავალი საოცარი ამიყანა, ახადა ფარდა ბუნების და ცხოვრების საიდუმლოებათ, მოჰფინა სხივი მრავალ მოვლენათ: ექვი არაა არც ეს ამიყანა დარჩებოდა აუხ-

სნელი. ეს ითხოვდა მხოლოდ დროს და აჰა დროც მომწიფდა მისთვის!

პირველი საფუძველი კავკასია-მცირე აზიის უძველეს ისტორიის შესწავლას ვანის წარწერებმა ჩაუდგა. ამ 30 წლის წინათ სომხებმა გადმოიღეს ეს ლურსმული წარწერანი კლდეებიდან და ძველ ნანგრევებიდან, ვანის ტბის მიდამოებში და წარუდგინეს ისინი ამოსაკითხათ ევროპის გამოჩენილ მეცნიერ-ორიენტალისტებს. სომხებს ეს წარწერანი თავიანთ წინაპართა ნაშთი ეგონათ და ჰფიქრობდნენ, რომ მით მოჰფენდნენ ნათელს თავიანთ წარსულს და უძველესს კულტურას, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ; ევროპის საუკეთესო მეცნიერებმა, დიდის ცდის შემდეგ, ამოიკითხეს ეს წარწერანი და იცვნეს ისინი ქათუჯად და ანა სომხურად. სიტყვები, გრამატიული ფორმები და სხვა თვისებანი ამ ვანის წარწერებისა აშკარად ამტკიცებდა მასთან ქართული ენის ნათესაობას და არავითარ კავშირს არ ნასკვავდა სომხურთან. ეს წარწერანი ნათლად დადასტვდნენ, რომ სრულიათ სომხეთის მიწა-მამულზე უძველეს დროში ბინადრობდნენ თურმე სომეხთა ნაცვლათ ქათუჯათა ტომნი, ფრიად კულტურულნი, ძლიერნი და გავლენიანნი.

ეს ვანის წარწერანი შეიქმნენ მეცნიერთათვის დიდებულ აღმოჩენათ და იმ თილისმის წკვებლათ, რითაც შეეძლოთ აეხსნათ კავკასია-მცირე აზიის ხალხთა საიდუმლო წარსული. ორიენტალისტები ჩამოვიდნენ კავკასია მცირე აზიაში, შეუდგენ ძველ აკლდამების თხრას, ძველ ციხე-ნანგრევთა გაცნობას, მკვიდრთა ენების შესწავლას, აშურ-ბაბილონის და ეგვიპტის უძველეს ნაშთთა და ნაწერთა შემოწმება-გადაშინჯვას და ამათი შემწეობით ამ მეცნიერთ გარდაეშალათ თვალ წინ დღემდე უცნობ ხალხთა მიერ რამდენიმე ათას წლის წინათ შექმნილი მაღალი კულტურა და ცივილიზაცია.

ახალი სხივი მოეფინა მსოფლიო ისტორიას. ამიერიდან ავსებოდა ისტორიის კაბადონის ღია ფურცელი; ამიერიდან გაუვალ ხრამზე კეთდებოდა ხიდი, ამიერიდან შესაძლო ხდებოდა სიმართლით აეხსნათ კაცობრიობის კულტურის უძველესი ხანა.

ამ დიდებულ საქმეს მოჰკიდეს ხელი ევროპის შესანიშნავმა ორიენტალისტებმა. მათ ბევრი რამ ახალი აღმოაჩინეს, ბევრი რამ საგულისხმო შემატეს ისტორიულ მეცნიერებას, მაგრამ გაცილებით მეტი დარჩათ კიდევ აუხსნელი და გაუგებარი. საქართველოს უძველესი ისტორია სრულიათ შესასწავლათ კიდევ დიდ დროს და დიდ სამეცნიერო შრომას მოითხოვს. როდის დამთავრდება ეს შესწავლა, ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ რაც აქამდე აღმოჩენილა ქართველთა შესახებ ნათლათ მოწმობს ამ ერის ფრიად განვითარებულ კულტურას და მისს დიდ როლს მსოფლიო ისტორიაში.

## 2. ქართველთა ტომნი, მათი უძველესი ბინა და კულტურა.

მცირე აზიის უზარმაზარი სივრცე და ამიერ კავკასიის სამხრეთი ნაწილი უხსოვარ დროში დასახლებული იყო უმთავრესად ერთი მოდგმის და ერთ ენაზე მოსაუბრე ნიჭიერ და ლამაზი ხალხით. ეს ხალხი იყო ქართველები. — მდინარე ორონთას ვრცელი ველი, ჰალისის შვენიერი ხეობა, ტიგრის და ფრატის ტყიანი სათავეები, ვანის და ურმიის ტბების ტურფა ნაპირები, არეზის, ჭოროხის და რიონის ნაყოფიერი ვაკენი, შავის და ეგეის ზღვის შემკული მიდამოები და ლიბანის ბორცვები, 3-4000 წლის წინათ ქრისტეს მოსვლამდე, მოფენილი იყო ქართველთა ტომებით. საღი და თბილი ჰავა, ლამაზი, ნაყოფიერი და მრავალ-ფეროვანი ბუნება, ზღვების სიხლოვე, ვრცელი ტბების და დიდი მდინარეების სიმრავლე, მადნების სიუხვე და მასთან კულტურული ერების მეზობლობა ქართველთა წინაპართ აძლევდენ საშუალებას მაღალი კულტურა და ცივილიზაცია შეექმნათ. ეს ხალხი იყოფოდა ორ დიდ შტოთ: ხეთი დი ნაინი. ხეთნი ანუ ხეთელნი ბინადრობდენ კავკასია-მცირე აზიის დასავლეთსა და სამხრეთ ნაწილებში და ეკავათ ფრიად დიდი ადგილები. ნაირები კი ცხოვრობდენ



აღმოსავლეთით აშურ-ბაბილონის მეზობლათ.—რომ მათგან <sup>მართლაც</sup> ზემო მოხსენებული ადგილები ძველათ ეკავათ ქართველ წინაპრებს, ამას მოწინობენ იქაური ციხე-ქალაქთა აურაცხელი ნანგრევები ქართულ ზეწარწერებით და განსაკუთრებით მთაგორათა, ხევ-მდინარეთა, ქალაქ-სოფელთა დღემდე შერჩენილი ქართული სახელები; მაგ, თიანეთი, ჩხურუმი (დაბა), თავია (დაბა) მუყური, თამარზე, ორგუბე, სარმურ სახლი, ჭიჭაკის მთა, ერჯიშის მთა, თეჯირის მთა, აცმურის მთა, ვაცურის მთა, ორთაყვის მთა, ფარხალი—დედა-მთა, ქალა, ტახის კარი, ენგური (მდინარე), ქიზიყი, ონი, თავშავის მთა, ქაჯთ-კარი, ქუთაია, ატენი და სხ.

კილიკია, პაფლაგონია, პონტი, ლიდია და კაბადოკია, ყველა ეს ვრცელი ადგილები ძველად დასახლებული იყო ხეთებით, რომელნიც ესაზღვროდნენ სირიასა და ეგვიპტეს. ნაირებს კი ეკავათ ტიგრის სათავე და ვან-ურმიის ვრცელი მიდამოები. ნაირი იყოფოდა სამ ტოტათ: თუბაღი, მისოხი და უჩარტუ ანუ აჯარფაი. კულტურის მხრივ ყველა ეს ხალხები იდგნენ თითქმის ერთგვარ სიმაღლეზე. ამ შესანიშნავმა ხალხებმა კიდევ 30 საუკუნის წინათ ქრისტეს მოსვლამდე მოიგონეს ლითონის ხმარება და შეასწავლეს მეტალურგია იმ დროს კულტურულ ხალხებს. რკინა-ფოლადის ხმარება იცოდნენ პირველათ მხოლოდ ძველმა ქართველებმა და ვაჭრობდნენ მეზობელ ერებთან, როგორც ამ ლითონებით, ისე ოქრო-ვერცხლით, კალა-სპილენძით, ტყვიით და ბრინჯაოთი. ეს ლითონები და მათგან გაკეთებული იარაღ-სამკაულები ვაჭრონდათ ზღვით ხეთელ ქვეყნიდან განსაკუთრებით თინიკიელ ვაჭრებს და ავრცელებდნენ მთელ ქვეყანაზე. თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს მეტალურგიას კაცობრიობის პროგრესისათვის, ეს ვინ არ იცის! ამ რიგათ ამ ლითონთა ხმარების მოგონებით და შესწავლით, ძველმა ხეთმა და ნაირმა მოუტანეს კაცობრიობას ფრიად დიდი სარგებლობა.

ამ ლითონთა ხმარებას თუბალ-მოსოხთა მიერ იხსენიებს თვით მოსე თავის „დაბადებაში“. არსებობს აგრეთვე შესანიშნავი ლეგენდა თუბალ-კაენზე, ლამეხის შვილზე, რომელმაც

პირველათ მოიგონა რკინა-ფოლადის ხმარება. არის ეტიდევ  
 მეორე უფრო შესანიშნავი ლეგენდა ამირანზე (პრომეთეოს-  
 ზე), რომელმაც მოიტაცა ზეკიდან ღვთიური ცეცხლი, მისცა  
 იგი უმწეო ადამიანს, შეასწავლა მას ლითონის ხმარება  
 და სხვა და სხვა ხელოვნება, თითონ კი ამ „კანდიერ“ მოქ-  
 მედებისთვის იქნა ღვთისაგან (ზევესისგან) დასჯილი და მი-  
 ჯაჭვული კავკასიონის ქედზე, სადაც ამ დიდებულ გმირს გა-  
 უმძღარი ორბი ყოველ დღე უჭამდა გულ-ღვიძლს. ეს პრო-  
 მეთე, ეს ამირან გმირი ის ქართველი ერია, რომელიც გამხ-  
 დარა ძველათ კაცობრიობის დიდი ოსტატი, გამოუვლია  
 რამდენიმე ათასის წლის წამებანი და დღეს დაკნინებული,  
 კავკასიონის ქედს შეფარებული ყვავ-ყორანთაგან იფლი-  
 თება... აი რას სწერს საფრანგეთის ცნობილი მეცნიერი ლე-  
 მორგანი:

— „პრომეთეოსი, (ამირანი) ეს ციური ცეცხლის მომტა-  
 ცებელი, ითვლება მეტალურგიის პირველ მომგონეთ. თვით  
 მოსე იხსენიებს თუბალ-კაენს, ანუ თუბალ-მქედელს, რომე-  
 ლიც სქედდა რკინა-ფოლადის იარაღს 3000 წლის წინათ  
 ქრისტეს მოსვლამდე. დიახ, ეს ფრიად ცნობილი ხალხი ლი-  
 თონთა ხელოსნობით, ეს თუბალები ცხოვრებდნენ მცირე  
 აზიაში, არმენიასა და მცირე კავკასიონის ახლოს. სჩანს, რომ  
 მცირე აზიაში, არმენიასა და კავკასიაში ცხოვრებდნენ თუ-  
 ბალები, მოსოხები და ხეთები ანუ გითები, რომელნიც ხში-  
 რად გამარჯვებით ებრძოდნენ ფარაონთა იარაღს. ეს ერნი,  
 რომელთა ისტორია დღეს ძლიერ ცოტათაა ცნობილი, იყ-  
 ნენ მრეწველნი და ვაჭარნი. პოლიტიკურის მხრივ მათი  
 მდგომარეობა იყო მეტად მტკიცე და შესანიშნავი. ყოველი-  
 ვე ცნობა აშკარად გვასწავებს, რომ ამ ერებს სკოდნიათ  
 რკინის ხელოსნობა, რითაც სარგებლობდნენ აშურ-ეგვიპ-  
 ტელნი. თუბალ-მოსოხთა დიდი სახელი, რასაც იხსენიებენ  
 უძველესი წყაროები, ნათლად გვამცნევს თუ რად უცქერ-  
 დნენ ებრაელნი და ბერძნები კავკასიას, როგორც ლითონ-  
 თა სათაურს და მეტალურგიის აკვანს“. <sup>1)</sup>

<sup>1)</sup> De Morgan: „Mission Scientifique au Caucase“, p. 190—194.

მეტალურგიასთან ერთად ხეთ-ნაირებმა შექმნეს სრული-  
ათ ორგინალური იეროგლიფები, კარტოგრაფია, პოლიტი-  
კური ფორმები, გააფითარეს მხატვრობა, ქანდაკება და გან-  
საკუთრებით ხუროთ-მოძღვრება. ახლაც განცვიფრებაში მოჰ-  
ყავს მნახველი მცირე აზიაში ხეთელთა უძველეს ციხე-დარ-  
ბაზთა ნაშთებს თავისი სიღიადით, ჩუქურთმებით, სვეტებით  
და ქანდაკებით. ძველ მწერალთა გადმოცემით ხეთელ მოგზა-  
ურთ ხელთ ეკავათ კურბისა, ე. ი. ქვის ან ხის ფირფიტზედ  
ამოჭრილი ქვეყნის რუქა და მით იკვლევდენ გზას. ამათგან  
ეს რუქები გადიდეს ფინიკიელებმა, ბერძნებმა და სხვა ერებ-  
მაც.—ხეთი და ნაირი თითქმის ერთრიგათ იცვამდენ; ჩოხა-  
ახალუხი, სარტყელი, კრაველის ქუდი, მაღალყელიანი ჩექმა  
და მგზავრობაში ნაბად-ჩაბალახი, აი რა წარმოადგენდა მათ  
ხამოსელს. ისინი ამ გვარ სამოსით არიან გამოხატულნი ძველ  
ნანგრევებზე და ეგვიპტის პირამიდებზე,—ამგვარ სამოსელს  
იცმენ დღესაც მათი შთამომავალნი, თანამედროვე ქართველ-  
ნი: ომის დროს მათ ეცვათ ფოლადის აბჯარი; შუბი, მოკ-  
ლე ხმალი, შვილდ-ისარი, ლახვარი და შურდული,—აი მა-  
თი იარაღი! ომში ხმარობდენ ეგრეთვე ორცხენიან ეტლს.  
ხეთი და ნაირი იყვნენ სულგრძელი, გულკეთილი, თავდადე-  
ბული, მასთან მეტათ მამაცი და რაინდი ხალხი.

ხეთელთ უმთავრესი ღმერთები: ბრძოლის ღმერთი სუტუ-  
ხა, მისი მეუღლე ცაზედ ეტლით მავალი ქალ-ღმერთი ანთა,  
მთვარის ღმერთი თუთა (მეგრ. თუთა=მთვარე), მზის ღმერთი  
ხუთ, (ხუთ=ლუთა=ღვთაება) და ბესი ანუ ბჰჰა, მეუღლე  
სამების ღმერთის ფთასა.

ნაირთა უმთავრესი ღმერთები: ზეირბა (მზე), ქაღდი  
(მთვარე) და არდინა (არსი). (ქალდი=ქართლი=ქართლოსი=  
ქართველი).

რწმენით და ზნე-ჩვეულებით ხეთნი მეტად ჰგვანდნენ ეგ-  
ვიპტელთ, ნაირნი კი აშურ-ბაბილონელთ, რომლებთანაც  
მათ დიდი ურთიერთობა ჰქონდათ.

მეცნიერ დემორგანის აზრით ხეთელთ და ნაირებს 3000-  
წლის წინათ ქრ. მოსვლამდე შეუქმნიათ ძლიერი ფეოდალუ-

რი სახელმწიფო, ჰყოლიათ მუდმივი, კარგათ შეიარაღებული და გაწოთენილი ჯარი, ჰქონებიათ სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი, კარგად განვითარებული მეურნეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, ყოფილან თითქო შუამავლნი მაშინდელ კულტურულ ხალხთა შორის, მათი შემაერთებელი რგოლი, ჰქონიათ მათთან აღებ-მიცემობა, გაუხსნიათ ინდოეთზე სავაჭრო გზა, ყოფილან მეტალურგიის უპირველესი მკოდნენი და მასწავლებლნი ელინთა ანუ ძველი ბერძნებისა. ამ სახით ამ ჩვენს დიდებულ წინაპართ მსოფლიო ისტორიაში დიდი როლი აუსრულებიათ და აქტიური მონაწილეობა მიუღიათ კაცობრიობის კულტურაში.

### 3. ხეთელთა ძლიერება და ომები მეზობელ ერებთან.

როგორც ზევით ვთქვით, ხეთნი იყვნენ ფრიად ძლიერი და მრავალ რიცხოვანი ხალხი, ეპყრათ დიდი ადგილები, შეიცავდნენ დიდს ფეოდალურ სახელმწიფოს და ჰყავდათ ძლიერ განვითარებული და კარგად შეიარაღებული ჯარი. ხეთელთ ჰქონდათ ორი სატახტო ქალაქი ქადეშა მდ. ორონთაზე და კახემიში ეფრატზედ. ორივე ქალაქი იყო მეტათ ვრცელი, გარემოცული მაგარი კედლებით და შემკული უზარმაზარ ციხე-დარბაზებით. ამ მხრივ განსაკუთრებით შვენერი იყო კარხემიში; იგი თავისი კარგი მდებარეობით წარმოადგენდა დიდს სტრატეგიულ სიმაგრეს და იყო ძველი აღებ-მიცემობის ცენტრი, ვინაიდან იდგა ორს მთავარ სავაჭრო ტრაქტის გზა-ჯვარადინზედ. ამის გამო ეს ქალაქი იყო ფრიად მდიდარი და გავლენიანი. ბოლოს იგი შეიქმნა მთავარ ქალაქათ და ხეთელთ კულტურული ცხოვრების ცენტრად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხეთებმა დააკავშირეს ერთმანეთს იმ დროის კულტურული ხალხნი ვაჭრობა-მრეწველობის მხრივ, ვინაიდგან ხეთელთ ეკავათ მათ შორის შუაგული ალაგი და მით მიოტანეს კიდევ დიდი სარგებლობა. ეგვიპტელი, ბერძენი, სირიელი

და ფინიკიელი ცალი მხრით, აშურელი, ინდოელი, სპარსი და ბაბილონელი მეორეს მხრივ, ყველანი კარხემიში იყრიდნენ თავს სავაჭრო მიზნით და ეცნობოდნენ ერთმანეთს. ქარავნებით მოტანილ აურაცხელ საქონელთან ერთად ამ ქალაქში აუარებელი სიმდიდრეც იყრიდა თავს. ქანდაკება და მეტადრე ხუროთ-მოძღვრება ისეთი განვითარებული ჰქონდათ ხეთელთ, რომ მათ ჰბაძავდნენ მეზობელი ერნი. სხვათა შორის აშურთა ერთ დიდებული სასახლის ნანგრევებზე ხორსაბადში სწერია: „ავაგე ესე დიადი სასახლე აშურთა დიდებულმა მეფემ სარგონმა ხეთელთა მეფის სასახლის მიბაძვით“.

აი რას ამბობს ცნობილი მეცნიერი მასპერო ხეთელთ კულტურის შესახებ: ხეთელთა ქვეყანა შუა იდვა ორს უმთავრეს ქვეყნებს, ქალდეასა და ეგვიპტეს შორის, ამის გამო იგი შეიქმნა ერთ დიდ ადგილად აღმოსავლეთისთვის. ამ ხალხს ჰქონებია დიდად განვითარებული ცივილიზაცია, საკუთარი ლიტერატურა და აყვავებული მწერლობა. მათი წარწერანი იეროგლიფურია, სრულიად განსხვავებული ეგვიპტურისგან და დღემდე მათი წაკითხვა ხელთ არ ეძლევათ მეცნიერთ. <sup>1)</sup>

ხეთელთა ქანდაკება და შენობათა ნანგრევები მოფენილია მთელს მცირე აზიაში, განსაკუთრებით ბევრია ისინი კაპადოკიაში, სადაც ბლომათაა არამც თუ კლდეთა ქანდაკებანი, არამედ მთელი ქალაქები და სასახლეები ლომებიან ქიშკრებით. ხეთელთ ხელოვნების ნაშთნი ყველაზე ბლომათ აღმოაჩინეს ბოლოს ხევში. აქვე აღმოაჩინეს ხეთელთ მეფეთა ღერბი ფრთავიანი აწივი, რომელიც შემდეგ მიუთვისებიათ თურქებს, საშუალო საუკუნეში კი ეს ღერბი შეუტანიათ ევროპაში ჯვაროსნებს და ამ რივად ხეთელთა ღერბი გადაქცეულა დღეს გერმანიის, ავსტრიის და რუსეთის ღერბათ.

თავის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებაში სულ მუდამ მოსვენებით არ ცხოვრებდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები-ხეანი. მათ ჰქონდათ დიდი შეტაკება მეზობელ ერებთან, სი-

<sup>1)</sup> მასპერო: „Histoire ancienne de peuples de l'orient“. p. 178—179.

რიელებთან, აშურებთან და განსაკუთრებით ეგვიპტელებთან ერთ დროს თითქმის მთელი სირია დაპყრობილი ჰქონდათ ხეთელთ და დიდხანს ეკავათ ხელში სირიის სატახტო ქალაქი დამასკი. აშურთა ძველს ასტრონომიულ კრებულში ვკითხულობთ: „ოცსა დღესა იყო მზის დაბნელება, (3800 წლის წინათ ქრ. მოსვლამდე), ხეთელთა მეფე დაეცა ჩვენს ქვეყანას და დაიპყრო ტახტი“.—ვინ იყო ეს ხეთელთა მეფე, არაფერი ვიცით. ეს კი ცხადია, ერთ დროს ხეთელთა სამეფო ყოფილა ისეთი ძლიერი, რომ არამც თუ იგერიებდა ძლიერ მებრძოლებს, არამედ ეცემოდა კიდევ ისეთ დიდ სახელმწიფოებს, როგორც იყო აშურეთი და იპყრობდა მათ. მცირე აზიაში ხეთელთ ჰყავდათ დაპყრობილი 11 ხალხი: ნაპარინა, აროზა ანუ ალოზა, ინუა, სინიარი, თუა, ქაბეშა, ტუნები, ტახისი, ასუ, ბალანუ და არაბხა; ჩრდილოეთით კი რამდენი ხალხი ჰყავდათ დაპყრობილი, ამის შესახებ ცნობა ჩვენ არა გვაქვს. დემორგანი ამბობს: „იმ დროს, როცა ხეთელთა ძლიერება უზენაესად განვითარდა მათი გავლენა და ბატონობა მოედვა ვრცლათ მცირე აზიას, სადაც ისინი იყვნენ მეთაურნი და პატრონნი რამდენიმე საუკუნეში, ამის კვალი სჩანს ხეთელთა ხელოვნების ნაშთებში, რითაც მოფენილია თითქმის მთელი მცირე აზია“.

აქვე უნდა შევნიშნათ, რომ ხეთელთა და ნაირთა ცხოვრების პირველი ხანა იკარგება დროთა წყვედიადში და მეცნიერებას ვერ მიუკვლევია ჯერ მისთვის. მეორე ხანა ეგვიპტელთა ხანა; იგი საკმაოდ გრძელია, 3000 წლიდამ XIV საუკუნემდე ქრ. წინათ. აქ პირველი ადგილი ეკუთვნის ხეთებს. ამ ხალხს ხანგრძლივი ომი ჰქონდა ეგვიპტელებთან, გამარჯვება ხან ერთს რჩებოდა, ხან მეორეს; ამავე დროს ხეთელთ ჰყავდათ მრავალი დამორჩილებული ხალხი კავკასიამცირე აზიაში და შეიქმნენ ერთხანს ფრიად საშიშარი ფარაონთათვის. ბოლოს გამარჯვების სასწორი იხრება ეგვიპტისკენ და დამარცხებული ხეთნი სტოვებენ თან და თან თავიანთ ბინას, იწვევენ ჩრდილოეთით და ეფარებიან კავკასიონს. შე XIV საუკუნედან ამ შესანიშნავი ერის სახელი თითქო

ჰქრება და მის ნაცვლათ ისტორიულ ასპარეზზე გამოდიან კაბადოკიელნი, ლაზები, ანუ ქანები და კოლხები, რომელნიც წინათ არ სჩანდნენ. ეჭვი არაა, ხეთნი დაბინადდნენ იმ ადგილებში და სახელიც შეეცვალათ, რაც მეტათ ხშირი მოვლენაა. 2200 წელს ქრ. მოსვლამდე ხეთელთა დიდი რაზმები შეესიენ ეგვიპტეს და დაიპყრეს ეს ვრცელი ქვეყანა. 500 წლის განმავლობაში ფარაონების ტახტზე აღიოდა ხეთელთა მეფის დინასტია, დაბოლოს, როგორც იყო, ეგვიპტელებმა დაახწიეს თავი ამ გიქსების ანუ „მწყემსების“ ბატონობას, როგორც ეძახდნენ ისინი ხეთებს. მე XVIII საუკუნედან ასტყდა ხეთ-ეგვიპტელთა შორის მედგარი და საშინელი ომი, რომელმაც გასტანა თითქმის 400 წელს. ამ ბრძოლაში გამარჯვება რჩებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს. განსაკუთრებით ისინი გადაეკიდნენ ერთმანეთს სირიის დაპყრობის გამო და ეს საბრალლო ქვეყანა კოზაკივით ისრისებოდა ამ ორ საშინელ ვეშაპს შორის. იგი ხან უვარდებოდა ხეთელთ, ხან გადადიოდა ეგვიპტელთა ხელში.

მიუხედავად საშინელ ომებისა, ეგვიპტელნი მეტად აფასებდნენ ხეთელთა გამირობას, რაინდულ ხასიათს და მიაჩნდათ ისინი თავიანთ თანასწორათ. მასთან ეძახდნენ დიდ ერს. ფარაონ თუთ მე III დროს ხეთნი შეიქმნენ უძლიერეს ერად და დაიპყრეს სირიის ჩრდილოეთის ნაწილი. მე XV საუკუნეში კი ხეთელთა ბატონობა გავრცელდა ყველა მეზობელ ხალხზე და დაიკავეს პირველი ალავი. ამ ერის გავლენა ისე გაიზარდა, რომ ეგვიპტის წარწერებში ხეთელ მეფეთა და ღმერთთა სახელებს დიდის პატივით იხსენიებდნენ.

„ეგვიპტელთა მეთვრამეტე დინასტიის ბოლოს ხეთებმა დაიკავეს უპირატესობა, გადმოთელეს და დაიპყრეს სემიტები და მათი ქვეყნები, ლუდი და არამი, დაიპყრეს აგრეთვე ჰამათი, გაიხადეს თავიანთ მოხარკეთ და სამხრეთის სიმაგრეთ მდ. ორონთაზედ დაიპყრეს ქალაქი ქადეში და გაავრცელეს თავიანთი ბატონობა დამასკამდე“, ამბობს დემორგანი.

— აი რას ამბობს შესანიშნავი მეცნიერი ლენორმანი ხეთელთა შესახებ:— „სჩანს, რომ ხეთელ მეფეთა უმთავრესი

საქმე ყოფილა ომები. მათი დიდი ჯარები ჰყოფილან კარგად გაწყობილნი, გაწვრთნილნი და შვენივრათ შეიარაღებულნი. ეგვიპტელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი იჩენდენ შესანიშნავს და თითქმის მეცნიერულ ტაქტიკას. ეს ჯარი იყო შემდგარი ორი ელემენტისაგან: ეროვნულ ლაშქრიდან და დაქირავებულ უცხოელთაგან, რომელნიც მორჩილებდენ ხეთელთა სარდლებს. ეროვნული ჯარი იყო ქვეითი და ცხენოსანი. ხეთნი იბრძოდნენ მკვრივე და ღრმა ფალანგებათ და იყვნენ შეიარაღებულნი შუბებით და მოკლე ხმლით. <sup>1)</sup>—ეგვიპტელნი დაქანცულან ხეთებთან ბრძოლით; ფარაონს სეტი I-ს შეუურავს მათთან ზავი და შერიგების ნიშნათ შეურთავს ცოლათ ხეთელთა მეფის ხეთასირას ქალი. სიძეს დაუპატიჟნია სიმამრი თავის ამალით ეგვიპტეში და იქ დღესაც ნათლათ სჩანს ერთ პირამიდაზე დახატული სეტი I, ხეთასირა და მისი ქალი. მათ მიერ შეკრული ზავის პირობა, პაპირუსზე ნაწერი, ეხლაც ინახება ბრიტანის მუზეუმში, მეცნიერი მასპერო ამ ზავის პირობას ანუ ტრაქტატს სთვლის უუძველეს დიპლომატიურ საბუთათ, რომელმაც კი ჩვენამდე მოაღწიაო.

აი რას ამბობს ამ საბუთის შესახებ ლენორმანი: „ეს ხელშეკრულობა, რომელშიაც ორნივე მხარენი, ე. ი. ორივე სახელმწიფონი არიან დასახულნი ტოლებათ და რომელიც შეიცავს ახალ ფაქტს აღმოსავლეთის ისტორიაში, გვიჩვენებს იმავე დროს ეგვიპტელთა ძალის დაცემას და ხეთელთა ძლიერების ამაღლებას“.

ამის შემდეგ დიდხანს ვერ გასტანა მშვიდობიანობამ და მყუდროებამ ორ დადებულ ერთა შორის. კვლავ აღმოხდა ქარქაშიდან ბასრი მახვილი, კვლავ გაითამაშა ჰაერში მწვავე ისარმა, კვლავ დაეძგერენ ერთმანეთს ორი უძლიერესი და უგანათლებულესი ერი, ამ ჟამათ კი საკვდო-სასიცოცხლოთ. მსოფლიო ასპარეზი უნდა დარჩენოდა ან ერთს, ან მეორეს. ამიერიდან კაცობრიობის კულტურის სათავეში უნდა დარჩენილიყო ან ხეთი, ან ეგვიპტელი. ორი ბუმბერაზი დაეტაკა

<sup>1)</sup> ლენორმანი: „les origines de l'histoire“, ტ. II გვ. 296.



ერთმანეთს; დაახლოვებით 1311 წელს ქრ. მოსვლამდე, ასტყდა საშინელი ომი ფარაონ რამზეს II-სა და ხეთელ მეფის მათუტეს შორის, ეს ომი იყო ყველაზედ უფრო მკაცრი და სისხლის მღვრელი. ორივე მხრივ იყო თანასწორი კულტურა, თანასწორი სიმამაცე და ერთრიგათ გაწვრთნილი ჯარი. ამ შემთხვევაში ბრძოლის ბედს გადაწყვეტდა ჯარის სიმრავლე და სარდლის გენიოსობა. ეს უპირატესობა კი ჰქონდათ ეგვიპტელთ. გაეხვია ბნელ ბურუსში ხეთელთა ბედის ვარსკვლავი; დასძლია ხეთნი ეგვიპტელთა სიმრავლემ, დაამარცხა ხეთელთა ლაშქარი რამზეს II-ის გენიოსობამ. ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ სასტიკათ დამარცხდნენ გულადნი ხეთნი. გატყდა მათი ფიზიკური და სულიერი ძალა. მძვინვარე რამზესი შეესია ხეთელთ ქვეყანას და ააოხრა მდიდარი სოფლები და ქალაქები, დაატყვევა აუარებელი ხალხი...

შესწყდა ხეთელთ კულტურის ნაკადული. ხეთებმა დასტოვეს თან და თან თავის აოხრებული სოფელ-ქალაქები და მიწა-მამული, დასტოვეს ორონთას ველი და გასწიეს დასავლეთით და ჩრდილოეთით. ისინი შეეფარნ კავკასიონის მთებს, გამაგრდნ მდ. ჭოროხის და რიონის ვაკე-ხეობებში და დაირქვეს ახალი სახელი კოლხნი. ამ ახალი სახელით მათ კიდევ დიდხანს აცვენეს თავი მთელს ქვეყანას.

გათავდა მსოფლიო ტრაგედიის პირველი აქტი. დაიწყო მეორე ისტორიული ხანა. მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა სამოქმედოთ ქართველი ერის მეორე შტო ნაიბი.

#### 4. ნაირ-ურარტთა ხანგრძლივი ბრძოლა აშურებთან.

მეცამეტე საუკუნედან ქრ. წინათ იწყება აშურთა ხანა. მსოფლიო ისტორიის სათავეში დგება სემიტთა ძლიერი ტომი—აშურა. ეს ერი იპყრობს ქალდეას, ჰქმნის უზარმაზარ იმპერიას მესოპოტამიაში და აცხადებს თავის მსოფლიო ბატონობას 500 წლის განმავლობაში. აშური ამარცხებს და იპყრობს

ყრობს მეზობელ ერებს, მიდიას, სპარსეთს, ფინიკიას, პალესტინას და ხეთთა აღმოსავლეთ ნაწილს. ამ გრძელს ხანაში იწყება ჩრდილოეთით აშურთა მიერ საშინელი ომები ნაირურარტთა დასაპყრობათ. ეს სისხლის მღვრელი ომი გრძელდება თითქმის 200 წელს და თავდება ქართველ ტომთა საზოგადო დამარცხებით.

როგორც აღვნიშნეთ კიდევ, ქართველთა ტომის მეორე დიდი შტო-ნაიჩი ცხოვრებდა ძველათ მცირე აზიის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით, განსაკუთრებით ვან-ურმიის და ჩირდილის ტბების მიდამოებში და აგრეთვე არეზის ველზე. ამ ადგილებში ნაირებმა დაარსეს მაგარი ციხე-ქალაქები, გაავითარეს მეურნეობა, ვაჭრობა-მრეწველობა და შეჰქმნეს საკმაოდ ძლიერი სამეფოები.

ნაირი იყოფოდა მრავალ თემებათ; მაგ, თებალი, მოსონი, ურარტუ, აბერზანი, ერიანი, ვანი, არდინი, ატურგიანი, კიდარი, პილაკინი, აზანი, უდური და სხ. მათ შორის ყველაზედ უფრო ძლიერი და კულტურული იყო თემი უჩარტუ ანუ ალარდა (ალბანი). ურარტუს სამეფოს ერქვა აგრეთვე ბიანს; მისი სატახტო ქალაქი იყო ტუშსა.


ურარტთა მეფეებმა დაგვიტოვეს მრავალი ლურსმული წარწერანი, რითაც საესეა დღესაც ვან-ურმიის მიდამონი. საუბედუროთ ნაირთა მრავალრიცხოვანი თემნი არ იყვნენ შეერთებულნი ერთ დიდ მონარქიათ აშურთა მგზავსათ, არამედ იყვნენ დაყოფილნი წვრილ დამოუკიდებელ სამეფოებათ, რომელნიც ვაჭირების დროს აარსებდენ ურთიერთ შორის დროებით კავშირს ურარტთა თაოსნობით, მაგრამ ეს კავშირი მტრის წასვლისათანავე ისპობოდა. ამის შესახებ სამართლიანათ შენიშნავს მეცნიერი დემორგანი, რომ ეს ხალხნი მეტად თავმიცემულნი იყვნენო. მათ რომ შეექმნათ ერთი მტკიცე მონარქია, აშურნი ვერას დააკლებდნენ და ადვილათ შეეძლოთ დაეპყრათ ერთიანათ აშურთა იმპერია, რადგან ნაირნი იყვნენ მეტად გულადნი და მეომარნი, მაგრამ მუდამ თავმიცემულობით დაღუპეს თავიანთი თავიო.

აშურთა ომები ნაირთა წინამდევ იწყება მეფერთმეტე

საუკუნეში ქრ. წინათ. აშურთა ხელმწიფემ თიგლათ-ფალასარმა გადმოვლო მდ. ეფრათი და მოადგა ნაირთა ქვეყანას. აქ დახვდა მას 23 მეფეთა შეეერთებული ჯარი. მოხდა საშინელი ბრძოლა და დამთავრდა აშურთა გამარჯვებით. ეს იყო პირველი ძლიერი ტალღა, რომელმაც შეარყია ნაირთა ქვეყანა, მაგრამ ვერ ასწავლა ჰკუა ჩვენს თავმიცემულ წინაპართ. აშურთა წარწერა მოწმობს, რომ თიგლათ-ფალასარს წაუღია ნაირთა ქვეყნიდან ვაზი და გაუვრცელებია იგი აშურეთში. მეცხრე საუკუნედან ხელახლად იწყება საშინელი ომები აშურ ნაირთა შორის. ეს ომები გძელდება თითქმის ორას წლამდე. ამ ჟამად ნაირთ სამეფოთა სათავეში დგება ძლიერი თემი ურარტუ ურარტუს მეფენი მოკავშირეთა ჯარებით არა ეთრხელ ამარცხებენ სამხრეთის მძვინვარე მტერს აშურს და არბევენ მის ქვეყანას. ამ ხანაში აშურ-ურარტთა ბედი ეკიდა სასწორზე და არვინ იცოდა თუ ვის დარჩებოდა ბატონობა მსოფლიო ისტორიის ასპარეზზედ.

— მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში აშურთა მეფემ აშურ-ნასირ-აბალმა დაიპყრო ხეთნი, ფინიკია, ხმელთა შუა ზღვის ნაპირები და შემოესია ნაირთა სამეფოებს. სალმანასარ II მრავალჯერ შეესია და ააოხრა ხეთელთ ქვეყნები, მასვე მოუხდა დიდი შეტაკება ნაირებთან. ურარტუს მეფემ არამმა სამჯერ დაამარცხა და განდევნა საზღვრებიდან აშურთა ლაშქარი. 844 წელს სალმანასარი ხელახლა შეესია ნაირს. 12 წლის შემდეგ იგი ამარცხებს ურარტთა ძლიერ მეფეს სედურს. ეს სედური შესანიშნავია მით, რომ დაარსა ფრიად მაგარი ქალაქი ტუპსა. ეს ქალაქი იყო აშენებული მაღალ კლდეზე, სამი მხრით შემოზღუდული იყო მაღალი მთებით, მეოთხე მხრივ კი იყო ვანის ტბა. ეს ურარტთა სიმაგრე უზრუნველ ჰყოფდა ამ ერს სამხრეთის მხრივ და ამტკიცებდა ჩრდილოეთით მის ბატონობას. ურარტთა მეფე სედური იწოდებოდა ამ რიგათ: „მეფე დიდი, მეფე შეძლებული, მეფე მსოფლიოსი, მეფე მეფეთა, მეფე, რომელსაც მობარკვობენ ყოველი მეფენი“<sup>1</sup>.

1) იხ. მ. ჯანაშვილი: „საქართველოს ისტორია“.



სარდურის შემდეგ ურარტუს მეფობდნენ იშპუინი და მისი ძე მენუა. იშპუინმა თავი ისახელა მით, რომ ურარტულენაზე გააწყო აშურ-ბაბილონისებური სამწერლო ნიშნები. მენუამ კი გაითქვა სახელი შესანიშნავ შენობებით და ხეთელთ ქვეყანაში გალაშქრებით. მაგრამ ურარტუს ყველაზედ უფრო დიდებული მეფე იყო მენუას ძე არგისტი. ამ მეფემ რამდენჯერმე გაილაშქრა აშურთა წინააღმდეგ და დაამარცხა სასტიკათ. ვანის ტბის მიდამოებში არგისტიმ დაგვიტოვა კლდეებზე უდიდესი წარწერანი, რითაც ნათლათ სჩანს ურარტელთა უპირატესობა მცირე აზიაში. ამ დროს ურარტუს სამეფო იყო მეტათ ძლიერი და საკმაოდ ვრცელი. არგისტის ომებმა მეტათ დაასუსტეს აშურეთი; ძლევა მოსილმა მეფემ წაართვა აშურეთს ჩრდილოეთის ნაწილები და გამაგრდა ეფრატზე. ამან გამოიწვია აშურეთში დიდი აჯანყება, დაახლოებით 746 წელს. კიდევ ერთი შეტაკება და მსოფლიო ისტორია მიიღებდა სულ სხვა მიმართულებას, მაგრამ, საუბედუროთ, ურარტუმ ვერ ისარგებლა ამ იშვიათი მომენტით; იგი მიეცა განცხრომას და მოსვენებას; აშურთა ტახტზე კი ამ დროს ავიდა დიდებული მონარქი და შესანიშნავი სარდალი თიგლათ-ფალასარ II. მან შეჰკრიბა ურიცხვი ჯარი და შეესია ურარტუს. ამ დროს დიდი არგისტი არ იყო ცოცხალი. მტერს შეებრძოლა მისი შვილი სარდურ II, მაგრამ დამარცხდა სასტიკათ. აშურთ ჩაუვარდათ ტყვეთ 72,950 კაცი.

20 წლის შემდეგ, ე. ი. 735 წელს თიგლათ-ფალასარი დიდის ლაშკარით ისევ დაეძგერა ურარტუს სამეფოს, აიღო მრავალი სიმაგრე, განადგურა ქვეყანა, მაგრამ ვერარა დააკლო ქალაქ ტუპსას; შემდეგ დაიპყრო ფინიკია, სირია, პალესტინა, დაანგრია დამასკი და ძლევამოსილი დაბრუნდა ბაბილონს. 731 წელს აშურთა მეფემ დაამარცხა 23 მეფე და მათ შორის კოლხთა მეფე დადილი და ვასსამი, ტიბარენტა მთავარი. ამ რიგად გაჩაღდა მედგარი ბრძოლა ორ დიდებულ ერთა შორის საკვდო-სასიცოცხლოთ. ან აშურა, ან ურარტუ, ორივეს ერთად დარჩენა შეუძლებელი გახდა. 15 წლის შემდეგ ურარტუს მეფემ ურსამ შეჰკრიბა დიდძალი ჯარი, დაი-

ხმარა მოკავშირე ხალხები და გაემართა აშურთა დასაპყრო-  
ბათ, მაგრამ დიდებულმა სარდალმა მეფემ თიგლათ-ფალასარ-  
მა აღარ დააცალა: დაეცა ცალ-ცალკე ურარტუს მომხრე  
თემებს და შემუსრა ისინი; და ბოლოს სასტიკათ დაამარცხა და  
უკუ აგდო თვით ურარტთა მეფე ურსა. ურსამ თავი მოიკ-  
ლა, რადგან ამ ბრძოლაში დაპყრობა თავისი კერპები. 713—  
711 წლებში აშურთა მეფემ სარგონმა სრულიად შემუსრა  
ურარტთა ძლიერება. ასე სამწუხაროთ დასრულდა ეს ხან-  
გძლივი ტრაგედია! დაეცა ნაირ-ურარტუ, ამაღლდა და მსო-  
ფლიოს ბრძანებლათ გადიქცა აშური, მაგრამ დიდხანს კი?  
არა. ურარტთა დამარცხებით მან დააჩქარა თავისი სიკვდი-  
ლიც; გახსნა ჩრდილოეთის გზა და გაუადვილა შემოსევა  
ჩრდილოეთის ბარბაროსთ: სკვითებს, კიმერიელთ და არიელ-  
თა ბოგანო ხალხებს. ამათი ძლიერი ტალღა შედგრათ დაეძ-  
გერა აშურთა მდიდარ იმპერიას და დაამსხვრია იგი, აშურთა  
მემკვიდრეთ მსოფლიო ისტორიის სარბიელზე გამოვიდნენ  
სწახსნი.

რა დავმართათ ნაირ-ურარტუს? ამათ თან და თან  
გაიწიეს ჩრდილოეთით და დაბინავდნენ მტკვრისა და ალა-  
ხან-ივრის ვაკე-ხეობებში, ავრეთვე შეათარეს თავი კავკასიო-  
ნის მთა-გორებს, ამასთან ერთად შეეცვალათ სახელიც. მათ-  
ში უმთავრესი შეიქმნა სამი თემი: ივერი, ალბანი და მსო-  
ხი, ანუ ქართლელი, კახელი და მესხი.

სიტყვა ივერი წარმოსდგა თუბალისაგან ამ რიგათ: თუ-  
ბალი=თიბელი=თიბერი=იბერი=ივერი; ალბანი კი წარ-  
მოსდგა ურარტუსაგან; ურარტუ=არარატუ=არაროდი=ალა-  
როდი=ალბანი. ამ რიგათ ნაირ ურარტუსაგან წარმოსდგა  
სამხრეთის და აღმოსავლეთის საქართველო. ამათ ქრისტეს შემ-  
დეგ საუკუნოებში ითამაშეს სამჩნევი როლი. ნაირ-ურარტთა  
ძველს ბინას კი დაეპატრონენ მეშვიდე საუკუნეში ქრ. წი-  
ნათ მათი მეზობელი ხალხი აწმუქლები ანუ აწმინებები, ე. ი.  
სომხები.

## 5 ხეთელთა გავლენა ძველს ბერძნებზე.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ხეთელთა რამდენიმე თემი ცხოვრობდა ძველათ ეგეისა და შავი ზღვის ნაპირებზე და შეიცავდნენ ზღვის სამეფოებს. მათში განვითარებული იყო ნავოსნობა და ვაჭრობა-მრეწველობა ფინიკიელთა მსგავსად. ბევრი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მოხუც პრიამის, შვენიერ პარისის და გმირ ჰექტორის სამშობლო, ძველი სამეფო ტროია იყო ხეთელთა რომელიმე თემით დასახლებული. ელადის ძლიერმა ტალღამ შემუსრა ტროიელთა სამეფო, მაგრამ მას ვმსხვერპლენ ბერძენთ საუკეთესო გმირებიც. ეს კი ცხადია, რომ მდიდარი და შვენიერი ლიდია იყო ძველად დასახლებული ხეთელთა თემით. ლიდიელნი იყვნენ ფრიად კულტურული ხალხი, შესანიშნავი მეომარნი, მაგრამ თავმიცემულნი, მასთან უყვარდათ ქეიფი და დროების ტარება. ლიდიის მეფის კრეზის საარაკო სიმდიდრე ხომ დღესაც ანდაზათაა დარჩენილი. მისი სატახტო ქალაქი ფეესი იყო შემკული შესანიშნავ სასახლეებით დი ქანდაკებით, მაგრამ ხელოვნების ნამდვილ საკვირველებას წარმოადგენდა დიდებული ტაძარი ხეთელ ქალ-ღმერთის ათარგატის სახელზედ აგებული. ეს ტაძარი იყო თურმე ისე შვენიერი, ისეთი მაღალ ხელოვნებით შემკული, რომ ითვლებოდა მსოფლიოს შვიდ საკვირველბათა შორის. მეშვიდე საუკუნეში ქრ. წინათ ეს დიადი ქმნილება კაცის ხელისა დასწვა ერთმა შეშლილმა ბერძენმა ჰეროსტრადემ და მით ისახელა თავი ისტორიაში.

ბოსფორის სრუტედან დაწყებული, ვიდრე კავკასიონის ქედამდე, შავი ზღვის ნაპირას, უზარმაზარ სივრცეზე კიდევ 13—14 საუკუნეში ქრ. წინათ ცხოვრობდა ხეთელთა დიდი შტო კოლხნი და აქედან მათ ქვეყანას დაერქვა სახელათ კოლხიდა. სწორედ ამ ქვეყანას შეეფარნენ მცირე აზიიდან გადმოსახლებული ხეთელთა თემნი ეგვიპტელთა მიერ საბოლოოთ დამარცხების შემდეგ და დაირქვეს სახელათ კოლხნი.

კოლხნი იმ თავითვე წარმოადგენდნენ დიდ კულტურულ ხალხს და იღვანენ იმ დროს კულტურით გაცილებით მაღლა

იმ ბერძნებზე, რომელნიც ეწვიენ მათ გასაცარცვათ მეფე აეთის დროს და რამაც დაბადა ლეგენდა მედია-იაზონზე და ოქროს საწმისზე. ეს ძველი ლეგენდა მოგვითხრობს, თითქო თესალიის (საბერძნეთის) მეფის შვილი ფრიქსი, მამისაგან გამოქცეული, მოსულიყოს კოლხიდაში ქალაქ აიას ოქროს საწმისიან ვერძით. კოლხიდის მეფე აეთმა მიიღო ფრიქსი მეგობრულათ და მიათხოვა ცოლათ თავისი ასული ქალკიოპე. ფრიქსმა ვერძი შესწირა კოლხთა ღმერთს არეას, მის ოქროს საწმისი კი დაჰკიდა ხეზე არეას ტაძართან, აეთმა მცველათ მიუჩინა ოქროს საწმისს ცეცხლის მფრქვევი ვეშაპი. ცუდი სიზმარის გამო აეთმა მოჰკლა თავისი სიძე ფრიქსი, მისი ორი ვაჟი კი გაიპარა თესალიაში; იქ მათ შეჰკრიბეს იაზონის მეთაურობით საბერძნეთის საუკეთესო გმირები, ჰერეკლე, დიოსკურები, ორფეი და სხ., ჩასხდენ ხომალდ არგოში და მოვიდნენ კოლხიდას. აქ იაზონს ნახავს მეფე აეთის უმცროსი ქალი შვენიერი მედია. ქალ-ვაჟის გულში აღიძვრის სიყვარული. მედია დალატობს მამას; ის აძლევს იაზონს ჩუმათ სხვა და სხვა თილისმას, რითაც იაზონი ჰკლავს ვეშაპს, ცეცხლის მფრქვევ ხარებს და ვეშაპის კბილებით ამოსულ გოლიათებს, იტაცებს ოქროს საწმისს, ჰკლავს აეთის ვაჟს ეგიალს, მიდის ჩუმათ საბერძნეთში და მიჰყავს თან მედიაც.

ეს არის ძველი ზღაპარი კოლხ-ბერძენტთა ვაჭრობის შესახებ ოქროს სილით, რაც ბლომათ იშოვებოდა იმ დროს როინ-ენგურის სათავეებში. დაუბრუნდეთ უფრო საგულისხმო ფაქტებს.

ბუნების ცვლილებამ და მეტადრე ისტორიის გრიგალმა დასცა და გაანადგურა დიდი ეგვიპტე, მძლავრი აშურ-ბაბილონი, მეზღვაური ფინიკია და მაღალ კულტურული ხეთნაირი. ურთიერთ შორის მკაცრმა ომებმა, სამხრეთ რუსეთის და შუაგულ აზიის ბარბაროსებმა დასცეს ეს დიდი სახელმწიფოანი. გატილდენ ერთ დროს აყვავებული და მაღალ ხელოვნებით შემკული ნილოსის, ტიგრ-ფურატის, ორონთ—ჰალისის ვრცელი ვაკენი და ვან-ურმიის მიდამონი. დაინგრა განათლებულ ერთა დიდი ზღუდენი, დაინგრა ფივი, მემფისი,

ბაბილონი, ნინეფია, ქადეში, კარხემიში, ტუპსა, დამასკი, ტირი და სიღონი; გაჰქრა საუკუნოთ მცირე აზიის და მის მეზობელ ერთა მაღალი ცივილიზაცია. მათ სახსოვრათ დღეს დაგვრჩენია მხოლოდ უზარ-მაზარ ციხე-დარბაზთა, კედელთა და ტაძარ-აკლდამათა ნანგრევები, იეროგლიფები, ლურსმული წარწერანი, სფინქსები, ობელისკები და ცამდე აწვდილი პირამიდები, რომლებმაც გაუძღეს შეუშუსრავათ 5000 წელს და დღესაც დინჯათ დაცქერიან სარკოვან ნილოსს, თითქო ჰკითხულობენ მის გულში მსოფლიოს საიდუმლოებას. ვინ იცის რამდენ ხანს შეჩერდებოდა მსოფლიო ისტორიის წინსვლა, რომ ამ დიდებულ, გარდასულ ერებს არ გასჩენოდა მალე ღირსეული მემკვიდრე! მსოფლიო ისტორიის ეტლი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გადიხარა ჩრდილო-დასავლეთისკენ, აზიიდან გადავიდა ევროპაში. ცივილიზაციის დროშა ხელთ იპყრო პაწია ელადამ. კაცობრიობის პროგრესის სათავეში ჩადგა მხნე და ნიჭიერი ბერძენი.

ფრიად დიდი განძი, სულიერი და ნივთიერი ჰხვდა წილად ახალ მემკვიდრეს. მას სჭირდებოდა მხოლოდ ამ განძის განვითარება. ეგვიპტემ უანდერძა ბერძენს მათემატიკა, მექანიკა და ფილოსოფია, აშურ-ბაბილონმა ასტრონომია, ფინიკიამ შეასწავლა ვაჭრობა-მრეწველობა და მეზღვაურობა, გააცნო ძველი ქვეყნები და სავაჭრო ცენტრები ხმელთა შუაზღვის ირგვლივ და გადასცა განვითარებული ანბანი, — ეს დიდებული განძი. განსაკუთრებით გავლენა კი ბერძენთა გონება-ხელოვნებაზე ჰქონდათ ხეთელთ. ხეთელთა შვენიერი სასახლეები, ციხე-დარბაზები და დიადი ტაძრები სიმბოლოებით, ხეთელთა განვითარებული ქანდაკება, მხატვრობა და მუსიკა შეიქმნენ იმ ძვირფას ნიმუშებათ, რაზედაც აჰყვავდა მალე ელინთა ზენაარი ხელოვნება. ხეთელთა რელიგია, მითები და საერთოდ სიტყვიერება დაედვა სარჩულათ ბერძენთ მითებს, პანტიზმს, პოეზიას და ლიტერატურას.

ბერძენი გაეცნო ხეთს კიდევ 1300 წლის წინათ ქრ. მოსვლამდე და გამართა მასთან აღებ-მიცემობა. მეთათე-მეთერთმეტე საუკუნეში ეგვისა და შავი ზღვის ნაპირები კავკასია-



მცირე აზიის მხრივ იცვება ელინთა ახალშენებით. ამ ხეთთა და კოლხთა ქვეყნებში ბერძნები აარსებენ დაბა-ქალაქებს და სავაჭრო ცენტრებს. აი სწორეთ აქ დაუახლოვდნენ ისინი ხეთელთ, აქ დაეწაფნენ მათ ნივთიერსა და სულიერ კულტურას, აქ შეითვისეს მათი მრეწველობა, ხელოვნება, რელიგია, ფილოსოფია და საერთოდ გონების ნაწარმოებნი. აი ეს ელინთა ახალშენები დგებიან მთელი საბერძნეთის ცივილიზაციის სათავეში; აქ ჩაღდება საბერძნეთის მაღალ კულტურის პირველი კერა, აქედან იწყება ძველი ელადის ცივილიზაცია; აქ ჩნდებიან პირველათ მათი საუკეთესო პოეტნი, ისტორიკოსნი და ფილოსოფოსნი, მაგ., ჰომიროსი, თალესი, პითაგორი, ჰეროდოტე და სხ. ამ რიგათ ხეთნი შეიქმნენ ძველი საბერძნეთის ოსტატნი, გააჩაღეს ნიჭიერ ხალხს შორის მსოფლიო ცივილიზაციის დიადი კერა და მით დასდევს მთელს ევროპას და მთელს კაცობრიობას უსაზღვრო ღვაწლი და მოუტანეს დიდი სარგებლობა.

აი რას ამბობს ამის შესახებ ინგლისის მეცნიერი რ. ანდერსანი: „ევროპის ცივილიზაციის სათავე ხეთელთა ანუ გიტთა ცივილიზაცია და ევროპა მაღლობელი უნდა იყოს ხეთების, ვინაიდან დასახლება საბერძნეთის კულტურას ხეთელთაგან არის მიღებული. ბევრ ალავას, მცირე აზიაში, კაცი შეხვდება აწ გარდასულის, მაგრამ ოდესღაც ბრწყინვალე კულტურის კვალს, შდ. ჰალისის ახლოს ეიკში დღესაც მოჩანს დანგრეული კედლები ხეთელთ უზარმაზარ სასახლეთა, დიდრონ რვაკუთხიან თლილი ქვისაგან ნაშენთა. სასახლეებში მიმავალგზას ინახავდა ქვისგან გამოქანდაკებული ლომები. ალავათის კარებზე კი ამოჭრილია სფინქსები. თვით შენობა ბაბილონის კოშკებისამებრ ხელოვნურ ბორცვებზედაა აგებული. ამბობენ, რომ ეს საზაფხულო სადგომი იყო ქადემის მფეებისა. (ქადეში ხეთელთა სატახტო ქალაქია). სპეციალისტები—ჰერალდიკები გაიკვირებენ, რომ ორთავიანი არწივი გერმანიის, ავსტრიის და რუსეთის ღერბისა წარმომდგარა თურმე ხეთელთ აწ გამქრალ ხელოვნება-სიმბოლიზმისაგან, რადგან ორთავიან არწივს ხეთელთ ნაშთებზე ხშირათ ვხვდებით. ეს

ორთავიანი არწივი ჯერ თურქმენების მეფეთ "მეუთვისებრივად", შემდეგ კი ჯვაროსანთ შეუტანიათ ევროპაში" <sup>1)</sup>).

— ასე დასრულდა ხეთის და ნაირის სამეფოთა არსებობა, მათი ბრწყინვალე კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში. მათ ნაცვლათ ისტორიის ასპარეზზედ გამოდიან შედარებით სუსტი და ნაკლებ რიცხოვანი მათი შთამომავალნი კლასი და ივერი.

ს. ქვარიანი.

სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში ძველ დროიდან (IV ს.) მე-XVIII საუკუნის დასასრულამდე <sup>2)</sup>.

## I

სკოლები საქართველოში მე-X საუკუნემდე და ბიზანტიელთა ზედგავლენა.

სწავლა-აღზრდის საქმეს საქართველოში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ბიზანტიელთა ზეგავლენით, ქართველების მიერ ქრისტიანობის მიღების შემდეგ. ე. ი. მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრიდან.

სრულ ცნობებს სკოლების ტიპების შესახებ ძველ ივერიაში და მათი ორგანიზაციაზე ჩვენ დრომდე არ მოუღწევია. მარა, სამაგიეროდ, ჩვენ ხელთ გვაქვთ დიდ ძალი მწერლობითი ნაშთნი სამშობლო ენაზე მეცნიერების და ხელოვნურ ლიტერატურის სხვა-და-სხვა დარგიდან, რომლების შემწეობით დაახლოვებით მაინც შესაძლოა დაიხატოს სურათი ძველ ივერიაში სწავლა-აღზრდისა. ანალიზი თვითოეულ საუკუნის გონებრივ ნაწარმოებისა დაგვანახვებს — თუ რა მეც-

<sup>1)</sup> რ. ანდერსანი: „Исторія вымершихъ цивилизаціи.“ გვ. 66.

<sup>2)</sup> წაკითხულ იქმნა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კრებაზე პეტერბურგში 5 ნოემბერს 1908 წ.

ნიერებაში იყო განსწავლული ავტორი ამა თუ იმ ნაწარმოებისა და საზოგადოდ—რა სიმაღლეზე იდგა სწავლა-განათლების საქმე საქართველოში ამა თუ იმ ეპოქაში.

ამასთანავე ჩვენი მიზანი უფრო ადვილი მისაღწევია, თუკი ვიხელმძღვანელებთ შედარებითი მეთოდით და გავითვალისწინებთ სწავლების სისტემას იმ ქვეყნებში, რომელთა კულტურულ გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა ივერია თავის ისტორიულ ცხოვრების სხვა-და სხვა ხანაში.

როგორც ვიცით, პირველი მძლავრი კულტურული ზედგავლენა ივერიამ განიცადა ბიზანტიისაგან. ქრისტიანობასთან ერთად „დიდმა მონარქიამ“ შესძინა „გიორგიანელებს“ სწავლა-აღზრდის სისტემაც, რომელიც მთელი ათი საუკუნის განმავლობაში, ვიდრე კონსტანტინოპოლის აღებისა მაჰომედ II-გან (1453 წ.), მტკიცედ იყო დაცული საქართველოში<sup>1)</sup>.

გამავრცელებელი სწავლა-განათლებისა ძველად—სამღვდელოება (ეპისკოპოს—მღვდლები) პირველად საქართველოში სულ ბერძნები იყვნენ. ეკკლესიის თავი—მთავარ-ეპისკოპოსი—კათოლიკოსებიც მთელი ორას ორმოცდა ათი წლის განმავლობაში სულ საბერძნეთიდან ინიშნებოდნენ.<sup>2)</sup> ცხადია—საქმის

1) რომ დიდი იყო ბიზანტიის ზედგავლენა კერძოდ სწავლა-განათლების საქმეში საქართველოში, სხვათა შორის, მტკიცდება იმ შემთხვევიდანაც, რომ საწერ იარაღის და მასალის ცნებების გამოსახატავი ტერმინები, როგორც არიან, მაგალითად, მელანი (μελανιον) და კალამი (καλαμαριον)—ქართველებს ბერძნებისგან უსესხნიათ (იხ. А. Хановъ— „Очерки по ист. груз. словеси“.—В. II, стр. 19).

საზოგადოდ ბიზანტიის კულტურულ გავლენის შესახებ საქართველოზე იხ. проф. Н. В. Покровский: Миниатюры еванг. гелатск. монаст. XII в.—СПБ. 1887 г. стр. 1—4; Журн. М. Н. Пр. за 1898 г. сент. стр. 56—93 статья В. Сокольскаго: „Греко-рим. право въ улож. царя Вахтанга VI-го“; прот. К. Кекелидзе: Литург. памятн. въ отеч. книгохр. и их. научн. значеніе“ (магистер. диссертация) Тифл. 1908 г... и др.

2) პირველი ქართველი კათალიკოსი „ადგილობრივ საქართველო-

ამისთანა მდგომარეობა ხელს უწყობდა ბიზანტიურ სწავლა-აღზრდის სისტემის განმტკიცებას საქართველოს სკოლებში, სადაც, უეჭველია, მეოთხე საუკუნის დასასრულიდან გამეფდა საბერძნეთის სკოლების პროგრამა და სწავლების მეთოდები.

რა სახის ან როგორი აგებულობის იყვნენ საზოგადოდ სკოლები ბიზანტიაში?...

ცნობილია, რომ ბიზანტიაში მეხუთედან მეთე საუკუნემდე შემდეგი ტიპის სკოლები არსებობდა: სამეფო, საპატრიარქო, საეპისკოპოსო, სამონასტრო, საეკლესიო წერაკითხვის სკოლებთან ერთად და კერძო სასწავლებლები.

სამეფო სასწავლებელი იყო სახელმწიფო და ინახებოდა მეფის ხარჯით. იქ მეფის და მისი ნათესავების შვილების გარდა დიდ-დიდი ბოზოლების და სახელმწიფოს წარჩინებულ პირთა და არისტოკრატთა შვილებიც სწავლობდნენ. ეს სასწავლებელი მხოლოდ კონსტანტინოპოლში არსებობდა.

საპატრიარქო სკოლა პატრიარქის სასახლესთან იხსნებოდა; მას ინახავდა საპატრიარქო ხაზინა.

საეპისკოპოსო სასწავლებლები ეპისკოპოსთა კათედრებთან არსებობდნენ და იქ სწავლა ეპისკოპოსების ხარჯით სწარმოებდა.

სამონასტრო სკოლები მონასტრებთან იყო დაარსებული; ისინი მონასტრის ხარჯით ინახებოდა და მათი მახლობელი ხელმძღვანელობა მონასტრის წინამძღვარს ჰქონდა მინდობილი.

უფრო მრავალ რიცხოვანი და ყურადღება მიქცეული

შივე ქართველ წარჩინებულთა მიერ ამორჩეული და ანტიოქიის პატრიარქისგან ხელ-დასხმული“ იყო საბა I (542—551) მეფე ფარსმან VI (542—553) და საბერძნეთის იმპერატორის იუსტინიანე I დროს (527—565).—იხ. „ქართლ. ცხოვრ.“ გამ. ზ. ჭიჭინაძისა.—წ I, გვ. 151; „ქრონიკები“—თ. ჟორდანიასი.—წ. I, გვ. 52 (შენიშვნა სხოლიოში); მ. ბროსე—„საქარ. ისტ.“—ნაწ. I, გვ. 85—86.—თარგ. სიმ. ლოღობერიძისა; მღვდ. პ. კარბელაშვილი—„იერარქია საქართ. ეკლ.“ გვ. 52).

საბერძნე თში საეკლესიო სკოლები იყო; ეს სკოლები სოფელად და ქალაქებში ეკლესიებთან არსებობდა. მათი ხელმძღვანელობა დაჰკისრებული ჰქონდათ მღვდლებს და ადგილობრივ კრებულს. მთავრობა ამ სასწავლებლებს არავითარ დახმარებას არ უწევდა. სწავლება უფასო იყო, ამ სკოლებიდან გამოდიოდნენ წერა-კითხვის მცოდნე პირები.

კერძო სკოლები-კი მდიდარ და ცნობილ ბიზანტიელთა სასახლეებში არსებობდა. როგორც ახლაც ძველადაც მდიდარ და შეძლებულ პირებს ჩვეულებად ჰქონდათ შვილების სახლში აღზრდა. ამისთვის ჰქირაობდნენ ცალკე ოსტატ-მასწავლებელს (როგორც ახლა გუფერნიორს). ხშირად რამდენიმე ოჯახი ერთად შეერთდებოდა და ერთი მასწავლებლითაც იოლად მიდიოდნენ.

ყველა ესენი დაბალი სასწავლებლები იყო ბიზანტიაში.

მაგრამ დაბალ სასწავლებლების გარდა ბიზანტიაში არსებობდა უმაღლესი სასწავლებლებიც, ანუ აკადემიები, სადაც მეცნიერება აყვავების უმაღლეს წერტილზე იდგა.<sup>1)</sup>

რა საგნებს ასწავლიდნენ ბიზანტიის სასწავლებლებში და საზოგადოდ რომელი მეთოდით სწარმოებდა იქ სწავლება?

დაბალ სასწავლებლებში პირველად კითხვას ასწავლიდნენ; კითხულობდნენ, ვარჯიშობდნენ ჟამნზე, მამათა ცხოვრებაზე... ასწავლიდნენ კითხვას ანალიტიკური მეთოდით. ხოლო ხშირად არავითარ მეთოდს არ მისდევდნენ და სწავლება სწარმოებდა უსისტემოდ, უმეთოდოდ (ἀμύθητῶς).

1) აკადემიამ უმაღლეს სახელმწიფო სასწავლებლის უფლება მიიღო საბერძნეთში მეზუთე საუკუნეში იმპერატორ თეოდოსე II დროს. მაშინ აკადემიაში 28—30 პროფესორი ირიცხებოდა და აკადემიის უფროსი ანუ რექტორი (σχοινομειχὴς ἡμῶν) მასწავლებელთა კორპორაციიდან ირჩეოდა განსაზღვრული დროთი.

პირველად აკადემია ხალკობრატის ეკლესიასთან იყო მოთავსებული, ხოლო მეცხრე საუკუნიდან (მიხეილ III-დან) ცალკე მაგნავრის სასახლეში გადავიდა. (იხ. „Христ. чт. 1884 г. № 5. — статья проф. Н. Скабалановича: „Византийская наука и школы въ XI в.“).

კითხვას თან მოსდევდა წერა, რასაც მეტად დიდ ყურადღებას აქცევდნენ. წერის დროს უმთავრესი იყო ორთოგრაფიის, კალიგრაფიის და ტახიგრაფიის შესწავლა — შეთვისება. კარგ მწერლად ის ითვლებოდა, ვისაც სწორი, ლამაზი და ჩქარი წერა შეეძლო. მეტად ძვირად ჰფასობდა ლამაზი მწერალი და მას ცხოვრებაში დიდი შემოსავალიც ჰქონდა — და ეს იმიტომ, რომ მაშინ წიგნის ბეჭდვა არ იყო და წიგნები ვრცელდებოდა გადამწერლების შემწეობით.

კითხვა — წერას ანუ წერა-კითხვას ხშირად ერთად, ერთსა და — იმავე დროს ასწავლიდნენ, თუმცა ხშირი იყო იპისთანა მაგალითიც, როდესაც პირველად კითხვას (ანბანს) ასწავლიდნენ და შემდეგ კი წერას.

წერა-კითხვას საეკლესიო გალობა და გრამატიკა მოსდევდა. გრამატიკის შემდეგ პოეტიკას გადიოდნენ, რომლის გაკვეთილებზე მოწაფეები ეცნობოდნენ სამშობლო პოეტების ნაწარმოებს, ენის და შინაარსის მხრით.

პოეტიკაში ხანგრძლივ ვარჯიშობის შემდეგ ბავშვები დაბალ სასწავლებლებში ლექსების წერას (στίχοις ἄρσιον) ეჩვენებდნენ. სახლშიაც აძლევდნენ მათ სავარჯიშოდ ლექსებს საწერად და აგრეთვე სკოლაშიაც აწერინებდნენ ექსპრომტად.

დაბალ სასწავლებლებში უკანასკნელ წელში გეოგრაფია, ისტორია და არითმეტიკაც ისწავლებოდა.

ასეთი იყო საზოგადოდ პროგრამა დაბალ სკოლებისა საბერძნეთში. მაგრამ ყველა სკოლებში კი არ გადიოდნენ ზემო აღნიშნულ საგნებს. ამ მხრით შემდეგი გარდამავალი თანდათანობა სუფევდა: ყველაზე დაბლა საეკლესიო სკოლა იდგა; იქ მარტო წერა-კითხვას და საეკლესიო გალობას ასწავლიდნენ. საეკლესიო სკოლაზე მაღლა სამონასტრო სკოლა იყო; <sup>1)</sup> იქ საღმრთო წერილის გარდა, რომლის გაკვეთი-

1) სამონასტრო სკოლებს დიდი სახელი ჰქონდათ საბერძნეთში და იქ ხშირად მეფის შვილებიც სწავლობდნენ. მაგალითად, მეთერთმეტე საუკუნისა და იოანე კომნენებმა (პირველი მათგანი იმპერატორი იყო) ცნობილ სტუდიის სამონასტრო სკოლაში მიიღეს პირველ დაწყებითი

ლებზე ყმაწვილებს ღვთის-მსახურების (ლიტურგია) წეს-რიგს და საეკლესიო კითხვის კილოს აჩვენებდნენ, გრამატიკასა და არითმეტიკასაც ასწავლიდნენ.

სამონასტრო სკოლის ზევით სავისკოპოსო და საპატრიარქო სკოლები იდგა. მათ საშუალო სასწავლებლის ხასიათი ჰქონდათ და იქიდან მოსწავლეები უმაღლეს სასწავლებელში, აკადემიაში გადადიოდნენ.

დაბალი სკოლა ამზადებდა მოწაფეებს საშუალო სათვის, საშუალო კი უმაღლეს სკოლისათვის, ამ წაირად სხვა-და-სხვა ტიპის სასწავლებელთა შორის სამაგალითო თანდათანობა სუფევდა, ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა ადვილი და ყველასათვის მოსახერხებელი იყო. დაბალი სკოლა საშუალო-თვის და საშუალონი კი უმაღლესისათვის *είσαγωγή, προπαιδεία* იყო.

საქირო ასაკი სკოლაში შესასვლელად განსაზღვრული იყო 7-8 წლით, თუმცა ხშირად 5-6 წლის ბავშვიც მიჰყავდათ სასწავლოდ.

სწავლება ბიზანტიის დაბალ სასწავლებლებში, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, უფასო იყო.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებელს—აკადემიას, უნდა შევნიშნოთ, რომ ის მეტად კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა საბერძნეთში მე-XI საუკ. დუკას და კომნენების დინასტიის მეფობის დროს. „მეცნიერების მოყვარე“ (φιλοσοφάτατοι) კონსტანტინე და მიხეილ დუკამ ისე გააუმჯობესეს და გაამშვენიერეს აკადემიის მდგომარეობა, რომ მაშინდელი ახალ-თაობა აღმოსავლეთიდან და დასავლეთ ევროპიდანაც დიდი ხალისით და ნდობით მიეშურებოდა „მეორე რომს“ მეცნიერების უკანასკნელ სიტყვის გასაგებად და იქაურს სწავლულთა ყურის საგდებად.

აკადემიაში საუცხოვოდ კარგად იყო დაყენებული ღვთის-

---

განათლება (იხ. „Церк. вѣд.“ 1897 г. № 7—8.—статья проф. И. И. Соколова: „О народ. школахъ въ Византіи съ пол. IX в. до пол. XV в. (842—1453 г.)“).

მეტყველების, ფილოსოფიის და იურისპირუდენციის შესწავლა. ამ საგნების პროფესორების „ლექციებს“ მუდამ ჟამს აუარებ-ბელი მსმენელი აწყდებოდა და ხშირად „აუდიტორიაში“ ტევაც აღარ იყო.

სხვა სამეცნიერო დისციპლინებსაც ჰქონდა აკადემიაში ადგილი დათმობილი და მათ შორის უფრო მეტი ყურადღება ხოლოვნების (τεχνική και έπιστήμη), მეტაფიზიკის (μεταφυσική και έπιστήμη) და ცნების შესწავლა-შეთვისებაზე იყო მიქცეული.<sup>1)</sup>

უმადლეს სასწავლებელში შედიოდნენ 15 წლიდან ვიდრე 19 წლამდე და არა ისე, თუ თავდაპირველად ყმაწყილი დაბალ სასწავლებლებში დანიშნულ საგნების ცოდნას არ შეიძენდა.

სწავლა აკადემიაში თავისუფალი იყო და თვითოვეული სტუდენტი ირჩევდა იმ პროფესორს, რომელიც მას მოსწონდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბიზანტიის სკოლებში (მიუხედავად ტიპისა და ხარისხისა) დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ფიზიკურ ვარჯიშობასაც. გიმნასტიკა და ფარიკაობა სავალდებულო საგანი იყო ბიზანტიელ მოწაფისათვის. გონიერ სწავლა-განათლების მესვეურთ საბერძნეთში ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ რაციონალური აღზრდა მაშინ სწარმოებს, როდესაც დაცულია საღი პეტაგოგიის მოთხოვნილება: *mens sana in corpore sano*. (საღი გონება საღ სხეულშიაო).

ბიზანტიაში არსებობდა დედათა დასაწყისი სკოლებიც.

ბიზანტიურ სურათს სწავლა-აღზრდის საქმეში, ტიპს ბიზანტიურ დაბალ სასწავლებლისას ცოტაოდენი ცვლილებით და გამონაკლისით ჩვენ ვხედავთ საქართველოშიაც, სადაც ქრისტიანობის მიღებისთანავე გაიხსნა საეკლესიო სკოლები ახლად დაარსებულ ეკლესიებთან ბერძენ სამღვდელოების

<sup>1)</sup> 1204 წლიდან (ლათინელთა ბატონობიდან აღმოსავლეთში) აკადემია დაეცა. აკადემიამ აგრეთვე მეშვიდე საუკუნეშიაც განიცადა კრიზისი, როდესაც ორჯერ დაიხურა და ორჯერ გაიხსნა.



თაოსნობით. როგორც ვიცით, მეფე მირიანის და მის მახლობელ მემკვიდრეების დროს საქართველოში აშენდა ერუშეთის, სამთავრისის მანგლისის<sup>1)</sup>, წილკნის<sup>2)</sup>, თუხარისის (კლარჯეთში), წუნდის<sup>3)</sup>, რუსთავის, ნეკრესის<sup>4)</sup>, ბოლნისის, სტეფანწმიდის<sup>5)</sup> და სხვა ეკკლესიები. სწორედ ყველა ამანგებში სკოლები იქნებოდა გამართული. ამას მოითხოვდა ინტერესი ახლად დაარსებული ეკკლესიისა და საზოგადოებისა.

საეკკლესიო სკოლებთან ერთად საქართველოში დაარსდა საეპისკოპოსო სკოლებიც, მაგრამ თავდაპირველად მათი რიცხვი მეტად მცირე იყო. საეპისკოპოსო სკოლები ჩვენში ძალზე მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრიდან გამრავლდა. ფარსმან IV<sup>6)</sup> (405—408), არჩილ I (410—434) და უფრო კი ვახტანგ I გორგასლანის დროს (449—499) ეპისკოპოსთა რიცხვმა ერთი ათად იმატა. და გარდა იმისა, რომ ვახტანგმა ივერიის ეკკლესიას კათალიკოსობა შესძინა, 12—14 ახალი საეპისკოპოსო კათედრაც კი დაარსა,<sup>6)</sup> რომლებთან უქვეყლია, საეპისკოპოსო სკოლებიც იქნებოდა გახსნილი.

ვახტანგის დროსვე საქართველოში პირველად დაარსდება სამონასტრო სკოლები და მანამდის კი ასეთი სკოლები ჩვენში არ იყო, ვინაიდან მეხუთე საუკუნის გასვლამდე ჩვენში არც მონასტრები არსებობდა.<sup>7)</sup> ჩვენი მატეიანის ქართლ.

1) სამივე დაარსდა მეფე მირიანის დროს (265—342) იხ. „ქართ. ცხ.“ წ. I, გვ. 126.

2) მირიანის შვილის ბაქარ I (342—364) დროს. *ibid.* გვ. 140.

3) მირდატ III (364—379) დროს. *ibid.* გვ. 140.

4) რუსთავის და ნეკრესის ეკკლესიები დაარსდა მეფე თრდატის [თრდატ=ტირდატ (ვახუშტით)] დროს (393—405). *ibid.* გვ. 147.

5) ბოლნისის ეკკლესია ააშენა ფარსმან IV (405—408), სტეფანწმიდის კი არჩილ I (410—434). *ibid.* გვ. 148, 150).

6) 470—75 წლ.

7) ვახტანგმა, „ქართ. ცხ.“. (წ. I, გვ. 205) სიტყვით, ზოგიერთი წინედ დაარსებულ ეკკლესიებთანავე საეპისკოპოსო კათედრად აქცია მაგ. ერუშეთის, წუნდის, მანგლისის, ბოლნისის, რუსთავის... მან კი

ცხოვ. —ის სიტყვით ვახტანგმა, მსგავსად ბერძნებისა, უკანასკნელებთან ომის შემდეგ „ააშენა მონასტერი არტანუჯში და სამი ეკლესია დაბა მერისში, შენდობისში ახიზში“. <sup>1)</sup>

ვახტანგის ღმრსვე, უეჭველია, დაარსდა მცხეთაში საკათალიკოსო სკოლაც.

ამ ნაირად მცხეთე საუკუნის დასასრულს საქართველოში უკვე არსებობდა შემდეგი ოთხი ტიპი ბიზანტიურ დაბალ სასწავლებლისა: საეკლესიო, საეპისკოპოსო, სამონასტრო და საკათალიკოსო (საპატრიარქო). <sup>2)</sup>

რაც შეეხება სამეფო სკოლას-ის საქართველოს ისტორიამ აღარ იცის. მეფე-წარჩინებულთა შვილების აღზრდა ჩვენში სხვანაირად სწარმოებდა, ვინემ ბიზანტიაში, და მათთვის არავითარი კერძო სასწავლებელი არ არსებობდა.

„მეფის წულების“ აღმზრდელად ჩვენში ორი პირი იჩნეოდა, ერთს ერქვა სახელი შამა-მძუძე და მეორეს-ოსტატი. <sup>3)</sup>

თვითონ გაზნა შემდეგი ახალი კათედრები: ნინოწმიდის, კერამის, ჩელეთის, ხორნაბუჯის, აგარაკის, ნიქოზის (ქართ. ცხ. წ. I, გვ. 205), ცურტაგის, კუმურდოს, თმოგვის, ასურიაგის და სხ. (ამ უკანასკნელებზე უჩვენებს სომხის კათალიკოზი აბრაამი (VI ს.). იხ. „საქართველთა ისტორია“. — მ. ბროსე. ნ. I, გვ. 100. — თბილისი. — 1905 წ. თარგმ. სიმ. ლომბერძისა).

1) „ქართ. ცხ.“ წ. I, გვ.

2) სომხეთშიაც პირველ ისტორიულ მოწმობას სკოლების დაფუძნების შესახებ ჩვენ ვხედავთ მცხეთე საუკუნის პირველ ნახევარში. სომხის ისტორიკოსი მოსე ხორენელი თავის ისტორიაში („Истор. Арм.“ — пер. Н. О. Эмина. — Москва — 1893 г. გვ. 201) მოწმობს, რომ მესროპმა (V ს.) საკ დიდის თანაშემწეობით დააარსა სომხეთში სასწავლებლები. ამასვე ამტკიცებს ვარდან დიდიც თავის „Всеобщ. ист.“ — ში (пер. Эмина. — Москва. — 1861 г. стр. 65). საზოგადოდ სკოლების შესახებ სომხის ისტორიკოსები მეტად ღარიბ ცნობებს იძლევიან. მაგალითად, ასოლიკს თავის „Всеобщ. ист.“ (пер. Эмина. — Москва. — 1864 г.) ერთი სიტყვაც არ აქვს სკოლების შესახებ ნახმარი.


3) ნ. ურბნელი — „დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ — გვ. 9; „ქართ. ცხ.“ წ. I, გვ. 180, 205...

პირველი საღმრთო წერილის და ზნეობის მასწავლებელი იყო, მეორე კი საერო საგნებისა. მამა-მძუძე უფრო ხშირად<sup>1)</sup> (და თითქმის ყოველთვის) სასულიერო პირებიდან (ეპისკოპოსთაგან) ირჩეოდა, რომელიც თავისი მაღალ ჭკუით და შეუბღალავი ზნეობით ცნობილი იყო მთელ სამეფოში. ოსტატი კი მომეტებულიად ცნობილ სარდლებისაგან (სპასალარ—სპასპეტებისაგან) ინიშნებოდა. ვახტანგ გორგასლანზე და მის და მირანდუხტაზე „ქართ. ცხოვ.“ ვკითხულობთ შემდეგს: „და მიეცა ვახტანგ აღსაზრდელად საურმაგ სპასპეტსა (რამეთუ წესი იყო, რათა შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა აღიზარდნენ. ხოლო დაი მისი მირანდუხტი კი „მისცეს აღზრდად სპასპეტსა კასპისასა.“ ამასთანავე, — განაგრძობს „ქართ. ცხ.“, — ვახტანგ იზრდებოდა და ისწავლიდა მიქელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისა და სიყრმისავე ჰასაკსა შეიყვარა სჯული ქრისტესი“-ო.<sup>1)</sup>

ჯერ კიდევ ვახტანგზე აღრევე ვარაზ-ბაქარის მესამე

1) იხ. „ქართ. ცხ.“ წ. I, გვ. 153, 156; ვახუშტი—„საქართ. ისტ“—დ. ბაქრაძის რედაქტორობით გამოც.—თბილისი. 1885 წ. გვ. 87—89...

მამა-მძუძე ერქვა მეფის და მისი ნათესავეების ვაჟი-შვილების აღმზრდელს, ხოლო ქალიშვილებისას კი ერქვა დედა-მძუძე; ერთი ძუძუთი აღზრდილ ძმების, მაგრამ სხვა-და-სხვა მამების შვილებს კი—ძუძუს-მტე (იხ. „ქართ. ცხ.“ წ. I, გვ. 185... „და მოუწოდა ვახტანგმა არტვან ძუძუს-მტესა მისსა და დაადგინა ერისთავად“ (არტანუჯში). „ეს მამა-მძუძეობა და ძუძუს-მტეობა ჩვენში ისეთივე მტკიცე ნათესაობა იყო, — სწერს მ. ჯანაშვილი, — როგორც სისხლის ნათესაობაო. აღსაზრდელად გამზადებულ ყრმას დიდის ამბით წაიყვანდნენ ხოლმე მისს მამა-მძუძის სახლში და, ამ სახლში დაბინავების დღიდან, იგი უნათესავდებოდა არათუ მარტო აღმზრდელის ოჯახს, არამედ მთელს გვარსაც, რომელსაც ეკუთვნოდა თვით მამა-მძუძე“... ეს წესი ამავე სახით დღესაც არსებობს აფხაზეთში, საცა აბა-ძქეი (მამა მძუძე) და ანა-ძქეი (დედა-მძუძე) დიდ პატივ და გასაფლავია. (იხ. მ. ჯანაშვილი—„საქართ. ისტ.“ ტ. I, გვ. 191—2.—თბილისი.—1906 წ.



შვილის შესახებ (მეორე ცოლიდან) ვკითხულობთ, რომ „მას ზრდიდა სამშვილდის ერისთავი ფარსმანი“-ო. <sup>1)</sup>

ცნობილ ქართველთა შვილებიც ამ ნაირად იზრდებოდნენ და ამ მხრით საქართველო წარმოადგენდა სპარსეთის მაგალითის განმეორებას, სადაც Maleolm-ის სიტყვით, „უწარჩინებულ პირთა შვილების აღზრდა უცხო ოჯახებში ჩვეულებად იყო გადაქცეული“. <sup>2)</sup>

რაც წინ მიდიოდა დრო-მით სკოლების რიცხვი თანდათან მატულობდა ჩვენში. ამის მიზეზი იყო ახალი ეკკლესიების, მონასტრების და საეპისკოპოსო კათედრების დაარსება საქართველოში. როგორც ვიცით მეფე ფარსმან IV (542—557) დროს ივერიაში ცამეტი სირიელი მამები მოვიდნენ „ქრისტიანობის განსამტკიცებლად“. მათ, უეჭველია, ახალი სკოლები დახსნეს ჩვენში. <sup>3)</sup>

<sup>1)</sup> „ქართ. ცხ.“ წ. I, გვ. 147.; მ. ჯანაშვილი—„საქართველოს ისტ.“—ტ. I, გვ. 187—8.

თამარ მეფიდან (1184—1212) მეფის შვილთა აღზრდელი საერო-სამხედრო საგნებში იწოდებოდა ათაბაგად. ამ ხელის-უფლის ნიშნობლივ თვისებებზე იხილეთ ქვეშ თავი მეორე.

<sup>2)</sup> Histoire de la Perse depuis les temps les plus anciens jusqu'à l' époque actuelle.—Paris.—1821. t. I, p. 115.

წმ. რაქედნზე, რომელიც სპარსელი იყო წარმოშობით და პირველად ზორასტრის სარწმუნოების აღმსარებელი, „მამათა ცხ. შიო-მღვიმ. მონასტ.“ (გვ. 223) ვკითხულობთ: „და არწმუნეს მას (რაქედნს) ასული მეფისა ბალენდუხტი (მეუღლა ვახტანგისა) აღსაზრდელად, რამეთუ **წმინ ივო მასინ სპარსთა შორის, ვითარცა ჩვენ ქართველთაცა შორის**, რომელს მამა-მძემკედ უხმობდეს“ (იხ. აგრეთვე ვახუშტი—„საქ. ისტ.“ გვ. 87, 96.; „ქართ. ცხ.“ წ. I, გვ. 205; Hist. de la Géor.—par Brosset, p. 295.

ხშირად წარჩინებულ თავად-აზნაურთა შვილები თავის მშობლების სახლშიაც იზრდებოდნენ ცალკე ბერი-ოსტატის ხელმძღვანელობით.

<sup>3)</sup> ცამეტ სირიელ მამათაგან ივერიაშიც მოვიდნენ სამნი: აბიბოს ნეკრესელი, ისე წილკნელი და იოსებ ალაფერდელი და არა ორი, (აბი-

მათზე წინ ფარსმან V (528—542) დროს იუსტინიანე ბერძენთ იმპერატორმან, „ქართ. ცხ.“ სიტყვით, „ალაშენა ტაძარი წმიდისა ღვთის მშობლისა აფხაზეთს შინა, ბიჭვინტას, მღწედელნი დაადგინა მას შინა, რათა უგანაცხადებულესად ასწავებდენ სჯულსა ქრისტიანობისასა“. <sup>1)</sup> ეს ბიჭვინთა შემდეგში გადაიქცა განათლების ცენტრად აფხაზეთ-სამურზაყანოსთვის და იქ მეთხუთმეტე საუკუნიდან, იმერეთ-აფხაზეთის კათალიკოსის მოვლინების შემდეგ, ცალკე საკათალიკოსო — საპატრიარქო სკოლაც კი დაარსდა. <sup>2)</sup>

სამეგრელოში განათლების ცენტრად ჭყონდიდის ტაძარი ითვლებოდა მარტვილში, რომელიც მეფე გიორგი II — ახაზეთისამ (921—955) დააფუძნა X საუკ. და სადაც საეპისკოპოსო სკოლა არსებობდა. „და ალაშენა მეფე გიორგიმ, — ვითხულობთ „ქართ. ცხ.“, — საყდარი ჭყონდიდისა და შექმნა საეპისკოპოსოდ, და განამშვენა ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტვილთათა“. <sup>3)</sup>

ბოს და ისე), როგორც ჰქონია არქიმანდრიტ მაკარის, ავტორს „Ист. Христиан. въ Россіи до равно-апост. князя Владим.“ (т. I.) რომ იოსებ ალავერდელიც ეპისკოპოსად იყო და ეჭირა ცალკე სამღვდელთმთავრო კათედრა — ეს ნათლად ხჩანს „განგება დარბაზობიდან“, სადაც სწერია:... „შემოვიდეს ამ(ე)ვა ალავერდელი და დაჯდეს ჭყონდიდელსა ქვემოთ ნატითა და ბალიშითა“. (იხ „ქრონ.“ წ. I, გვ. 45—46; დ. ბაქრაძე — „საქ. ისტ.“ გვ. 183).

ამ სამივე კათედრათან სწორედ საეპისკოპოსო სკოლებიც არსებობდნენ.

<sup>1)</sup> „ქართლ. ცხ.“ წ. II, 288.

<sup>2)</sup> აფხაზეთში ცალკე საკათალიკოსო კათედრა დაწესდა 1469 წ. საქართველოს ორ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფის შემდეგ. იხ. „Ставроп. епарх. вѣд.“ за 1893 г. № 20 (16 окт.) — ст. Θ. Жорданія: „Абхазскіе каталикосы“ — стр. 640—641; აგრეთვე ე. თაყაიშვილის — „Опис. рукоп. об-ства распр. грам. среди грузинь“. — т. I, в. I, стр. 210—211).

<sup>3)</sup> „ქართ. ცხ.“ წ. II, გვ. 285; „ქრონ.“ წ. I, გვ. 84.

აგრეთვე მონასტრები: დავით-გარეჯის, ზედაძენის, მღვიმის (ქართლში), საფარის, ტბეთის, ოპიზის, შატბერდის (სამცხეში), ჯრუჭის, ახტალის, ზარზმის, ნიკორწმინდის... დიდად ხელს უწყობდენ სწავლა-განათლების გავრცელებას საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში.

მეცხრე საუკუნის ძვირფასი ნაშთები „განგება დარბაზობისა და წესი მიჰრონის კურთხევისა“ საქართველოში აღნუსხავენ შინ ეპისკოპოსთა კათედრას. <sup>1)</sup> ცხადია, ყველა მათთან სკოლები (საეპისკოპოსო) იქნებოდა და თუ საეპისკოპოსო სკოლები იგრე მრავალ-რიცხოვანი იყო, საეკკლესიო ხომ ერთი ათად მეტი იქნებოდა.

საქართველოს გარედაც ჰქონდათ ქართველებს სკოლები,

1) „განგება დარბაზობის“ და „მირონის კურთხევის“ წესის შედგენას მიაწერენ მე-IX საუკ. ცნობილ მწერალს მიქელ მოდრეკილს. ბ-ნი თ. ეორდანიას გამოკვლევით მოდრეკილი სცხოვრობდა მეათე საუკუნეში (990—95 წლ. მახლობლად.—იხ. „ქრონ.“ წ. I, გვ. 46-შენიშ. 112—113). მარა, უნდა შევნიშნოთ, რომ „განგება დარბაზობის“ ახლანდელი რედაქცია უფრო მახლობელ დროს ეკუთვნის, ვინემ მეცხრე-მეათე საუკუნეები. ამაში ჩვენ ვრწმუნდებით იმ შემთხვევიდან, რომ „განგებაში“ არიან ნახსენები იმისთანა წეს-წყობილებანი და ხელის-უფალთა სახელები, რომლებიც ჩვენ მატყანებში მხოლოდდა მე-XII საუკუნიდან არიან ცნობილნი. ამისთანაა, სხვათა შორის, „განგება დარბაზობა“-ში ნახსენები ათაბაგი, რომელიც ჩვენში თამარ მეფის დროდანაა ცნობილი. ამასთანავე „განგებაში“ ჰყონდიდელს უკავია პირველი ადგილი კათალიკოზის შემდეგ და ეს ფაქტი სრულიად ისტორიულ სინამდვილეს არ ეთანხმება, ვინაიდან ჰყონდიდელმა სხვა ეპისკოპოსთა შორის უპირატესობა მხოლოდდა მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში მიიღო და მეცხრე საუკუნეში და არც მეათეში მას არ ჰქონია არავითარი პრივილეგია საქართველოს ეკკლესიის იერარქთა დასში, როგორც არქიელს ახლად დაარსებულ კათედრისას.

პრ. ა. ცაგარლის აზრით ახლანდელი რედაქცია „განგ. დარბაზობისა“ ეკუთვნის მე-XI—XII საუკ. (იხ. „Свѣд. о памят. груз. письм.“—в. III, стр. XXXVI).

რომლებში სწავლა მეტად კარგ ნიადაგზე იყო დაყენებული და საიდანაც დიდად განათლებული ქართველი სწავლულები გამოდიოდნენ. ესენი არიან სკოლები საქართველოს საზღვარ-გარეთელ მონასტრებთან პალესტინაში, სინას მთაზე, ულუმბოში და ათონის მთაზე.

პირველი ქართული მონასტერი საზღვარ-გარედ დაარსდა იერუსალიმში მეხუთე საუკუნეში ქართველი თავადის ტატიანეს (?) მეთაურობით. ამ მონასტერთან სკოლა იყო გახსნილი, სადაც სწავლობდნენ პირველი ქართველი მთარგმნელები: დავით და სტეფანე (V საუკ.).<sup>1)</sup>

ამავე საუკუნეში მურვანოზმა, ვარაზ-ბაქარის (379—393) ძემ, რომელიც მძევლად იყო წაყვანილი კონსტანტინოპოლს (თეოდორე დიდის დროს), დააფუძნა პალესტინაში მონასტერი, სახელწოდებული წმ. საბას ლავრად. ამ მონასტერში მიიღეს განათლება მრავალმა საქართველოს ისტორიაში ცნობილმა პირებმა.<sup>2)</sup>

რა საგნებს გადიოდნენ ქართულ სკოლებში საქართველოში და საქართველოს გარედ და არსებობდა ჩვენში უმაღლესი სასწავლებლები მათე საუკუნემდე თუ არა?

პროგრამას ქართულ სკოლებისას, როგორც ზევითაც

1) იხ. „Истор. изобр. Груз. въ полит., церк. и учебн. ея сост.“—Евг. Болховитянова.—Изд. Алекс.—Невск. Акад. спб. 1802 г. стр. 5.

მე-VI საუკ. ისტორიკოსი პროკოპე თავის „ВЪ КНИГѢ О ЗДА-НІЯХЪ“ (кн. V, гл. 9) მოწმობს, რომ ივერიელთ მეხუთე საუკუნიდან აქვთ იერუსალიმში თავისი ცალკე მონასტერი, ივერიისად სახელწოდებული.

2) ეს მურვანოზი ბერად აღიკვეცა იერუსალიმში პეტრეს სახელით. ის შემდეგ დანიშნულ იქმნა მაიუმის ანუ მალამის (გაზის) ეპისკოპოსად პალესტინაში. მისი ცხოვრება დაწვრილებით აუწერია სირიულ ენაზე თვით იმის მოწაფეს ზაქარია ქართველს, ქართულად კი უთარგმნია მღვდელს მაკარის („ქართ. ცხ.“ წ. I, გვ. 143—144; ვახუშტი—„საქ. ისტ.“ გვ. 80, შენ. I; დ. ბაქრაძე—„ისტ.“ გვ. 152).

მოვიხსენიეთ, ჩვენამდი არ მოულწევია. მაგრამ კონკრეტული მაგალითები ზოგიერთ კერძო პირების აღზრდისა და მათი ნაწარმოებთა ანალიზი ნებას გვაძლევს დაახლოებითაც მაინც აღვსახოთ სია იმ საგნებისა, რომლებსაც საქართველოს სკოლებში გადიოდნენ.

პირველ ყოვლისა დასაწყის სკოლებში ივერიაში წერაკითხვას ასწავლიდნენ და ამასთანავე, როგორც საბერძნეთშიც, უმთავრესი ყურადღება წერაზე იყო მიქცეული. მხატვრული წერა პირველი საგანი იყო ჩვენებურ სკოლებში. კითხვა-წერა სწარმოებდა ხუცურ ასოებზე თავდაპირველად ასომთავრულზე მეშვიდე საუკუნის გასვლამდი, ხოლო მერვე საუკ. კი ხუცურ ასოებზე. მხედრულად წერა-კითხვა შემოვიდა ჩვენში არა უადრეს მეათე საუკუნის დასაწყისისა. <sup>1)</sup>

წერა-კითხვის შემდეგ საქართველოს სკოლებში გალობის (საეკლესიო), ისტორიის, ლექსის წერის, ენების, ქადაგების წერის (ჰომილეტიკის)... გაკვეთილებს გადიოდნენ.

ჩვენებურ სკოლებში უფრო კარგად ენის სწავლება იყო დაყენებული. „ქართ. ცხ.“-ის სიტყვით ძველ დროიდან „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იყვნეს და იცოდეს ყოველთა ქართველთა-მამათა და დედათა“. <sup>2)</sup>

<sup>1)</sup> ამის დასამტკიცებლად ჩვენ შეგვიძლია ვუჩვენოთ ძველ ხუცურ წარწერებზე (მხოლოდ ხუცური) მეხუთე საუკ. დარჩენილ ნუმიზმატიკურ ნაშთზე (მანათებზე), ძველი (VI—VII) მანუსკრიპტებზე, ჯვარის მონასტრის წარწერაზე მეშვიდე საუკ. და სხვა... (იხ. ვახუშტი—„საქართველ. ისტ.“ გვ XXXIV.—წინასიტყვ. დ. ბაქრაძესი; იხ. აგრეთვე პალეოგრაფიული ნიმუშები (ტაბულები) ძველ ქართულ წერისა პროფ. ა. ცაგარლის „Сѣд.“ В. I-ში მოქცეული და დ. ბაქრაძესი—„Груз. на леогр.“—Труды V-го археол. съѣзда въ Тифл.—Москва 1887 г., стр. 207—214).

<sup>2)</sup> ბ. ნ. მ. ბროსე ცნებას „ყოველთა ქართველთა“ ამოკლებს და ფრანგულად მას tous les rois de Géorgie-თ თარგმნის, ე. ი. ყოველთა მეფეთა ქართლისათა. ცნობილ ისტორიკოსს არ სჯერა „ქარ. ცხ.“ შე-



სხვებზე უკეთესად ქართული, ბერძნული და სირიული ენა ისწავლებოდა და ამ ენებზე ქართველი მოწაფეები ადვილად ვარჯიშობდნენ.<sup>1)</sup> სწორედ ამ შემთხვევით აიხსნება ის მოვლენა, რომ მეხუთე საუკუნის დასასრულს უკვე თარგმნილ იყო ჩვენში სახარება ქართულად, ხოლო მეშვიდე საუკუნეში მისი

ნიშნა, რომ ყოველ ქართველს შეძლებოდას ლაპარაკი რამოდენიმე ენაზე, ის ეტკეში შედის და... ყოველთა ქართველთა ქვეშ მეფე-წარჩინებულთ და მათი შვილებს გულისხმობს...

ნამდვილია, მეფე-წარჩინებულთა შვილებს მეტი შემთხვევა და შეძლება ჰქონდათ რამოდენიმე ენა სცოდნოდათ, მარა ისიც უუტყველად უნდა მიგვაჩნდეს, რომ უბრალო ხალხმაც იცოდა ჩვენში რამოდენიმე ენა. ახლაც საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში (უფრო კი ახალციხის მხარეში) ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ იმისთანა პირები, რომლებიც ოთხი-ხუთი ენით (ქართულ—სომხურ—ბერძნულ—რუსულ—თათრულით) ადვილად სარგებლობენ ხოლმე და ძველ დროში კი, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ათასნაირ ტომის ხალხს უხდებოდა გადასვლ-გადმოსვლა და ომი ივერიელებთან, — ეს მოვლენა (ენების ცოდნა) ხომ ხშირი, ადვილი და სრულიად ჩვეულებრივი იქნებოდა ჩვენში. ასე რომ „ქარ. ცხ.“ შენიშნა: „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა..., რომელიც იცოდეს **ჟოველთა** ქართველთა“ — სრულ ქვეშაირტებად უნდა მიგვაჩნდეს.

<sup>1)</sup> „მამათა ცხოვ. შ.—მღვიმ. მონასტრი“—სა მოწმობს, რომ **ზარსმან VI-მ** (542—557) **შესწირა** შიო-მღვიმის უღაბნოს **სახარება**, ფრიად მშვენიერად **შემკობილი** სანატრელის **მეშის ვახტანგის მიწრო.**“ (გვ. 40) მოსე ხორენელი (M. Xop. რჩ. III, 25) ამტკიცებს, რომ 410 წლამდე ივერიელთა ეკლესიაში საღმრთო-წიგნები ბერძნულ ენაზედ იკითხებოდა, როგორც სომხეთის ეკლესიაშიცა“.

ამ ნაირად საღმრთო წერილის წიგნები ჩვენში მეხუთე საუკუნეში ითარგმნა და უფრო ადრე ჩვენ არ გვქონია მათი თარგმანი. ამ საკითხის შესახებ, — ჩვენის ფიქრით, — სცდება ბ-ნი თ. უორდანი, როდესაც ამტკიცებს, რომ ქართველებს მეოთხე საუკუნის გასვლამდის უკვე ჰქონდათ სახარების თარგმანიო. პატივცემულ ისტორიკოსის ამ ნაირი შეხედულება სიმართლეზე გადაჭარბებული და აპრიორულია. საქმის მდგო-

(სახარების) ორი ვარიანტი — ოთხთავი ქსნისა და ურბნისისა მოგვეცემა. <sup>1)</sup>

ენების შემდეგ კარგად იყო დაყენებული ჩვენებურ სკოლებში გალობის და ჰომილოტიკის სწავლება. მეცხრე საუკუნეში დაიწყო ჩვენ დრომდელი დაცულა ძვირფასი ნაშთი ეგრედ წოდებული „საგალობელი“, რომელსაც ამავე საუკუნის ცნობილ მწერალს და სწაველულს მიქელ მოდრეკილს მიაწერენ. ეს ნაშთი ნათლად მოწმობს, რომ მეცხრე საუკუნემდელი საეკლესიო გალობა დიდ განვითარებაში იყო საქართველოში, სადაც საგალობლები თავისებურ ნოტებზე იწერებოდა სხვა-და-სხვა ვვარის ხაზებით, მძიმეებით და წერტილებით. <sup>2)</sup>

მარგობა პირველ ხანებში ივერიაში საზოგადოდ იმისთანა იყო, რომ იქ არ შეეძლოთ მეხუთე საუკუნის დასასრულამდელი ჰქონოდათ თარგმანი საღმრთო წერილისა სამშობლო ენაზე. ამ საკითხზე ჩვენ სრულიად გვეთანხმებით მოსე ხორენელს, რომელიც სწერს, რომ ივერიელების ეკლესიებში საღმრთო-საეკლესიო წიგნები მეხუთე საუკუნემდელი ბერძნულ ენაზე იკითხებოდა. (იხ. თ. უორდანი.—„ქართლ-კახ. მონასტ. და ეკლეს. ისტ. საბუთ.“—ფოთი.—1903 წ. გვ. II (შენიშ. სხოლიოში). ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ პირველად სახარება ქართულად უთარგმნეს სწორედ ვანტანგს, და არა დედა მის დედოფალ საგდუხტას, როგორც ჰფიქრობენ ზოგიერთი ჩვენი მკვლევარნი. პირიქით, დედოფალ საგდუხტას, როგორც სპარსელს ქალს, ქართული ენის არა-მცოდნეს, ბერძნული ენიდან სპარსულ ენაზე გადაუთარგმნეს სახარება. და აი ამ აზრით უნდა გვესმოდეს ჩვენ „ქარ. ცხ.“ (წ. I, გვ. 152) შენიშვნა:... „და უთარგმნეს მას (საგდუხტას) სახარებაჲ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესიო“.

Amicus Plato, sed magisque amicus veritas!..

1) დ. ბაქრაძე—„საქარ. ისტ.“ გვ. 171. და არა მარტო საღმრთო წიგნები, საეკლესიო-საღვთისმსახურო (богослужебные чины) წესებიც უთარგმნიათ ქართველებს მეხუთე საუკუნეში (იხ. Пл. Юселиани—„Опис. древи. гор. Тифлиса.“—стр. 153; Ист. св. Града Иерусалима, ч. I, стр. 176—177).

2) იხ. „ქრონ.“ წ. I, გვ. 111—119; დ. ბაქრაძე—„საქართ.“

არა ნაკლებ განვითარებაში იყო ჰომილეტიკის, ე. ი. საეკლესიო მკერმეტყველობის და ქადაგების წერის კანონების შესწავლა. თვით კრიტიკული მდგომარეობა იმ დროინდელ ეკლესიისა (ომი ათასნაირ მწვალელებთან მეოთხე-საუკუნიდან მერვემდი) დაჟინებით კარნახობდა ამ საგნის სწავლების საჭიროებას სკოლებში. დიდი ყურადღება ჰომილეტიკას ჩვენ სკოლებში მიექცა მეექვსე საუკუნიდან, როდესაც სომხეთის ეკლესია ჩამოსცილდა (596 წ. დვინის კრებაზე) მართლმადიდებელ ეკლესიასთან კავშირს. მაშინ თვითოფული სწავლული ქართველი თავის მოვალეობად სთვლიდა სომხების ცთომილება გაეკიცხა და ამ ნიადაგზე ხშირად იმართებოდა სიტყვიერი დისპუტი ორივე მებობელ ერთა შორის.

კარგი მქადაგებლების და აპოლოგეტების საჭიროება დაანახვა საქართველოს მეხუთე საუკ. თვით საქართველოს ეკლესიაშივე მოვლენილმა მწვალებელმა, ეპისკოპოსმა, „ნათესავით სპარსმა, მოგვმა მოზიდანმა“, რომელიც, „ქართ. ცხ.“ შენიშენით, „ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა და ავრცელებდა ხალხში“. <sup>1)</sup>

დიხსაც დარჩენილან ჩვენ დრომდი პირველ ათ საუკუნიდან ქადაგებანი. ესენი არიან ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოს ცხოვრებაში (უძველესი ვარიანტები მეცხრე საუკ.) მოქცეული „ქადაგების ნიმუშები“ და აგრეთვე ბერძნულიდან ნათარგმნი წმ. იოანე ღვთის მეტყველის, ფერემ სირიელის, ვასილი დიდის, კირილე იერუსალიმელის და სხვების ქადაგებათა კრებული. <sup>2)</sup>

შესაფერი ყურადღება ჰქონდა საქართველოს სკოლებში მიქცეული ლიტურგიკის (ღვთის-მსახურების წეს-რიგის), ის-

---

ისტ.—გვ. 247—248. ამ „სავალობლიდან“ სავალობო ნიშნების ნიმუშები მოთავსებული აქვს ბ-ნ მ. ჯანაშვილს თავის წიგნაკში „საუნჯე მეთე საუკ.“—თბილ. 1891 წ. გვ. 53.

<sup>1)</sup> „ქართ. ცხ.“ წ. I, გვ. 152.

<sup>2)</sup> წმ. იოანე ოქროპირის და ფერემ სირიელის ქადაგებანი, ნათარგმნი 977 წ., „გვირგვინი“ ს სახელით გამოცა თბილისში 1895 წ.

ტორიის (უფრო საღმრთოს) და ლექსის წერასაც (σύνταξι γράφειν). მართალია, ამ უკანასკნელ საგნის სწავლებაზე მეათე საუკუნემდელი არავითარი მოწმობა—საბუთები არ დარჩენილან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბ-ნ მარრის მიერ ნაპოვნ მოკლე ცნობებს, მეათე საუკ. მეოსნებზე: მინჩხზე, იოანე ქონქოლისძე ზე, ფილიპეზე<sup>1)</sup>,—მაგრამ ის კი ექვს ვარემუა, რომ X საუკუნიდან იგი ისწავლებოდა.<sup>2)</sup> და თუ სკოლებში თვით საქართველოში არ ისწავლებოდა, საქართველოს საზღვარ-გარეთელ სკოლებში კი უსათუოდ, მით უმეტეს რომ ეს უკანასკნელნი საბერძნეთის სამფლობელოს ტერიტორიაზე იყვნენ მოკალათებულნი და საბერძნეთის სკოლებში σκλαστικὴ γράφειν ხომ სავალდებულო საგანი იყო!...

ხატვასაც ჰქონია თავისი ადგილი ივერიის სკოლებში, დასამტკიცებლად ამისა შეგვიძლია ვუჩვენოთ ათასნაირ (ხელოვნურ) ხვეულებზე და სურათებზე (უფრო კი ბიბლიურ სიუჟეტებზე) მეათე საუკუნემდელი დარჩენილ მწერლობით ნაშთებზე.<sup>3)</sup>

ჩვენებურ დაბალ სკოლებში, ერთი ბერი-მოღვაწის (?) მოწმობით, ასწავლიდენ კიდევ შემდეგ საგნებს (ხელობას): პეტრატის შექმნას, წიგნის შეკვრას (переплетное мастерство), მკერვლობას, ტყავის კერვას, ხუროვნობას და ყოვე-

მღვდ. ვას. კარბელაშვილი (იხ. ბაქრაძე—,საქ. ისტ.“ გვ. 243—44; А. Хахановъ—, „Очерки“—в. II, стр. 26, 36—58.

<sup>1)</sup> მ. ჯანაშვილი—, საქართ. ისტ.“ ტ. I, გვ. 364.—თბილ. 1906 წ.

<sup>2)</sup> ამაზე ჩვენ სიტყვა გვექნება ქვეშ (მეორე თავში).

<sup>3)</sup> „Церк. вѣд.“ за 1907 г. № 3.—Докладъ проф. Н. Я. Марра; А. Хахановъ—, „Очерки“—в. I, стр. 148, 157.

მეფის ძის იოანეს ხელთნაწერთა კოლექციაში, რომელიც პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავშია დაცული, ჩვენ ვნახეთ სახარების ქართული თარგმანი 955 წლ. (№ 212), რომელში მეტად ხშირია სურათებ-ხვეულები. მეტად კარგია ამ ხელთნაწერში მოციქულების—მარკოს და ლუკას სურათები.

ლივე მსოფლიო მუშაობას. <sup>1)</sup> ერთი სიტყვით ხელოვნება — ხელობაც არ იყო მივიწყებული საქართველოს სკოლებში.

ამ ნაირად დაბალ სასწავლებლების ორგანიზაციაში საქართველო საბერძნეთის მაგალითის განმეორებას წარმოადგენდა. არ იყო პირველში მხოლოდ კერძო ტიპი სამეფო სკოლისა, რომლის მაგივრად მეფე — წარჩინებულთა (ერისთავთა) შვილების აღზრდა ჩვენში სპარსული მაგალითის მიხედვით სწარმოებდა.

არ იყო ჩვენში აგრეთვე მეთერთმეტე საუკუნემდე უმაღლესი სასწავლებელიც და უმაღლეს სწავლის მისაღებად ქართველი ახალგაზრდობა საბერძნეთში მიემგზავრებოდა.

ქართველები, რომელთაც უმაღლესი განათლება ბიზანტიაში მიუღიათ, მეთვე საუკუნემდე არიან: მე-V საუკ. — დავითი და სტეფანე, მე-VI — იოანე მოსხი <sup>2)</sup> და კათალიკოსი კირიონი, მე-VII — VIII-ში — მიხეილ ქართველი და მისი მოწაფე ევსტატე, <sup>3)</sup> მე-IX-კი წმ. ილარიონი, მიქელ მოღრეკი-

1) მ. ჯანაშვილი — „საქ. ისტ.“ ტ. I, გვ. 248.

2) იხ. „Первое путеш. въ Синайск. мон. въ 1845 г.“ — арх. Порф. Успенскаго СПб. 1856 г. стр. 106—107: მას დაუწერია ბეონულ ენაზე *πνευματικός λειμῶν* (Лучь духовный). ეს თხზულება ითარგმნა პირველად იტალიურ ენაზე. ლათინური თარგმანი მოათავსა კოტელიერმა 1681 წ. Monumentorum Ecclesiae Graecae. — p. 341—350; სლავიანურად „πνευμ. λειμῶν“ თარგმნილ იქმნა კიევში 1628 წ. რუსული თარგმანი ეკუთვნის ფილარეტ ჩერნიგოვის ეპისკოპოსს (1848 წ.) და მღვდ. მ. ხიტროვოს. უკანასკნელის თარგმანი ბერძნული დედნიდან გამოიცა 1896 წ. მოსკოვში. ვრცლად იოანეს „ცხოვრება“ მოთავსებული აქვს მინის (Mine) თავის ცნობილ „Patrologiae cursus completus“. — t. LXXXVII. — p. 2845—3116; იქიდან ჩვენ გტყობილობთ, რომ მამა იოანეს უმოგზავრნია ალექსანდრიაში, რომში თავის მოწაფის სოფრონის (შემდეგ იერუსალიმის პატრიარხი) თანამგზავრობით.

45 და 180 თავი „πνευμ. λειμ.“-დან წაკითხულ იქმნა მეშვიდე მსოფლიო კრების სხდომებზე და წმ. მამებმა მოიწონეს.

3) *ibidem* — стр. 116.

ლი, იოანე მტბვეარი, კათალიკოსი სვიმონ I (867—878) ეყვალა ესენი ზედმიწევნით აღჭურვილი იყვნენ ბიზანტიურ მეცნიერებით. დავით და სტეფანეზე აი რას სწერს მეფე ერეკლე II (1744—98) მოძღვარი სწავლული პროტოპრესვიტერი ზაქარია გაბაშვილი: „ძუსოსა წიგნსა შინა მიხილავნ მე (აქ იგულისხმება პროკლე დიოდოსეს „კავშირი“), ზაქარია მოძღუარსა და მუნითვან გარდამომიწერიეს: მრავლით ჟამითვან უწინარეს ეფთიმიასა და გიორგისა, წმ. მამათა მთარგმნელთასა, დავით და სტეფანე ქართუელთა გუარისანი იერუსალიმს მიიწინნეს და მუნ შეემცნნეს ელინთა ენა-მზეობასა და პირატსლად მათ გადმოსთარგმნეს რაოდენიმე საეკლესიონი წიგნი ბერძნულისაგან ქართულად და არაბთა ენისაგანაცა საღმრთონი წიგნნი გადმოიღეს მრავლითა შრომითა“<sup>2)</sup>

ცნობილ კათალიკოზ კირიონ I-ზე სომხის ისტორიკოსი ვარდან დიდი შემდეგს გადმოგვცემს: „კირიონ კათალიკოსმა, შთამომავლობით ივერიელმა, იცოდა სომხური და ქართული

1) ამ სვიმონს მიაწერენ შესანიშნავ ხუტურ ასო-მთავრულ ასოებით ზელთნაწერს ტყავზე „იაკობის ჟამის წირვა“-ს, რომელიც დღემდე დაცულია საქართველოს საეკლესიო მუზეუმში თბილისში და რომელშიაც, სხვათა შორის, მოთავსებულია კათალიკოს-ეპისკოპოსთა კურთხევის (ხორტონიის) წეს-რიგი ჩვენში. (იხ. დ. ბაქრაძე—„საქ. ისტ.“ გვ. 221—222; პ. კარბელაშვილი—„იერარქ. საქ. ეკკლ.“ გვ. 56).

2) А. Цагарели—„свѣд.“ в. I, стр. 61.—СНВ. 1886 г. აქ არაბულ ენის ქვეშ ვლ. იოსელიანი გულისხმობს სირიულ ენას და თარგმანს ამ ენაზე საღმრთო წერილისას (პეშიტას). მისი სიტყვით, ქართულ თარგმანს საღმრთო წერილისას საფუძვლად დაედო ბერძნული (70 მთარგმნელებისა). და სირიული დედნები საღმრთო წერილის წიგნებისა. (Пл. Иселіани.—„Опис. древи. гор. Тифл.“—стр. 154—55). და სრულიად მართალია განსვენებული ისტორიკოსი, ვინაიდან საღმრთო წერილის თარგმანი არაბულ ენაზე მერვე-მეცხრე საუკუნემდე არ არსებობდა და მაშასადამე არც კი შეეძლოთ დავით და სტეფანეს მებრუნე საუკუნეში ეთარგმნათ იგი ქართულად.


ენა, ყმაწვილობაში ის გაგზავნილ იქმნა საბერძნეთს კოლონიის ოლქში (კაბადოკიაში), სადაც მან სოფელ ნიკობოლში მდინარე გაილის ნაპირას, მიიღო ბერძნული აღზრდა.<sup>1)</sup>

წმ. ილარიონზე (829—882) შემდეგი ბიოგრაფიული ცნობები დარჩენილა. შთამომავლობით ილარიონი წარჩინებულ ოჯახიდან იყო; ხ წლისა მიიბარეს სოფლის მოძღვარს წერა-კითხვის სასწავლად; 15 წლისა კი დავით-გარეჯის უდაბნოს სამონასტრო სკოლაში გადაიყვანეს, რომლის დასრულების შემდეგ ახალგაზდა ყმაწვილი საბერძნეთს წავიდა და იქაურ უმაღლეს სასწავლებელში შევიდა. „წიგნის-მოყვარეობით აღტყინებული“ ილარიონი ხშირად მოგზაურობდა: ყველა ქართული საზღვარ-გარეთელი მონასტრები მოიარა, იქაურ სწავლულ ქართველობას გაეცნო და უკანასკნელ რომშიაც გაემგზავრა, სადაც კიდევაც გარდაიცვალა. როგორც ლიტერატურული გარდმოცემა მოწმობს, ილარიონს უთარგმნია ბერძნულიდან მეტაფრასტი და ცხოვრება წმ. სიმეონ მესვეტისა.<sup>2)</sup>

1) იხ. Вард. Великий — „Всеобщ. ист.“ пер. Эмина. — Москва — 1861 г. стр. 74. ამ კირომა აკურთხა გვარამ პირველი კუროპალატი (პირველი ბაგრატიონთ გვარიდან) 575 წ. საქართველოს მეფედ. მის დროსვე სომხის ეკლესია გაჰყეო მართლმადიდებელ ეკლესიასთან კავშირს.

კირონი დავით რექტორიის სიით ცხოვრობდა 581—87, პლ. იოსელიანის—580—588, მდ. პ. კარბელაშვილის კი—572—598 წლ. (იხ. „ქრონ.“ წ. I, გვ. 57—შენიშ, 122; პ. კარბელაშვილი — „იერარ. საქ. ვკ.“ — გვ. 39; დ. ბაქრაძე — „Археолог. путеш. по Гүрии и Адч.“ — стр. 157—158).

2) გვარად ილარიონი იყო დონაური. მისი ბიოგრაფია შეუდგენია ბერძნულს ენაზე მონაზონს ვასილის, ქართულად კი უთარგმნია თეოფილეს (იხ. „წყობ.—სიტყვ.“ ანტონი კათალიკოსისა გვ. 132 (§449) შენიშ. 46 პლ. იოსელიანისა; დ. ბაქრაძე — „ისტ.“ გვ. 224; А. Хандановъ — „Очер.“ в. I, стр. 156; გ. იოსელიან — „ქარ. წმიდანები“ — თბილ. 1901 წ. გვ. 56—60).



ყველაზე ზევით (წინა საუკუნოების მწერალთა შორის) თავისი განათლებით და მრავალ მხრივ ენციკლოპედიური შემეცნებით სდგანან მე-IX—X საუკ. ძვირფასი მწერლობითი ნაშთის „შატბერდის კრებული“-ს შემდგენელი: იოანე ბერაძე მიქელ მოდრეკილი, დავით...<sup>1)</sup>

ბიოგრაფიული ცნობები მათ შესახებ ჩვენ დრომდე არ დარჩენილა, მაგრამ, სამაგიეროდ, ანალიზი მათი ნაღვაწისა („კრებული“-ს) ნათლად გვიჩვენებს, რომ „კრებული“-ს ავტორთ ჰქონიათ შემეცნებანი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან, ბოტანიკიდან, გეოლოგიიდან, ზოოლოგიიდან, ორნითოლოგიიდან, იხთიოლოგიიდან, საზოგადო ისტორიიდან, მათემატიკიდან და სხვა.<sup>2)</sup>

„და იქმნა რა იგი,—შენიშნავს „ცხოვრება“ წმ. ილარიონის შესახებ,—ექვსისა წლისა—მიეცა სწავლად საღმრთოთა წერილთა, მღუდელსა ვისმე მოხუცებულსა ფრიად და სათნოებით შემკულსა; ხოლო ყრმამან მან სიმბავილითა გონებისათა და სიმდიდრითა სათნოებისათა მცირედსა ჟამსა დაისწავა ყოველივე ძეგლი და ახალი წერილი ვიდრემდის დაუკვირდა ყოველთა, რომელი ხედვიდეს და რომელთა ესმოდა სიბრძნე იგი და სიმკვირცხლე ყრმისა მის და კჳლად შემკულება იგი და დაწყნარებულება წესისა მისისა და ყოვლისავე მიმართ სათნოებისა წარმართება...“ (იხ. „საქარ. სამოთხე“—გ. საბინინისა გვ. 372—3).

<sup>1)</sup> „ქრონ.“ წ. I, გვ. 102, 110—111, 122; დ. ბაქრაძე—„საქარ. ბ.“ გვ. 246—47; А. Хахановъ—„Очерки“—в. II, стр. 318—326.

<sup>2)</sup> გულის და კუჭის აგებულებაზე და ფუნქციებზე, ნაწლევების დანიშნულებაზე, კამის და სისხლის მოძრაობის (ცირკულიაციის) შესახებ და სხვა.

ცნობანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან (ბოტანიკა—გეოლოგია—ზოოლოგიიდან) უფრო ნაწილად მოთავსებულნი არიან „კრებული“-ს ერთ-ერთ ნაწილში ეგრედ წოდებულ „სახის მეტყველ“-ში, რომელიც 1897 წ. აღმოაჩინა პროფ. ა. ს. ხახანაშვილმა და რომელსაც რუსულად პაციფცემული პროფესორი „физиологъ“-ის სახელით სთარგმნის („Очерки“—в. II, стр. 325—326).



ექვს გარეშეა, დიდებულ შატბერდის ლავრის ცნობილ ამ მოღვაწეებმა ყველა ეს ცოდნანი შეიძინეს იმდროინდელ მსოფლიოს განათლების ცენტრში—ბიზანტიაში.

მრავალნაირ მეცნიერულ ცნობებს, უფრო კი კოსმოლოგიიდან, ჩვენ ვპოულობთ საბას მონასტრის (იერუსალიმის მახლობლად) მანუსკრიპტში, რომელიც გადაწერილა 941 წ. და რომელიც ახლა დაცულია პეტერბურგში სამეცნიერო აკადემიის წიგნთ-საცავში. ამ მანუსკრიპტში, დ. ბაქრაძის სიტყვით, ფრიად შესანიშნავია თავი „წელთა და ჟამთა გამოძიება“, სადაც „ავტორი შედის ქრონიკონის ისტორიაში და მის ახსნაში“. <sup>1)</sup>

ამ ნაირად კოსმოლოგია — პასხალიე — ასტრონომიის მცოდნე პირებიც მოიძებნებოდა საქართველოში მე-IX—X საუკუნოებში.

ქართველების მიერ ბიზანტიურ სწავლა-აღზრდის მიღებას ხელს უწყობდა, სხვათა შორის, ის შემთხვევაც, რომ ქართველ წარჩინებულ ოჯახების შვილები ხშირად მძევლად იგზავნებოდნენ ხოლმე ბიზანტიის იმპერატორების კართან. იქ, რასაკვირველია, ქართველი „სეფე-წულნი“ დიდი ხალისით ეწაფებოდნენ და ითვისებდნენ ბიზანტიურ სწავლა მეცნიერებას.

...„და წაყვანილ იქმნა იგი,—ვკითხულობთ „ქარ. ცხ.“ (წ. I, გვ. 142—144) ბაქარ II (ვარაზ — ბაქარის — 379 — 393) ძის მურვანოზის შესახებ, — მძევლად ქალაქად კონსტანტინოპოლედ სხვათა თანა სეფეწულთა... და მცირეთა ჟამთა ესწავა მას იქა ენა ბერძნული და ყოველივე სწავლულება საეკლესიო და საფილოსოფოსო ... და ენა და სწავლულება ასურებრივი, ... ვიდრე ყოველთა უკვირდა“. <sup>2)</sup>

სრული ცნობანი „კრებულის“ შესახებ იხ. მ. ჯანაშვილის — „საქ. ისტ.“ ტ. I, გვ. 364—365.

<sup>1)</sup> ვახუშტი — „საქ. ისტ.“ გვ. 129, შენიშ. I. ეს მანუსკრიპტი შეიცავს სახარებას, სამეცნიერო მსჯელობა მასში თავშია მოთავსებული (იხ. აგრეთვე დ. ბაქრაძე — „ისტ.“).

<sup>2)</sup> „ქართლ. ცხ.“ წ. I, გვ. 143—144; დ. ბაქრაძე — „საქ. ისტ.“ — გვ. 152.

სუცხბათის ქრონიკის ცნობით მეცხე საუკუნეში სუმბატ არტანუჯელის და მისი ძმის გურგენის შვილები (ბაგრატი და დემეტრე-ბასილი) „წავიდნ კონსტანტინოპოლედ“, სადაც მათ, უეჭველია, კიდევაც მიიღეს ბიზანტიური აღზრდა.<sup>1)</sup>

მათზე წინ ჯერ კიდევ ბაქარს, მეფე მირიანის ძეს, უმოგზავრია აღმოსავლეთში და იქ დიდი ცოდნა შეუძენია. მეოთხე საუკ. ისტორიკოს რუფინს ის იერუსალიმში უნახავს „ფრიად გონიერი და სწავლით გაბრწყინებული“ და თავის „საეკლ. ისტორია“-ში (წ. I, თავი 10 აგრეთვე წ. II თავი 20) დიდის ქებით და პატივისცემით (სიმპატიით) მოიხსენიებს.<sup>2)</sup>

ძვირფასს ცნობებს სწავლა-აღზრდის შესახებ ჩვენში მე-VIII—IX საუკ. იძლევა ცხოვრება „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ხანძოელისა“, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „და ესც იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლ მორწმუნეთა მამა-დედათაჲ. და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსს ერისთავისასა აღზრდილ იყო ხელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა ნერსსს ცოლისაჲთა, რომელიცა ეშვილა... და მსწრაფლ დაისწავლა მან დავითი და ხმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიო. საშოდღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲ წიგნი ზეპირით მოიწურთნა: ხოლო სიბრძნესა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად. და

<sup>1)</sup> „სამი ისტორ. ქრონიკა“—გამ. ე. თაყაიშვილისა.—თბ. 1890 წ. გვ. 66—67.

<sup>2)</sup> „Ист. изобр. Груз. въ полит., церк. и учебн. ея сост.“—Евг. Болховитянова. СПб.—стр 50. ამ ბაქარს „ქართ. ცხ.“ მირიანის შვილად სთვლის, ხოლო „ქართ. მოკცევაჲ“ კი რევის (მირიანის შვილის) შვილად და მაშასადამე მირიანის შვილის შვილად (იხ. „სამი ისტ. ქრონ.“ გვ. 21—22).

აკადემიკოს ბროსეს ახრი ამ ბაქარის (Bacurius) შესახებ იხილეთ „Hist. de la Géor.“ t. I, p. 132).

რომელი პოვის სიტყვაჲ კეთილი შეიწყნარის. ხოლო ჯერ-  
კული განაგდის“...<sup>1)</sup>

კარგს მასალას სწავლა-აღზრდის და მეცნიერების მდგო-  
მარეობის შესახებ საქართველოში VIII—X საუკუნოებში  
იძლევა „ცხოვრება წმ. აბოსი“. ბიოგრაფი წმ. მოწამისა  
იოანე საბინის ძე აი როგორ გვიხატავს აბოს აღზრდის წეს:  
... „იქმნა იგი საყვარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად  
წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძველისა და ახლისა სჯულისათა,  
რამეთუ უფალი მეცნიერ ჰყოფდა მას და მოვიდის იგი წმი-  
დათა სახარებათაგან და საკითხავთა მათ საწინასწორმეტყველო-  
თა და მოციქულთა“.<sup>2)</sup>

და თვით ენა „ცხოვრები“-სა დიდად განვითარებულნი  
და შემუშავებულნი. „ისე განვითარებულს ენას, რომლითაც  
ის („ცხოვრება“) არის დაწერილი, იმ დროში ჩვენ სრულიად  
არ მოველოდითო,—სწერს განსვენებული დ. ბაქრაძე,—სა-  
მეცნიერო საგნები და ტექნიური ტერმინები მასში ცხოველად  
და ადვილ მისახვედრათ არის გამოთქმულიო“.<sup>3)</sup>

<sup>1)</sup> დიდად ვმადლობთ პროფ. ნიკოლოზ მარსს, რომელმაც ხალ-  
სით დაგვიტოვა წმ. გრიგორის ცხოვრების კორექტურული ფურცლები  
და ამ ნაირად შეძლება მოგვცა გვესარგებლნა ფრიად ძვირფასი (და იშ-  
ვიათი) ისტორიული ნაშთით (იხ. გრიგოლის შესახებ აგრეთვე „წყობ-  
სიტ.“ ანტონ კათალიკოსისა §§ 428—431 და იქვე შენიშვნა 42 პლ.  
იოსელიანისა).

წმ. გრიგოლ ბანძოელს ივერიის ეკლესია იხსენიებს 5 ოკტობერს  
(იხ. „Жизне-оп. свят. правосл. Груз. церковью.“—П.  
Госселіани.—Тифлисъ.—стр. 11; აგრეთვე მისივე „Кратк. ист.  
Груз. цер.“ СПб. 1843 г. изд. 2.—стр. 31).

<sup>2)</sup> დ. ბაქრაძე—„საქართვე. ისტ.“ გვ. 206.; აგრეთვე წიგნაკი:  
„წმ. მოწამე აბო თბილელი“—გამოც. საქართვე. საექსარხ. საეკლ. მუ-  
ზეუმისა.—თბილისი. 1899 წ. გვ. 16—17. აბო თვრამეტი წლისა იყო,  
რომ მოვიდა სპარსეთიდან საქართველოში.

<sup>3)</sup> ვახუშტი—„საქ. ისტ.“ გვ. 119, შენიშ. 2. საზოგადოდ ცხო-  
ვრება წმ. აბოსი, როგორც ყოველივე წმიდანთა ცხოვრება, წარმოად-

ვინ იდგა სკოლების სათავეში და საზოგადოდ როგორ იყო მოწესრიგებული სკოლის შინაგანი მხარე ჩვენში?

საქართველოს სკოლების უფროსად, იმისდა მიხედვით საეკლესიო იყო სკოლა თუ სამონასტრო, მღვდელი ან მონასტრის წინამძღვარი იდგა. საეპისკოპოსო — საკათალიკოსო სკოლების სათავეშიც ეპისკოპოს — კათალიკოსის სასახლეების (კარის) მღვდლები — მოძღვარი ინიშნებოდა.

საქირო ასაკი საქართველოს სკოლებში შესასვლელად, როგორც ბიზანტიაში, 6—8 წლით იყო განსაზღვრული. მაგალითად, წმ. ილარიონზე ვიცით, რომ ის 6 წლისა მისცეს სასწავლოდ. ესევე ვიცით მურვანოზის შესახებაც, რომელიც 7—8 წლის მიეცა სასწავლოდ თავის სამშობლოში, ხოლო 14 წლის კონსტანტინოპოლს იქმნა წაყვანილი მძევლად. <sup>1)</sup>

სწავლა ჩვენებურ სკოლებში, როგორც ბიზანტიაშიც, უსასყიდლო იყო. აგრევე იყო ჩვენი მეზობელის სომხების

ვენს ძვირფას მწერლობით მასალას ძველ ივერიის ცხოვრების სხვა-დასხვა მხარეების განსამატებლად და დასახატავად (იხ. Проф В. Ключевский — „жит. свят., какъ истор. материалъ“).

წმ. აბო ა. ხახანაშვილის სიტყვით იწამა თბილისში არაბთაგან 790 წ. აშოტ დიდის (786—826) დროს („Очер.“ в. II, стр. 117; 23, 33—35), პროფ. ნ. მარრის აზრით კი 784 წ. (იხ. „Церк. вѣд.“ 1907 г. № 3, стр. 138)

წმ. აბოს ცხოვრების ერთი უძველესი ვარიანტთაგანი (მეათე საუკ.) მოთავსებულია ა. ნ. გრენის ხელნაწერთა კოლექციაში (№ 6), რომელიც პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავს სხვა ხელნაწერებთან ერთად (გრენის კოლექციაში 17 ხელნაწერია) 1892 წ. შეუქმნია. „ცხოვრება“ ტყავზე დაწერილი. (იხ. ჩემი: „Груз. рукоп. въ СПб. Публ. библ.“ въ газ. „Закавказье“ 1907 г. № 246 (24 ноября).

<sup>1)</sup> „ქარ. ცხ.“ წ. I, გვ. 142. ზაქარია ქართველის (პეტრეს ბიოგრაფი) სიტყვით, მურვანოზი 12 წლის (და არა 14-ს) გაიგზავნა კონსტანტინოპოლს. — იხ. დ. ბაქრაძე — „ისტ.“ 152 გვ.

სკოლებშიაც. ვახტანგ VI (1703—1709) სჯულის წიგნში ვკითხულობთ შემდეგ დადგენილებას:

„არ მართებს ფასით გასწავლობა ყმარწვილთა. კანონის ბრძანებით თუ ოსტატს შეძლება ჰქონდეს უნდა ჩააცვას და დაბუროს ასვას აჭამოს. თუ ოსტატს შეძლება არა ჰქონდეს ყრმაწვილთა მამამ უნდა უნაღვლოს შეილთა თვისთა ტანთა—ფერხთა სმა და ჭამა. ოსტატს რა შეძლება ჰქონდეს ძღვენი უნდა მიართვან და თუ ყრმაწვილთა მამანი გლახანი იყვნენ ნურც ძღვენი უნდათ. თუ ვინ იცის ამ სამართლის მშლელი იყოს და გავიდეს ამიღამ და უწყოს შაგირდს სჯა და თხოვნა საოსტატოსა რაც მის ხელში ყმარწვილობაში მოეგოს იმისით გაისტუმროს“.<sup>1)</sup>

მართაილია, ესე დადგენილება, მოთავსებული ვახტანგის სჯულის წიგნში, მიეკუთვნება მე-XVIII საუკ. დასაწყისს ჯა, უეჭველია, გამოხატავს ამავე საუკუნის და მის მახლობელ დროის შეხედულებას, მაგრამ—უნდა ვიფიქროთ—რომ ამ ნაირივე იყო შეხედულება სწავლა-აღზრდის სასყიდელ-საფასურზე ივერიის განათლების ისტორიის დასაწყისს ხანაშიაც, შით უმეტეს რომ საბერძნეთშიაც, საიდანაც საქართველოს გადაინერგა სწავლა-აღზრდის წეს-რიგი, სწავლება დაბალ სკოლებში უფასოდ სწარმოებდა.

ამ ხანაში (V—X-ს.) ივერიაში მიქცეული იყო ყურადღება ქალთა განათლებაზედაც. ამ საკითხის შესახებ, პროფ. ნ. მარრის სიტყვით, ფრიად ძვირფასს ცნობებს იძლევა იერუსალიმის ერთ-ერთ მონასტერში (რომელი მონასტერია პატივცემულ პროფესორს არ აქვს ნაჩვენები) დაცული ქართული ხელთნაწერი „საკვირველ მთის“ მოღვაწის წმ. სიმეონის ცხოვრებისა. ამ ხელთნაწერიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ

<sup>1)</sup> იხ. ხელთნაწერი მეფის ძის იოანეს ხელთნაწერთა კოლექციიდან № 71, რომელიც დაცულია პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავში (კანონი სომხური § 373 (ტოგ.).

ბიზანტიაშიაც იყო ჩვეულებად შეძლებულ მშობლებისაგან მასწავლებლისათვის ძღვენის მირთმევა (სანოვაგის სახით).

ის უთარგმნია ვინმე ეკატერინეს, შტროის ასულს, რომელსაც „სხვათა პატიოსანთა დათა შემწეობით“ აღუზრდია გადამწერელი ამავე ხელთნაწერისა ბასილი და აგრეთვე იმასაც, რომ ხელთნაწერი გადაწერილა ამავე დების საფასით. <sup>1)</sup>

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ დედა-კაცის მონური მდგომარეობა ივერიის კულტურის ისტორიამ აღარ იცის. ვახუშტის სიტყვით „ცოლნი საქართველოში მუდამ თანასწორი იყვნენ ქმრებისა“ <sup>2)</sup> და სწორედ აქიდან აიხსნება ის მოვლენა, რომ სამშობლო კულტურის აღყვავება-აღორძინების და კერძოდ სწავლა-აღზრდის საქმეშიც ქართველ დედებსაც დიდი წილი უდევს და ამ მხრით მათი ღვაწლი და ამაგი დაუფასებელია და მრავალ მხრივი. <sup>3)</sup>

გონიერ ივერიელებს ჯერ კიდევ VII—IX საუკუნოებში ნათლად წარმოდგენილი ჰქონიათ რეალური სინამდვილე დიდებულ რუსსოს სიტყვებისა: Point de mère — point de enfant“.

სამ. ცომაია

<sup>1)</sup> Проф. Марр — Гр. инъ автор. Груз. церк.“ („Церк. вѣд.“ 1907. г. № 3). ტექსტი ამ „ცხოვრებისა“ ხელთ ჰქონია ბ-ნ მარს და გვპირდება— ახლო მომავალში გამოცემა. (ibid. стр. 117, примѣч. 7-ое).

<sup>2)</sup> ვახუშტი—„საქართ. ისტ.“ გვ. 10.

<sup>3)</sup> სწავლა-განათლების ასპარეზზე ჩვენში უფრო ნაწილად „წმიდა დები“—მონაზვნები მოღვაწეობდნენ. ისინიც ხშირად წიგნების გადამწერლებიც იყვნენ.

1908 წ. მარტი—ივლისი



# მასწავლებელი

ამბავი ვ. დარბაქიძისა.

არტემ ფილატოვიჩი ერაზმოვი, მაღალი, წელში მოხრილი კაცი იყო, რომელიც გარეგნობით ორმოცდათხუთმეტის წლის ადამიანს მოგაგონებდათ, თუმცა ჯერ ოცდათხუთმეტის წლისა ძლივს იქნებოდა.

ქერა თმაში ხშირად ერია ქალარა და ისეთი უსიცოცხლო და მასთანავე მრისხანე სახის გამომეტყველება ჰქონდა, რომ პირველსავე შეხედვაზედ მიხვდებოდით, რომ ის ან დეპარტამენტის მოხელე უნდა ყოფილიყო, ან მასწავლებელი.

შეგირდებთან მუდმივ მეცადინეობას, მათი რვეულების სწორებას, კერძო გაკვეთილებზედ ხეტიალს, პედაგოგიურს კრებებზედ ყოფნას, წლითი წლობამდის ერთისა და იგივეს გამეორებას, აღმოეფხვრა მასში ყოველივე ცოცხალი აზრი და ადამიანური გრძნობა.

გაუხუნდა გული,—გაუხუნდა სახეც. თვალებს დაეკარგა ყოველივე სიცოცხლე, სახე დაეღმიჭა და მოექუშა, თმები ნაადრად გაუთეთრდა, ან კი რა ხერი უნდა დაჰყოდა იმ ადამიანს, რომელიც იძულებული იყო ასი მანეთის გულსთვის დღე და ღამე ესწორებინა.

ამ გვარ ხალხისათვის ბუნება განგება ჰქმნის ხოლმე განსაკუთრებულს ცოლებს. ის ფუნთუშა თურაშაულსავით თეთრ-წითელი ქალიშვილები, რომელნიც მანეში აბამენ ხოლმე ახალგაზდა მასწავლებლებს, გათხოვების შემდეგ საჩქაროდ სტკნებიან, ფერი ეკარგებათ და ორი-სამი წლის შემდეგ ისეთი კაპასები ხდებიან, რომ ცხენიდგან კაცს ჩამოიღებენ. ამას გარდა თვალეები უღრმავდებათ, თმა უთხელდებათ, ლოყები ემანჭებათ, კბილები უყვითლდებათ და სისხლნაკლებები ხდებიან.

დასასრული ყველა ამ უბედურებისა, — სწორედ ეხლა წარმოუდგებათ ხოლმე ამ ქალბატონებს, რომ საკვირველის სილამაზისანი არიან და საჭიროა მხოლოდ ახალის მოდის ტანისამოსის ჩაცმა. მაგრამ, რადგან ასი მანეთიდგან ხშირად ვერ შეიკერავს ახალს კაბებს, ამიტომ დაიწყება ხოლმე დაუსრულებელი ჩხუბი და ლანძღვა ცოლ-ქმართა შორის.

გარდა განსაკუთრებულის ცოლებისა, ბუნება ჰქმნის ხოლმე მათთვის ერთგვარ მოახლე დედაკაცებს — ნამდვილს ქაჯებს, რომლებსაც რაღაც სიამოვნებად მიაჩნიათ ქურჭლის მტვრევა, ავეჯეულობის წახდენა და ყოველივე სისაძაგლის თქმა და ავად ხსენება ბატონებისა, რომლებსაც უიმისოდაც სისხლი აქვთ გაფუჭებული.

კუდი სადილები, უხერხული სადგომი, მოვალეები, რომელნიც კრიკაში უდგანან და მოსვენებას არ აძლევენ, ცოლის კაპასობა, მუდმივი უსახსრობა და გაჭირვება, აი სურათი არტემ ფილატოვიჩის ცხოვრებისა.

გარეგანი შეხედულობით შეიძლება ეფიქრნა კაცს, რომ ერაზმოვის ცხოვრება ერთგვარია, სადაა და სხვა არაფერი, მაგრამ საჭირო იყო ოდნავ დაჰკვირებოდით, რომ დაგენახათ რა გენიის ცეცხლი ტრიალებს მის ცხოვრებაში და რაზომ მოშხამულია იგი. მთელი მისი სიცოცხლე სავსე იყო სიმძულვარით და ზიზღით ყოველიფრისადმი და უპირველეს ყოვლისა დაღმეჭილ თხელ თმიან ცოლისადმი, რომელიც სიკაპასისაგან დაოსებული წამოეგდებოდა სავარძელში და მოჰყვებოდა წუწუნს.

— შენ, მომიწამლე სიცოცხლე... შენ<sup>ღ</sup>ლატაკო, ლატაკო, ლატაკო...

მოსაშხახურე დედაკაციც, როცა მოუტანდა გაწმენდილს ფეხსაცმელს დაცინვით ეუბნებოდა: — ბატონო, თქვენი ფეხსაცმელები ახლებს თხოულობენ! ამასთანავე სძულდა, ეზიზღებოდა ყოველივე თავისი ამხანაგი — ისეთივე ლარიბ-ლატაკნი, როგორიც თითონ იყო; მოშურნენი და მამბეზლარნი, რომელნიც მუდამ მზად იყვნენ ამხანაგები დაესმინათ ღირეჭ-



ტორთან და მისი გული მოეგოთ, სულმდაბალნი და უფროსის ყურმოჭრილი მონანი.

არტემი ფილატოვიჩს სძულდა და ეზიზღებოდა ყველაისინი. შეგირდებს ეშინოდათ მისი, როგორც ძველის მასწავლებლისა, რომელმაც არავითარი შეწყნარება და პატივება არ იცოდა. არტემი ფილატოვიჩმა იცოდა, რომ მხოლოდ შიშით შეიძლებოდა ამ პატარა საძაგლების შეკავება, რომელნიც მზად იყვნენ გაეკილნათ და მასხარათ აეგდოთ ყოველი მისი ნაბიჯი.

ყოველ წუთს მოელოდა ის ასეთს ამბავს.

იცოდა, რომ ზურგთ უკან „სირაქლემას“ ეძახოდნენ და როცა შევიდოდა კლასში დაფაზედ ყოველთვის ვეებერთელა უხეიროდ დახატული სირაქლემა დახვდებოდა. ის ვითომ არ ამჩნევდა დაფაზედ დახატულს, გამოუძახებდა მორიგეს და ეტყოდა:

— დაფა წაუშლელია! გაასუფთავე.

ამდროს, სანამ მორიგე განგებ ნელ-ნელა შლიდა გძელ კისერა სირაქლემას, შეგირდები აქა-იქ ჩუმ-ჩუმად იცი-ნოდნენ.

ჩააწობდა კალამს საწერელში ჟურნალში ნიშნის დასასმელად, მაგრამ კალამს თან ბუზები ამოსდევდა და ნიშნის დასმის მაგიერ ჟურნალსა სთხვრიდა.

შეგირდები ჩუმად იცინოდნენ. მასწავლებელი ხელებით მაგიდას აბრაზუნებდა და თითქოს ვერ ამჩნევს შეგირდებისაგან ჩადენილს ეშმაკობას, იხმობდა ისევ მორიგეს.

— ეს რა ამბავია?

— ბუზები ჩაცვივნულა მასწავლებელო! ეუბნება მორიგე და თან სიცილს ძლივს იკავებს.

— თქვენ როგორცა სჩანს ყურს არ უგდებთ საწერელს!

— როგორ არ ვუგდებ ყურს, მაგრამ რა ვქნა თითონ ჩაცვივნულან.

არტემი ფილატოვიჩს გული მოსდის და დიდი მოთმინება სჭირდება, რომ სიბრაზისაგან ყურები არ ააგლიჯოს მორიგეს.

კლასში შევირდების ჩუმი სიცილის დასასრული არა აქვს. იმას დასცინიან, მასხარად იგდებენ, ის კი ზიზღით უცქერის ყველა იმათ და გაფაციცებით ეძებს ჟურნალში, რომ რომელიმე გამოიძახოს, ჩამოუსვას ერთიანი და დასტანჯოს.

— მე რომ რამე უბედურება შემემთხვეს, ეგ საზიზღრე-ბი ხომ მოხარულნი იქნებიან. და იმას მთელის თავისის არსებით სძულდა, ეზიზღებოდა ის ბავშვები, რომელთაც აღმზღელი და მასწავლებელი იყო ის. ეს ზარმაცი, წელმოწყვეტილი ბავშვები, რომელთათვისაც მთელი დღეების განმავლობაში თავი უნდა ეხეთქნა, რომ შეეგნებინა რამე.

აი, ეს უდროვოდ დაბერებული, ნახევრად ქალარა, გატანჯული კაცი შეეჭიდა მეოთხე კლასის მოსწავლეს პოდგურსკის.

საქმე ასე დაიწყო.

არტემ ფილატოვიჩს ის-ის იყო სახლში უსიამოვნობა მოუვიდა ცოლთან. ცოლი, მეტის სიბრაზისაგან გადარეული და დაოსებული, სავარძელში გორავდა და უყვიროდა ქმარს:

— რისთვის მითხოვე, თუ ცხოვრების თავი არა გქონდა? ლატაკო, რისთვის მომიშხამე სიცოცხლე?

მედუქნე კიდევ ვალს ითხოვდა და ემუქრებოდა სასამართლოში გიჩივლებო.

— მომბეზრდა ამდენი თხოვნა, — ეუბნებოდა მედუქნე, სასამართლოში გიჩივლებ, დირექტორს შევატყობინებ! ჩემს ფულს რათ მიჭერთ!

მოსამსახურე დედაკაციც თითქოს განგებ ღრიალებდა სამხარეულოში ყველას გასაგონათ, „მე ამის მეტი აღარ შემიძლიან ლატაკებთან ცხოვრება“.

არტემ ფილატოვიჩმა ველარ გაუძლო ამ ჯოჯოხეთს, ადგა და გარედ გავარდა.

ის დარეტანებულსავეთ მიდიოდა ქუჩაზედ და თან თავის გაჩენის დღეს სწყევლიდა და ჰკრულავდა. უცებ ჯვარედინს გზაზედ რეზინის შინებიანმა ეტლმა ჩამოუსრიალა და ისრე მძლავრად შეასხა ლაფი, რომ სათვალეებიც კი აღარ დარჩა სუფთა.

ეს, რასაკერვლია, ჩვეულებრივი მოვლენაა ისეთს ქალაქებში, სადაც ღარიბები არიან, რომელნიც ფეხით დადიან და მდიდრები, რომელნიც რეზინიანი ეტლებით დაჰფრინვენ.

მაგრამ არტემ ფილატოვიჩის სწორედ ესაა ეჭვება, რომ საშინელი შეურაცხყოფა მიაყენეს. იმას ღარიბ, დატაკს ტალახი შეასხეს. იმას, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ახალთაობის აღზრდას შესწირა.

არტემ ფილატოვიჩმა უცებ მალა აიხედა. რეზინიანი ეტლიდან სალამს აძლევდა მეოთხე კლასის შეგირდი ალექსი პოდგურსკი, პაწია პრუსიულს ქუდში და კოხტა პალტოში გამოწყობილი.

სალამს აძლევდა ვითომ დაცინვით, როგორც ეჭვება არტემ ფილატოვიჩს: განა შეეძლო სხვა ნაარად სალამის მიცემა? იმან რეზინიანი ეტლით ტალახი შეასხა იმ მასწავლებელს, რომელიც სძულდა და ეჯავრებოდა.

— საძაგელი.... საზიზღარი... ქმნილება.

არტემ ფილატოვიჩის ცრემლები მოერია და სული ყელში მიებჯინა.

ის ერთს ადგილას შესდგა მუშტებ მოღერებული და არ იცოდა რა ექნა.

— მომითმინე, საზიზღარო ქმნილება! მე გაჩვენებ შენსეირს!

მეორე დღეს არტემ ფილატოვიჩი შევიდა თუ არა სკოლის კარაპანში, პოდგურსკი მაშინვე მიეგება: — მაპატივეთ, არტემ ფილატოვიჩ... გუშინ მე მგონი გაგსვარეთ... მაგრამ დმერთს გეფიცებით განგებ არ ჩამიდენია. მეეტლემ ვერ გააჩერა, ახალი ცხენია და ძალიან იწვეს.... მე მინდოდა მაშინვე ბოდიში მომეხადნა, მაგრამ ცხენი ვერ შევიკავეთ...

როგორ უსირცხვილოდ თავსაც იმართლებს, გაიფიქრა მასწავლებელმა.

— დამეკარგე აქედან... საზიზღარო ბაღანავ!

— სირაქლეთა მოდის... ძალზედ ბრაზიანია! განაცხადა მორიგემ.

კლასი გატრუნდა. არტემ ფილატოვიჩი მართლაც ღრუ-

ბლიან დღესავით მოჭეშული შვეიდა კლასში. ჩემად გადა-  
შალა ჟურნალი. ისე სდუმდა კლასი, რომ ბუზის ბზუილიც  
კი ისმოდა. ბოლოს ეს სამარებრივი სიჩუმე უცებ დაირღვა,  
მასწავლებელმა, რაღაც არა ჩვეულებრივის ხმით წამოიძახა:

— პოდგურსკი ალექსი.

პოდგურსკი გავიდა დაფასთან.

— მომიგე დღევანდელი გაკვეთილი.

პოდგურსკიმ დაიწყო.

— ასე არ არის!

პოდგურსკიმ ხელახლივ დაიწყო.

— ასე არ არის!

პოდგურსკი შეჩერდა და სახტად დარჩა.

— აბა, ბატონო პოდგურსკი?

— მე... მე არ ვიცი... არ დამისწავლია გაკვეთილი.

— ერთიანი.

არტემ ფილატოვიჩმა სიამოვნებით დაუსვა უშველებე-  
ლი ერთიანი ჟურნალში.

— დაჯექ შენს ადგილას! გაკვეთილები უნდა ისწავლოთ  
და არა რეზინიანის ეტლით ისეირნოთ ქალაქში და პრუ-  
სიული ქუდი იხუროთ... პრუსიულს იუნკერის დამიხედევით!

ყველაზე უფრო საშინელი რაც იყო მოხედა: ერთიანი  
უკვე დაისვა.

პოდგურსკიმ შეურაცხყოფილად ჩასთვალა თავისი თავი,  
გაბრაზდა და გაბედულად მიუგო: — ეტლით სეირნობა, მე მგო-  
ნი, არაფერი საძრახისია, მით უმეტეს როცა მამაჩემს თავისი  
საკუთარი ეტლი აქვს და ცხენებიც ჰყავს! ქუდსაც ისეთს ვიხუ-  
რავ, როგორსაც მამაჩემი მირჩევს. ჩემს ქუდს არაფერი დამო-  
კიდებულობა არა აქვს სწავლასთან. აი რა.

არტემ ფილატოვიჩი მთლად აენტო.

— ხმა იკმინდე!... შენს ადგილას დაეგდე!... უსირცხვო,  
პასუხის მიცემასაც ჰბედავ.

შევირდებს არასოდეს, შენობით არ ელაპარაკებოდა  
ხოლმე არტემ ფილატოვიჩი, არამედ „ოფიციალურად“ თქვე-

ნობით. მხოლოდ ესლა თავი ვერ შეეკავებინა და თითონაც არ ესმოდა რას ამბობდა.

— საზიზღარი... წამხლარი... ბაღანა...

— მე ჩემს ადგილზედ კი წავალ, მაგრამ თქვენ არაფერი უფლება გაქვთ მაგინოთ და შეურაცხყოფა მომაყენოთ! დაუმატა პოდგურსკიმ და თავისს ადგილას წავიდა.

— დაიკარგე, გაეთრიე კლასიდგან!...

არტემ ფილატოვიჩი ისეთ ნაირად ჰყვიროდა, რომ სხვა კლასებშიაც გადიოდა ხმა.

პოდგურსკი მოტრიალდა და ჩქარის ნაბიჯით გამალებული გავარდა გარეთ.

არტემ ფილატოვიჩს მთლად თავ-გზა აებნა, არ იცოდა რა ექნა: იძახებდა შევირდებს, ჰკითხავდა გაკვეთილებს, სულ უბრალოზედ ჯავრობდა, უსვამდა ცულ ნიშნებს, ზოგს კიდევ უბრალო პასუხისათვის ხუთიანებს უსვამდა.

დაჰკრეს თუ არა ზარი, იმან საჩქაროდ მიატოვა კლასი, შევარდა კანცელარიაში და დირექტორს მივარდა.

— პოდგურსკი აღექისი... დაიწყო იმან, მაგრამ დირექტორმა გააწყვეტინა.

— თქვენ დღეს ისეთ ნაირად ჰყვიროდით კლასში, რა მოგივიდათ?

— პოდგურსკიმ... შეურაცხყოფა მომაყენა... მე გთხოვთ სასტიკად დასაჯოთ— პოდგურსკი... პოდგურსკი ეგ რომელია? აღარ მახსოვს... ის მე მგონია ცულად არა სწავლობს?

— დიახ... დიახ ის საშინელი ბრიყვია... თავის თავს ნებას აძლევს...

— კეთილი... მაგრამ ყვირილი არ შეიძლება... კლასი ქუჩა არ არის... ყვირილს ადგილი არ უნდა ჰქონდეს კლასში... პოდგურსკის დავსჯით... მაგრამ არ უნდა გეყვირონათ... სხვა კლასებში მეცადინეობას უშლით... ეგ მასწავლებელს არ შეჰფერის... მე გთხოვთ, რომ კვლავ აღარ გაგემეორნოთ...

ისპექტორს მიანდევს, რომ პოდგურსკისთვის კლასში საჯაროთ შენიშვნა გამოეცხადებინა და სამის საათით დაემწყვდია კლასში.

პოდგურსკი ეხლა ტრაბახობდა ამხანაგებში:

— იმიტომ გადამეკიდა ეგ უსვინდისო სირაქლემა, რომ გუშინ თავი დამ ფეხამდის ტალახით გავსვარე...

ომი უკვე გამოცხადებული იყო მოხუც მასწავლებელსა და შევირდს შორის.

ომი საკვდო-სასიცოცხლო.

პოდგურსკის ხშირად გაიძახებდა ხოლმე სირაქლემა მარტო იმისათვის, რომ როგორმე ცუდი ნიშანი დაესვა.

— სირაქლემა შურს ძიობს, — ამბობდა მთელი კლასი და დიდის ინტერესით თვალ-ყურს ადევნებდა ამ დაუსრულებელს ომს მსწავლებელსა და შევირდს შორის.

— თქვენ სხვისაგან გადაგიწერნიათ, — ბრაზიანის კილოთი ეუბნებოდა სირაქლემა, როცა უწუნებდა მშვენივრად დაწერილს თხზულებას და უკან უბრუნებდა.

— არავისგან არ ვადამიწერია! — ცივად ეუბნებოდა პოდგურსკი და თან თამამად და შეუპოვრად უცქეროდა თვალში მასწავლებელს.

— დაჯექით თქვენს ადგილზე! ყვიროდა არტემ ფილატოვიჩი, გრძნობდა რა პოდგურსკის სიმართლეს.

ამ სულელურს და უთანასწორო ომს მოთმინებიდამ გამოჰყავდა თვით მსწავლებელი, მაგრამ უკან დახევა გვიანი და იყო.

— რას იტყვის ეს ბაღანა? დავჯობნე და დავიმორჩილეო, ან მთელი კლასი რას იტყვის.

— ერაზმოვს უნდა, რომ პოდგურსკის მამამ შინ მასწავლებლად მიიწვიოსო! ჩურჩულობდნენ ერთმანეთში მასწავლებლები.

ერაზმოვი მიხვდა ამას და თავის მიუდგომლობის დასამტკიცებლად, პოდგურსკის ეხლა ხუთების წერა დაუწყო. იმას თავ-გზა დაეკარგა. ომი ანრჩობდა მას. ომი კი გრძელდებოდა და დასასრული არ უჩანდა. არტემ ფილიტოვიჩი გრძნობდა, რომ მის ზურგს უკან პოდგურსკი ყოველივე მის ნაბიჯს სწონავს და მასხარად იგდებს. და მართლაც, მოიხედავდა თუ არა

უკან, ყოველთვის პოდგურსკის თამაში და შეუპოვარი თვალე-  
ბი ეფეთებოდა ხოლმე.

შეგირდი დღესასწაულობდა.

ერთხელ იმ დროს, როცა სირაქლემი დიდ-სულოვნობდა და პოდგურსკის უწერდა ხუთიანებს ჟურნალში, რათა თავისი მიუდგომლობა დაემტკიცებინა, სასწავლებელი ინახულა ერთმა უფროსთაგანმა.

— მობრძანებულა, — გაისმა ხმა კარაპანში.

შეგირდებს არ უშვებდენ გარედ დასვენების დროსაც კი. აღმზღელები ათვლიერებდნენ შეგირდებს, ყველას აცვია ფორმის ტანისამოსი თუ არაო. მთელს შენობაში სამარისებრივი სიჩუმე არსებობდა. მარტო ამითაც შეიძლებოდა მიხვედრილიყო კაცი, რომ დიდი კაცი მოსულიყო სასწავლებლის დასათვლიერებლად.

უფროსი შევიდა არტემ ფილატოვიჩის გაკვეთილებზედ, ხელი ჩამოართვა მას, სალამი მისცა შეგირდებს, გადაათვალიერა ჟურნალი და უცებ შენიშნა:

— ეს როგორც ეტყობა ნიჭიერი შეგირდი უნდა იყვეს, ორი ხუთიანი მიულაა ზედი-ზედ. პოდგურსკი აღექსი.

პოდგურსკი გამოვიდა ჩვეულებისამებრ დაფასთან, არტემ ფილიტოვიჩს არც კი შეხედა.

— მომიგეთ გუშინდელი გაკვეთილი.

არტემ ფილიტოვიჩი გაფითრდა. პოდგურსკი რაღასაც აბდა უბდას ჰბოდავდა.

უფროსმა გაკვირებით შეხედა მასწავლებელსა და შეგირდს.

— მომითმინეთ... გუშინ ხომ თქვენ მაგ პასუხისთვის ხუთი მიგილიათ?

— გუშინ მაგან... დაიწყო არტემ ფილატოვიჩმა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა.

პოდგურსკიმ ნიშნის მოგებით გადახედა მასწავლებელს. იქ მყოფ დირექტორსაც კი სირცხვილისაგან ფერი მისდიოდა.

— უცნაურია სწორედ! უბღლ შეკმუხვნით სთქვა დი-

რექტორმა. ალბად ცუდათ ითვისებენ შეგირდები გაკვეთი-  
ლებს. გუშინ სკოდნია, დღეს აღარ იცის... დაჯექით ბ.  
პოდგურსკი! ეცადენით კარგათ შეითვისოთ გაკვეთილები!

უფროსი უგულოთ გამოეთხოვა მასწავლებელსა და  
შეგირდებს, გამოვიდა გარედ და ხელმეორედ გაუმეორა დი-  
რექტორს:—თქვენი მოვალეობაა ყურადღება მიაქციოთ ამ  
გარემოებას, შეგირდები ცუდათ ითვისებენ გაკვეთილებს.

— პოდგურსკი! წამოიყვინა არტემ ფილატოვიჩმა, გავი-  
და თუ არა უფროსი კლასიდან.

— რას მიბრძანებთ?

— რატომ არ მიუგე როგორც წესი იყო გაკვეთილი?  
თქვენ ხომ...

— მე ვიცოდი გაკვეთილი, მხოლოდ იმათი შემეშინდა  
და გადვირიე.

პოდგურსკი თავ-მომწონედ, ნიშნის მოგებით უცქერდა  
მასწავლებელს და უხაროდა მისი შერცხვენა. მის სახეზედ  
ამოიკითხავდით:

ნახე? გადაგიხადე სამაგიერო თუ არა?

არტემ ფილატოვიჩს კი სული ყელში ებჯინებოდა.

— მოიცა ეგზემენების დრო მოვა, გაჩვენებ სერის..  
ჭფიქრობდა თავისს გულში მასწავლებელი

— ეგზემენებისთვის პოდგურსკი გვარიანად მოემზადა:  
მისი დარჩენა იმ კლასში ხელმეორედ შეუძლებელი იყო.  
როცა გავიდა ეგზემენზედ, მისაგებად მის თავმოყვარე, გაბე-  
დულს სახეს ადვილად შეამჩნევდით.

— ვერ ჩამქრი, ვერ მოგართვეს. გინდა თუ არა მაინც  
კარგი ნიშანი უნდა დამისვა. კარგა ვარ მომზადებული, რას  
მიხამ. აიღო ბილეთი, დახედა, უკანვე დასდო და დაიწყო.  
მაგრამ მასწავლებელმა ბილეთის დამთავრება არც კი აცალა.  
ისეთი კითხვები მისცა, რომელნიც ორი-სამის წლის წინად  
ესწავლათ.

პოდგურსკის თავგზააქაენა:—მე... მე... ეგ აღარ მახ-  
სოვს...

არტემ ფილატოვიჩმა ნიშნის მიგებით შეხედა პოდგურსკის.



— ეგ როგორ იქნება? მეხუთე კლასში უნდა გადახვიდეთ და ისიც კი არ იცით, რასაც მეორე კლასში გადიან... ერთიანი!

არტემ ფილატოვიჩმა სიამოვნებით ჩამოუსვა უშველებელი ერთიანი.

პოდგურსკის სახე მოექუშა, ცრემლები დაბა-ღუბით ჩამოსცვივდა, სული ყელში მიებჯინა.

— არტემ ფილატოვიჩ, რას მიშვრებით? მაპატივეთ...

— დაჯექით...

— არტემ...

არტემ ფილატოვიჩმა მხიარულად გაიღიმა.

— გამოდით, შემდეგ ვინ არის.

პოდგურსკი ტორტმანით წავიდა თავის ალაგას.

როცა მეორე დღეს დილით არტემ ფილატოვიჩი სკოლაში გამოცხადდა, შესავალ კარებთან მდგომმა შეშინებულმა შეგირდებმა საჩქაროდ გზა მისცეს. ზოგს სალამის მიცემაც კი დაავიწყდა და შეშინებულნი და შემკრთალნი ზიზლით უცქეროდნენ „სირაქლემას“. კიბეზედ კიდევ შეშინებული, აღელვებული და მთლად გაფითრებული დირექტორი შეხვდა.

— პოდგურსკიმ თავი მოიკლა.

— როგორ?

— გუშინ სალამოს ეგზემენის შემდეგ თავი მოუკლავს. დღეს იპოვნეს მკვდარი. არტემ ფილატოვიჩს მუხლთ მოეკეცა და მოაჯირს მიებჯინა, რომ არ წაქცეულიყო. მთლად გაფითრებული გიჟსავით შესცქეროდა დირექტორს და გონს ვერ მოსულიყო.

— როგორ? მოიკლა თავი? პოდგურსკიმ?

— გეუბნებით თავი მოიკლა... როგორ და ესე როგორც სხვები იკლავენ ხოლმე თავს!

არტემ ფილატოვიჩმა შუბლზედ გადისვა ხელი, თითქოს უნდოდა გონს მოსულიყო.

— მე ეგზემენის განგრძობა აღარ შემიძლიან... მე თავი...

ის უკანვე გამობრუნდა. შეშინებული შეგირდები საჩქაროდ ჩამოეცალნენ გზიდგან.

მიდიოდა უგზო-უკვლოდ, არ იცოდა სად და რისთვის.

— პოდგურსკიმ შეთხე კლასის შეგირდმა თავი მოიკლა, ამეორებდა ის წამდაწამ უაზროთ.

ახალს, ჯერ კიდევ გაუმშრალს საფლავთან, რომელსაც მრავალნი გვირგვინები ამკობდნენ შემდეგის წარწერებით: „ამხანაგთაგან“, „ღარდით მოკლულ მამისგან“, „პატარა დაისაგან“, და მრავალ სხვათაგან, მუხლ მოყრილი იდგა არტემ ფილატოვიჩი და მწარედ ქვითინებდა.

„ქვითინებდა წყნარად, დაბლა, ისე როგორც შეუძლიან იტიროს ხანში შესულმა კაცმა.

რაზედ სტიროდა ეს საბრალო, უღროვოდ მოხუცებული აღამიანი?

უღროვოდ დაკარგულს სხვისა სიცოცხლეს? თუ თავის გატანჯულს, გაწბილებულს სიცოცხლეს, რომელმაც იქნამდინ მიიყვანა, რომ ბავშვი დააღუპინა?

თუ ორივეს, ერთად? ვინ იცის?

ბევრი რამ მდულარება გამოითქმის ორმოცდა ხუთი წლის კაცის ტირილიში.

**ზ. ედილი**

# ნ ა ფ რ ქ ვ ე ვ ი

საღაროგ ჩემი სულისა  
და ჩემთა მისწრაფებათა,  
საკაღობელად კმეული  
მეგობრებსა ქება-ქებათა!

შენთვის ვაუღერო ხმა-მწეობრად  
ობოლი ჩანგის სიმება,  
ავკინძო გრძობა-გრძობაზე  
შენგანვე ნაწიმიტები!

მიგ შეუერთო ცხოვრების  
ნადველ-ნაწები წყლულები  
და ვაღაღადო საქვეყნოდ,  
ვით პირველ მცირე ქულები.

მთა-ბარს შეგტეორნო ხმა-  
ტკბილი,—  
ხან სავაჟაკოდ ქებული,  
ხან ნარნარ გრძობათ აღმძვრელი—  
მიბნედილ-მიანაზებული.

\* \*

სახე ღვთიური, სრულ-ქმნილი  
მარად მტრებით მესახვის,  
თითქო თვალებით მანიშნებს  
და თავისაკენ მეძახის,

რომ სიახლოვეს მის ჭვრეტით  
შევერობო ძალა სულისა  
და ვუძღვნა ჩემსავ ქვეყანას  
მსგავსად რამ თაბგულისა.

შორით-შორს ჩემთვის გაშლილან  
გული და გრძობა ნარნარი,  
თვისკენ მიმიწვევს ასრება  
ჰეროფანი, ხმა-მტკბარი,

რომ იმის გულის ძვერითა  
მეც გული ამენტებოდეს  
და, საქვეყნოზე აგზინილი,  
საჭირ-ბოროტოდ დნებოდეს!..

სხივთა-მფრქვევე აკსსა შევეურებ,  
იდუმალ განვსჭვრეტ გული,  
მისკენ მიზიდავს მცნება  
და ძალა რაღაც გრძნეული,

რომ მივსწვდე, შუქი მოვსტაცო,  
მისივე მანათობელი,  
და ერს გადავსტე ის ცეცხლი,  
მომაკვდავთ უკვდავ-მუთუელი!..

ავაგზნო გული ერისა  
ცით მიხანბერი აღითა,  
რომ მიაღწიოს დიდ მიზანს  
თვისივე ძალთა-ძალითა!..

მაშინ კი იგი, ტანჯული,  
განვლილ ჭირთ აღარ ნანობდეს  
და დღეს უძღური, მძლე-ქმნილი,  
გმირობდეს, ამირანობდეს!..

\* \*

გერ დამაბრკალებს გზა ვიწრო:  
სავალნი სხივთათრნი:  
წინ მიძღვის გუნდი რჩეულთა,  
არა ვართ მარტოთ-მარტონი!..

აწმეოში მეათესა მწუნრდა  
შორით ხმა მესმის შუებისა,  
აღთქმულ ქვეყანას დავეძებ,  
მსგავსად ისრავლთ მტნებისა!

რა უნდა გითხრათ ბენავმა, —  
რაღა დრო ანის კვეხნისა, —  
მაგრამ მე ძალას მიმატებს  
ვარამი ჩემის ქვეყნისა!

ვეძიებ, დაად, ვეძიებ,  
თუნდ მოვუღო ქვეყნის ბირები,  
ზუნდა ვეწვეო ხორც-სხმული,  
ქვესწინელშიც დავიძირებ;

გოლგოთას მწვერვალს ვიკეშებ  
მისივ სსაჯულის სვეეთა, —  
მაგრამ ტრფიადის ძახილზე  
მეისვე აღვსდები მკვდრეთითა!..

\* \*

მამ, იწკრიალეთ, სიმებო,  
არ, არ შესწვიტოთ ჟღერანი; —  
ხედავთ, რა შურით გვიურებს  
ჩვენი მტარვალი-ვერანი!..

თქვენ რომ წინისკენ გვეწვიოთ,  
ის უკან მიგვეზიდება!  
ის არ იკმარა, რაც სთელა  
ჩვენი სახელი, დიდება!..

წინ დაუშეით ვერაგსა  
ძალები ჩვენი სულისა  
და თავ-განწირვაც ვუჩვენოთ  
იესოს მტრიქულისა.

დე სძლიოს ძალამ სიმართლის  
უხეში ძაღთა-ძალები

და უმაღლესი მიზნისთვის  
მასც აუხილავს თვალები!

\* \*

უხედავ, მოკრს სატრფოს უჭიკავს  
ხელთ ტოტი ზეთის-ხილისა, —  
იქნებ მოესმა, სიმებო,  
ხმა თქვენის მოძახილისა!..

უური მიუგდო ღაღადისს,  
გამოთქმულს ტანჯულთ ენაზე,  
ღმობიერებით აივსო  
თქვენს შეურეველ რწმენაზე!..

ხმა ტებილი, ნადველ-ნარვევი,  
მასაც სწვდა მტარეოდენი  
და ნიშნად სათნო-უოფისა  
გადმოგვცა გიხაროდენი!..

მამ, კვლავ განაგრძეთ, განაგრძეთ  
იმედ-მოსილი ხმებითა,  
ჩსწვდით ერის გულს, აავზნეთ  
ის მიზან-შეთანხმებითა!..

საღაროვ ჩემი სულისა  
და ჩემთა მისწრაფებათა,  
საგალობლათ კმეული  
მიიძვევნ ქება-ქებათა!

შენ მუყანარ ჩემად იმედად,  
მიმზიდველ ანდამატად!  
მეც შენი სახე მარადის  
გულს მისვენია ხატად!..

დ. თომაშვილი.

## ხელოვანი მასწავლებელი.

სრულიად სამართლიანად ამბობენ, რომ ქვეშარიტი ხელოვანი პედაგოგი არ ჩამოუვარდება არც ერთს ნიჭიერს მსახიობს და არც ერთს მაღლის ნიჭით დაჯილდოვებულს, ზეგარდმო მაღლით ცხებულს მწერალს, მექანდაკეს და მათთა მსგავსთა. უკანასკნელები ჰქმნიან სიტყვით ქალაქს, სცენას, ტილოზე, თიხაზე და მარმარილოზე, მასწავლებელი კი — ბავშვის ცხოველ სულზე.

მშვენიერს სურათს იძლევა ამის შესახებ ბ.ნი დაუგეთაივის წერილში „ხელოვან მასწავლებელზე“, რომელიც დაისტამბა წარსული წლის ჟურნალ „Вѣстник Восп.“ დეკემბრის ნომერში.

ის მასწავლებელი მოღვაწეობს გერმანიის ერთს მივარდნილს სახალხო საქალაქო სკოლაში, ასწავლის 9—10 წლის ბავშვებს, ბავშვები მას ძლიერ უყვარს, ყველას კარგად იცნობს, ყველასთან მეგობრული განწყობილება აქვს. ხალისიანად მუშაობს, ხშირად გულწრფელი გატაცებითაც. მაგრამ ხანდახან უსიამოვნო, სამწუხარო და საზარელ წუთებსაც განიცდის, როცა დაღლილობას, გულ-გრილობას, არარაობას და ზოგჯერ ზიზღსაც კი გრძნობს სავალდებულო საკლასო მეცადინეობით ხშირად ხედავს, რომ მოწათფები მოწყენით არიან, უხალისოთ მუშაობენ, თვითონაც მოწყენილობას გრძნობს, თავი მოაბეზრა მას ერთ და იმავეს მუდმივ გამეორებამ. ხანდახან სასოწარკვეთილებაშიაც ვარდება. უნდა მიაგდოს სადმე კუთხეში წიგნები და საწერ-კალამი, გამოვიდეს საკლასო ოთახიდან და გაიქცეს. ამ წუთებში ის თავის ბედსა სწყევლის. რად, რად წავიდა მასწავლებლად? განა მასწავლებლობის გარდა ქვეყანაზე სხვა სასარგებლო, ცოცხალი და ნაყოფიერი სამუშაო არ არის? განა მასწავლებლობისთანა მოსაწყენი ხელობა არის კიდევ სხვა რამე?

დაირეკა. წერის გაკვეთილია. ის ზიზღით შეაღებს საკლასო ოთახის კარებს. იგივე სურათია, რაც ყოველ დღეს:

ორმოც და ათი ბავშვი ჩვეულებრივის მოძრაობით და ხმაურობით ზეზე დგება. გაკვეთილი იწყება. სწერენ. თვითონ სწერს საკლასო დაფაზე დიდს, სწორს, შნოიანს ასოებს, უხსნის თითოეული ასოს მოხაზულობის ხასიათს. მოწაფეები ბეჯითად მუშაობენ, ყველა სცდილობს კარგად გადასწეროს, წამდვილ პასუხებსაც იძლევიან, მაგრამ მაინც მოწყენილობაა. რა უნდა ჰქნას? უნდა იმუშაოს! მაშ, დასწერეთ კიდევ ერთხელ! პირველი რიგი! მეორე! შემდეგი! კიდევ! კიდევ! კიდევ!

ასე დაუსრულებლად. ერთი საათი, ორი, სამი. ასე მთელი კვირაობით, თვეობით, წლობით, ერთი და იგივე, ერთი და იგივე, ერთი და იგივე. ღმერთო ჩემო, როდის გათავდება? სწერენ.

— „ჰეი, პავლე, რა გქონდათ დღეს სადილად?“ — გაუფრთხილებლად და სრულიად უადგილოდ წამოისროლა მასწავლებელმა ეს სიტყვები. მაგრამ თავი ვერ შეიკავა, უნდა რამე ეთქვა, თუ გინდ სისულელე, ოღონდ გაეწყვიტა კი ეს მომაბეზრებელი ერთგვარობა.

მაგრამ მიზანს მიაღწია. ყველაფერი გამოცოცხლდა. საქმელზე საუბრიდან გადადიან უფრო საინტერესო საგანზე, სკოლის მომავალ დღესასწაულზე და გასეირნებაზე. რა მდიდარი, დაუსრულებელი თემა! ხუთი წუთის განმავლობაში ცოცხლად და მხიარულად საუბრობენ. ყველასთვის კარგია.

მაგრამ დროა განაგრძოთ სამუშაო! კმარა! ეხლა ისევ სწერეთ! პირველი რიგი! მეორე! მესამე! სწერენ.

ამ დროს მასწავლებელმა ასე გადასწყვიტა: ყველა გაკვეთილისათვის წინდაწინვე მოვამზადებ ყველასათვის საინტერესო თემას საუბრისათვისაო. ვიმუშავებთ და ვისაუბრებთ, ვიმუშავებთ და ვისაუბრებთ. სხვანაირად არ შეიძლება. თუ ასე არაა, მოწყენილობა ამოგვხდის სულს.

ხატვის გაკვეთილია. ისევ ის მეორდება

შემდეგ მასწავლებელი დიდხანს ჰფიქრობს, რომ ყველა ეს სხვანაირად უნდა მოაწყოს. სულ ახლად. გადასწყვიტა საკლასო სამუშაო მოაწყოს ისე, რომ თვით საუბრის შინა-

არსმა, სურათმა გაიტაცოს მოწაფეები, მისცეს საზრდო ბავშვის ფანტაზიას, რომ თითოეულ ბავშვს შეეძლოს სამუშაოში თავისი საკუთარი რამე ორგინალური შეიტანოს თავისი სულის შინაარსიდან, რომ სამუშაოში ჩნდეს რამდენადმე შემოქმედებითი ელემენტი.

კარგადაც გამოდის. როცა მასწავლებელი კლასის დახმარებით საკლასო დათაზე სამეფო კოშკს ხატავდა და ასურათებდა რაღაც მოთხრობას, თითქმის ყველა მოხაზულობას კლასი უკარნახებდა. ეს იმის დამამტკიცებელი იყო, რომ ბავშვების მხატვრული ფანტაზია ფხიზლობდა, ბავშვები, თუმცა თვითონ არ ხატავდნენ, მაგრამ სამუშაოში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ. მაგრამ თვითონ ბავშვებიც, როცა თავისთავად ხატავდნენ რასმე, რაც თავისი შინაარსით იზიდავდა მათ, დიდის ხალისით და დაუღალავად მუშაობდნენ. ტეხნიკის მხრივ შეცდომებს მასწავლებელი იმდენ ყურადღებას არ აქცევდა, მხოლოდ ცოცხლად და მკაფიოდ უნდა ყოფილიყო გამოხატული დამახასიათებელი მხარე რომელიმე საგნისა თუ ვეფხვში ცხადად სჩანდა კატის ბუნება, მგელში გაუმაძღრობა, მეპურეში—სიმაძღრე და სხ. მასწავლებელი უსათუოდ მოუწონებდა მოწაფეს ასეთს ნახატს, თუმცაღა შიგ შეცდომები ყოფილიყო ანატომიისა და ტეხნიკის მხრით. მან იცის, რომ უტეხნიკოდ კარგად ხატვა შეუძლებელია, მაგრამ ტეხნიკა მისთვის მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი, რასაც მოითხოვს ის პროგრამმა, რომლითაც მუშაობს კლასში. რამდენიც ხანი მიდის, რასაკვირველია, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს წმინდა ტეხნიკურ სავარჯიშოებსაც, მაგრამ რამდენადაც პატარაა მოწაფე, იმდენად უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ვარჯიშობას წარმოდგენილებისა და დაკვირვების ძალების განვითარებაში. ამ ხანაში რომ განსაკუთრებით ტეხნიკას მიაპყრან გულის-ყური, ბავშვებს დაეკარგებათ სასწავლო საგნისადმი ხალისი, რაშიაც ის საკმარისად რწმუნდებოდა. მის შემდეგ, რაც კი კლასში მუშაობა ახალის წესით შემოიღო, ყველაფერი კარგად მიდის, ყველა ხალისიანად მუშაობს, ყველას უხარია.

მოსწყინდება მასწავლებელს ვალობის ვაკვეთილებზე. აი თუ გინდ გუშინდელს ვაკვეთილზე. ისევ ისეთმა ზიზღმა და სევდამ შეიპყრო მასწავლებელი, არ იცოდა რა ექნა. მაგრამ როგორ იქნება ასე?—სიმღერა—და მოწყენილობა! განა ეს შესაძლებელია? განა სიმღერა თვითონ სიამოვნებას და მხიარულებას არ შეიცავს. მაინც მოსაწყენია.

იმღერეს ვაკვეთილზე ერთი სიმღერა, მეორე, მესამე. გონივრულად და მეთოდურად შედგენილი პრაგრამის მიხედვით. შემდეგ რა? უმწეოდ შეჭყურებს მასწავლებელი კლასს და შეუფხვნილად ათამაშებს თითებს როიალის საკვრელ ძვლებზე, იცქირება შორს და ჰფიქრობს რა ჰქნას ეხლა, მალე შობა მოახლოვდება და ახალი საგალობელი უნდა ასწავლოს, ეხლა კი არ ღირს.

— აბა კიდევ ვიმღეროთ რამდენიმე ძველი სიმღერები! იმღერიან ერთს, მეორეს, მესამეს. მაგრამ არც ერთს ამაში არც წესია, არც არავითარი იდეა. მხოლოდ მექანიკურად იმღერიან და იმღერიან. გამოდის მოსაწყენად.

უცებ აზრი იმის შესახებ რომ მალე შობა მოახლოვდება—მასწავლებელს განსაკუთრებული ძალით შეიპყრობს; აღელვებული ადგება და ფანჯარას მიადგება. გარედ თოვს. ნელ-ნელა ცვივა ზევიდან თოვლის დიდი ბარდანები, ზურგს უკან ისმის ჯერ ჩურჩული, შემდეგ ხმა მალლა მხიარული ხმაურობა. უცებ ასტყდება მხიარულობა და სიცილი. ის განგებ არ მოტრიალდება. დეე, იჩურჩულონ, იმხიარულონ, გამოსთქვან თავიანთი აღტაცება ხმა-მალალი მხიარულობით და სიცილით!

თვითონ კი ზამთრისა და მომავალი სასურველი დღესასწაულის პოეზიამ შეიპყრო. სიტყვებმა, მხატვრულმა სახეებმა, მოტივებმა იფეთქეს მის ფანტაზიაში, აღელდნენ, ათრთოლდნენ და აღუვსეს გული ფუფუნების უზომო გრძნობით. მოუნდა მოეხიბლა ამით ბავშვებიც, მოეხიბლა თავისი გულნადები აზრებით; რომ იმათაც მოუნდესთ სიმღერა, სიმღერით წარმოსთქვან სულის მღელვარება და სიმხიარულე.



უცებ მობრუნდება. — „ბავშვებო! მე თქვენ რასმე გინამბობთ ზამთარზე და შობაზე“!

კლასში სამხიარულო ჩოჩქოლია. ბავშვები მხიარული, ბრწყინვალე და მოლოდინით ანთებულის თვალებით შეჰყურებენ მას.

— „აი როგორ იყო. ღამე იყო—სწორედ ისეთი ამინდი როგორიც დღესა. თოვდა. (ჯერ თვითონაც არ იცის დაწყებული როგორ განაგრძოს, მაგრამ იცის, რომ საჭიროა მხოლოდ თამამად დაიწყოს და შემდეგ საქმე კარგად წავა). და მთელი დღე თოვლი მოდიოდა და ყველაფერი დაიფარა თეთრს თოვლს ქვეშ. დაღამდა. ეს იყო შობა წინა ღამეს. და აი გზაზე (რალაც იქნება შემდეგ?) დიდ გზაზე მიდიოდა ქალაქისკენ... მიდიოდა საწყალი მგზავრი ხელოსანი. (მადლობა ღმერთს ეხლა კარგად წავა საქმე!). ის უცხო ქვეყნიდამ სახლში ბრუნდებოდა. იმედი ჰქონდა რომ საღამოს შინ იქნებოდა თავის ნათესავებთან, რომლებიც ქალაქში სცხოვრობდნენ. საშინლად ჰყინავდა. მგზავრს სიარულის დროს მოაგონდა საუცხოვო ზაფხული, რომელიც აქ გაატარა, მოაგონდა მშვენიერი შემოდგომაც. რა განსხვავებაა! ეხლა როგორ ცივა და მოუწყენია ყველაფერს!

„როგორ ცივა და მოწყენილია ყველაფერი“... მასწავლებელმა სწრაფად შესწყვიტა საუბარი, შემოსძახა ძველი ნაცნობი ხალხური სიმღერა. მღეროდა და კლასი ყურს უგდებდა. ჯერ ყურს უგდებდა და შემდეგ მოწაფეებმაც აქეთ იქიდან ხმა ააყოლეს და მოსძახეს. სხვებმაც იწყეს სიმღერა, ჯერ ნელა და შემდეგ უფრო ხმა მაღლა და გაბედულად. ბოლოს ყველამ იწყა სიმღერა. გაათავეს სიმღერაც.

მასწავლებელი განაგრძობს თავისს საუბარს. „ჩვენი მგზავრი მიდიოდა და ბევრი სასიამოვნო რამ აგონდებოდა, მოაგონდა უკანასკნელი შობის წინა ღამე, რომელიც გაეტარებია მას მშობლის ოჯახში. მოაგონდა ყველა ძველი საყვარელი სიმღერები, რასაც მაშინ სახლში იმღეროდნენ და ეხლა კი მან მარტოდ მარტომ გზაზედ ჩუმის ხმით დაიწყო დიდინი“. მასწავლებლის საუბარი შესწყდება და მთელი კლასი

მღერის იმ სიმღერებს, რაც მოთხრობაშია მოყვანილი და თან უფრო მხიარულად და ხმაშეწყობილად იმღერის კლასი, თანდათან უფრო ცოცხლად და გატაცებით. მასწავლებელისთვის ხანდახან საჭიროა მხოლოდ მოიგონოს რომელიმე სიმღერა, კლასი მაშინვე თავისთავად მწყობრად და მხიარულად იწყებს სიმღერას. ყოველ სიმღერის შემდეგ გრძელდება საუბარი. უამბობს იმის შესახებ თუ როგორ მიდის ყმაწვილი კაცი ტყეში და იქ ირჩევს პატარა ლამაზ ნაძვის ხეს, რომელიც უნდა აჩუქოს თავისს პატარა ძმებს. (მოჰყვებიან სიმღერას ნაძვის ხეზე). მიდის ქალაქში. ფურნეში ჰყიდულობს გემრიელ ნამცხვარს—დუქნებში—საჩუქრებს და სანთლებს შობის ხისათვის. ბოლოს ის მიუახლოვდა მშობლის სახლს. იყურება ფანჯარაში: ყველა მისი საყვარლები სხედან მაგიდის გარშემო, მაგიდაზე ლამაზ სდგას, მამა ვახეთსა ჰკითხულობს, დედა ბავშვებს უმღერის: „ხვალ, ბავშვებო, რა იქნება!“ (კლასი ხელახლად აღტაცებით გასძახის ამ სიმღერას) „ჩვენი მგზავრი ჩუმაღ, ფეხაკრეფით შედის დერეფანში, მიაკრავს სანთლებს ნაძვის ტოტებზე, აანთებს და მაგრად დაუკაკუნებს კარებს“.

მშვენივრად არის დასურათებული შეხვედრა და საზოგადო მხიარულება. აღწერილია თუ როგორ ეგებება ბედნიერი და მხიარული ოჯახი შობა ღამეს.

გამოდის ისე, ვითომ მთელი კლასი ეგებებოდეს შობას. იგონებენ და მღერიან ყველა საშობაო სიმღერებს, რომელნიც ჯერ არ უმღერიათ, კითხულობენ ლექსებს და ბოლოს მოთხრობას ქრისტეს დაბადებაზე. ბოლოს ყველა ერთად კიდევ დასძახებს საუცხოვო, სადღესასწაულო საგალობელს: „მშვიდი ღამე, წმიდა ღამე“... გაათავეს. კლასში სრული სიჩუმე სუფევს. მომეტებული ნაწილი ბავშვებისა უძრავად ზის, ღრმა და სასიამოვნო ფიქრებში გართული. ისევ სიჩუმეა. გაივლის კიდევ რამდენიმე წუთი, მაშინ უცებ გაისმის ზარის ხმა, რომელიც სიჩუმეს არღვევს. გაკვეთილი გათავდა.

მასწავლებელი, გონება დამშვიდებული და აღფრთოვანე-

ბული, გამოდის კლასიდან, ბედნიერად მიაჩნია თავისი თავი, აი ასე უნდა ყოველდღე მუშაობა, ყველა გაკვეთილზე! სიტყვას აძლევს თავის თავს, რომ ყველა გაკვეთილისთვის ასე მოემზადება, ისე საფუძვლიანად შეუდგება გაკვეთილის გეგმის შემუშავებას, რომ ბავშვებს, როგორც დღეს, ისე ყოველთვის შეეძლოთ მონაწილეობის მიღება სამუშაოში. ის ეცდება რომ ყველა გაკვეთილიდან რაიმე ხელოვნური ნაწარმოები შექმნას.

და აი მთელი ღამე ზის სახლში საწერ მაგიდასთან და ფიქრობს იმაზე, რაც მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასია: სკოლაზე, ბავშვებზე და მათთან მეცადინეობაზე. იმან იცის, რაც ბავშვებს უყვართ, რითაც სცხოვრობენ, იცის მათი დაფარული სურვილებიც, მისწრაფებანი და გემოვნებანი. იცის, რაც მათ მოსწონთ, რაშიაც შეუძლიათ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ, რა სამუშაოში უფრო გამოჩნდება მათი შემოქმედებითი ძალა. თუ მან მოახერხა ისე, რომ სამუშაო შეუფარდა ბავშვების ნიქსა და მიდრეკილებას, მაშინ გაკვეთილებიც სახალისო იქნება და მოწყენილობასაც ვერავინ იგრძნობს.

ის ეცდება ყოველი ფაქტი და შემთხვევა ცოცხლად გამოხატოს, მხატვრულად, დასურათებით. დიალ! თუ კი მასწავლებელი მოახერხებს ცოცხლად და გატაცებულად დაუხატოს ბავშვს, მაგალ. ცხოველები საინტერესოდ და ცხადად, მხატვრულ აწერილობით, ეს უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს, ვიდრე გაზეპირება მშრალი ფაქტებისა. თუ გინდ საუბარი ეხებოდეს მგელს ან მელას. საინტერესო მოთხრობაში წარმოდგენილი უნდა იქმნას მთელი რიგი ცოცხალი სურათებისა მათი ცხოვრებიდან. სადაც თვალსაჩინოდ და ცხადად უნდა სჩანდეს ზნე, ხასიათი და ბუნება ამ ცხოველებისა სხვა და სხვა მხრით, განსაკუთრებით იმ მომენტში, როდესაც იმათი ზნე-ხასიათის უმთავრესი თვისება განსაკუთრებით სასტიკად იჩენს თავს. ეს მეტად ძნელია. მაგრამ ეს ერთად ერთი ნამდვილი გზაა, თუ საქმე გაქვს პატარა ბავშვებთან. ვისაც არ შეუძლია ასეთი ამბების შეთხზვა,

იმან უნდა ისარგებლოს გამოჩენილი ხელოვან მწერლების თხზულებებით.

აი ხვალ მასწავლებელს ბუნების მეტყველების გაკვეთილი აქვს. უნდა ესაუბროს ბავშვებს ლეშის ხოქოზე. ადვილი და უბრალო საქმეა, ჩახედოს ენციკლოპედიურს ლექსიკონში და ან სახელმძღვანელო წიგნში, წაიკითხოს დაწვრილებით ამ მწერის შესახებ, შემდეგ გაკვეთილზე უჩვენოს მისი სურათი და გადასცეს ანატომიურ-ფიზიოლოგიური და მისი ცხოვრების შესახებ ზოგიერთი ცნობები. მაგრამ იცის, რომ ეს მოსაწყენია მისთვისაც და ბავშვებისათვისაც. რომ დაისწავლონ კიდევ, რასაც ამ გაკვეთილზე გადასცემს, მაინც მალე დაივიწყებენ და იმდენს სარგებლობას ვერ მოიტანს. არა, საქმეს სულ სხვანაირად უნდა წაყვანა. ის სერიოზულად და დიდხანს ჰფიქრობს ამაზე. ცდილობს წარმოიდგინოს ცხადად და დაწვრილებით ამ მწერის ცხოვრება, რაც მის გარშემოა, ბინა, მეზობლობა, ყველა ის ქვეყანა, სადაც ატარებს პაწაწა უღმობელო სიცოცხლეს. შემდეგ მოიგონებს, შეთხზავს საფეფქტო, საიდუმლო ამბებს, როგორიც ბავშვებს მოსწონთ.

დაჯდება მაგიდასთან და სწერს:

„ბადრმა მთვარემ თავი ამოჰყო და გამოჩნდა ნაძვების კენწეროებიდან, ვეებერთელა ბურთივით მისრიალებდა ის ცის სივრცეში. მისი სხივები ბებერი წიფლის ტოტებს შუა ეცემოდა, წიფელი ტყის ნაპირას იდგა ბუჩქნარში. ქვევით ძირთან პაწაწა ჭუჭრუტანა სჩანდა, ეს თავის სორო იყო. იმრგვლივ სიჩუმე იყო, მხოლოდ სადამოს ნიავეი ოდნავ არხედა ხის კენწეროებს.

„უცებ ჭუჭრუტანიდან გამოჩნდა ორი პატარა, შავი და ჭკვიანი თვალი, გამოჩნდა პატარა თავიც მწვეტიანი ტუჩით, დასუნა, ყურები ცქვიტა, გაინაბა, ყურს უგდებდა აქეთ იქით, დიდ ხანს თავს არ ანძრევდა, თითქოს გაქვავებულიაო. შემდეგ სწრაფად ამოხტა სოროდან პატარა ნაცრის ფერი წრუწუნა. სწრაფად გადახტა ძირებს შუა, გავიდა გზაზე, მირბის ჯავნარში, გადახტა თხრილზე, დაადგა გზას და მარდათ გა-

ცუცუნდა. უცებ შეჩერდა. რკო იპოვა, აკრიფა, გადაირბინა გზა, შეძვრა მშრალი ფოთლების გროვაში. იქ დიდხანს იწვა, მხოლოდ გამჭრიახ თვალს შეეძლო დაენახა, რომ ფოთლებს ქვეშ რალაც არის“.

ასე განაგრძობს ავტორი თავის მოთხრობას: „წრუწუნა გამოძვრება თავის საფარიდან. მოფრინავს ბუ, ჩუმი ფრთხილით დაეცემა წრუწუნას, აიტაცებს ზევით, მაგრამ როგორღაც გაუვარდება კლანჭებიდან. ბუს კლანჭებით დაჭრილი წრუწუნა დაეცემა მიწაზე, ზურგი დაფლეთილი აქვს, თვითონაც მთლად დაჩეჩქვილია, ძლივსღა მოძრაობს. უნდა ფოთლებსა და ხის ძირებს შეათაროს თავი, მიცოცავს, მიცოცავს, ცდილობს რაც ძალი და ღონე აქვს, ღონე ელევა, ეცემა და კვდება. მეორე დღეს მოფრინდება ვეებერთელა ხოჭო და დააჯდება თავის გახრწნილს სხეულს. ფრთებზე წითელი ზოლი აქვს. მზის სხივებზე მას ბრჭყვიალი გააქვს. მოფრინდება კიდევ ასეთივე ლეშის ხოჭო, მეორე, მესამე. შეუდგებიან მუშაობას: გასთხრიან მიწას და ლეშს შიგ ჩამარხავენ. დიდხანს გრძელდება კიდევ მიწაში მუშაობა. ხოჭოები სდებენ კვერცხებს ლეშზე და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩნდება აუარებელი ახალი მოწითლო ზოლებიანი ფრთიანი ხოჭოები“.

ყველა ეს ისეა აწერილი, რომ ბავშვებს არ შეუძლიათ არ განიმსჭვალონ პაწაწა ცხოველების ბედით, როცა საუბარს ისმენენ არ შეუძლიათ არ აღელდნენ, არ შეებრალონ, არ გაჯავრდნენ, თითქოს საუბარი ეხება ადამიანის ბედსა და ცხოვრებასაო.

ამ სახით ბავშვები არათუ შეივსებენ ცოდნას ზოოლოგიიდან, არამედ უმთავრესად თავის გონებაშივე განიცდიან იმ ცხოველთა სიცოცხლეს, რომელთა შესახებაც ესაუბრებიან.

თვითონ მასწავლებელსაც, როცა ის ამ მოთხრობებსა სწერდა, აეხილა თვალები ცხოვრებაზე, თვითონ დაინტერესდა თავისი მოთხრობების პატარა გამირების ბედით, თვითონვე აღელდებოდა, ეცოდებოდა და ეზიზღებოდა; მხატვრულ ფანტაზიის მხურვალე მუშაობა უდიდესს კმაყოფილებასა და

სიამოვნებას ჰგვრიდა მას. ის სახელმძღვანელოებიდან კი არ ემზადებოდა გაკვეთილებისათვის, არამედ ჰქმნიდა და ამ სახით განიცდიდა შემოქმედებითს სიამოვნებას. დარწმუნებული იყო, რომ თავის გულ-ნადები აზრებით და შექმნილი სურათებით დაინტერესებდა და მოჰხიბლავდა ბავშვებსაც.

ებლა მან ერთი იცის: სამუდამოდ გაჰქრა სასოწარკვეთილების, მოწყენილობის და სამუშაოს შეზიზღების საათები სკოლაში, რაც მძიმე და მტანჯველი იყო. შემოქმედების სიამოვნებაში ებლა ის უფრო განახლდება და განმტკიცდება, ამ სიამოვნებით ის მოჰხიბლავს სხვებსაც. და გამეფდება იმის სკოლაში, იმის კლასში მაღალი აღფრთოვანება, გაცხოველებული და ფხიზელი სულიერი მუშაობა.

წარმოდგენილი აქვს დაუსრულებელი რიგი ფრიად საინტერესო თემებისა მხატვრულად შესამუშავებლად. ყველაფერს, თითქმის ყველაფერს გარდაჰქმნის, ასწევს და გადიტანს მხატვრული განხილვის სფერაში. ზღვა და ხმელეთი, ცა და ვარსკვლავები, სახლი, ქალაქი, ქუჩა—ყველა ესენი შეადგენენ მისს მხატვრულ გამოკვლევის საგანს.

იწყება მისთვის დიადი ბედნიერების დრო. ის ითვრება მხატვრული პრობლემების დაუსრულებელ სიმდიდრით, რაც მის წინ იშობება, ღრმად უკვირდება, გონებას მიაპყრობს, ყურს უგდებს, სიყვარულით და ნაზად ეხება ყველაფერს. ყველაფერიც მის წინ სიცოცხლეს იჩენს. ჰქრებიან ყველა წარწერები, ფორმულები სამეცნიერო ბექტები, სამაგიეროდ ყველაფერს მხნეობა ემატება, ყველა იწყებს სიცოცხლეს მშვენიერი პოეტიური ცხოვრებით.

ასე სცხოვრებენ, მუშაობენ, ჰქმნიან მასწავლებელი და მოწაფეები. სიამოვნება და მხიარულება აცოცხლებს, ახალისებს და აახლებს ყველას, აქეზებს და ამაგრებს მათ შემდგენის სამუშაოსთვის, ჰქმნიან ისეთს ატმოსფერას, სადაც სუნთქვა გააღვილებულია, მუშაობაც ადვილი და სასიამოვნო.

ებლა მასწავლებელი სრულიად არა გრძნობს ზნეობრივ დაქანცულობას და შეზიზღებას. მუშაობა, შემოქმედებითი სამუშაო, იმას არ ღალავს, პიროქით უფრო მომეტებულად


გატაცებულია, იკვლევს ახალს წესებს, მეთოდებს და საშუალებებს თავისი მიზნისადმი მისაღწევად.

შეგნება იმისი, რომ მასწავლებლის მშვიდსა და უწყინარ-მუშაობას, თუ მას იდეალურის სიწმინდით, სიმართლით და სიყვარულით ასრულებენ, სამუდამო ფასი ექნება, დიდის სიამოვნებით აღავსებს მის გულს. ეხლა ის მუდამ ჰფიქრობს სკოლაზე, თავის კლასზე, ბავშვებზე და ვერ გაუგია, როგორ იყო ის, რომ ოდესღაც მოეწყინებოდა, ნაღვლობდა, ეზიზღებოდა, ხანდახან კიდევ ეჯავრებოდა ყველაფერი, რაც შეადგენს ცხოვრებაში ბედნიერებისა და სიამოვნების წყაროს! ის, რამაც აღძრა მასში რაც ყოვლად საუკეთესოა და ძლიერი! რამაც ასწავლა მას უძლიერესად ეგრძნო სიცოცხლე, მტკიცედ ჰყვარებოდა ის და უღრმესად შეეგნო მისი აზრი და მნიშვნელობა.

აი ისინი, მისი ბავშვები, როგორც ცოცხლები, სდგანან მის თვალწინ. ის ხედავს ყველას პირისახეს, უღიმის მათ და სალამს უგზავნის: გმადლობთ ჩემო პაწია ძვირფასებო: ეს მე კი არ მისწავლებია თქვენთვის, არა თქვენ მასწავლეთ, თქვენს მასწავლებელს. თქვენ წამოაყენებდით კითხვებს, გინდოდათ პასუხი, მოელოდით ჩემგან პასუხს თქვენს შეკითხვებზე, თქვენ მოითხოვდით და მე უნდა მომეცა. და ამიტომ მეც უნდა შემეძინა, გავმდიდრებულიყავი და ღრმად ჩამეხედა საქმეში. ამ მუშაობის დროს მეც მემატებოდა და ვიწყე უკეთ და უფრო მდიდრულად ცხოვრება და მთელი სიცოცხლეც თვალწინ დამეხატა მშვენიერად გაშუქებული, ცხოვრებაც სასიამოვნოდ შემექნა.

და აი, მხიარული და ბედნიერი, ისევ მოვალ თქვენთან და გადმოგცემთ ყველაფერს, რაც ვიცი, რაც მაქვს, მოგცემთ ჩემს თავს, რადგანაც თქვენ მიყვარხართ!

ლ. ბ — ძე.



# სკოლის გამოცდილებიდან

„სახმო წესით“ კითხვის სწავლება

გველსათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რა მძიმე მოვალეობა აწევს მასწავლებელს საზოგადოთ და სახალხო მასწავლებელს კერძოთ, რომ იმან რამდენიმეთ მაინც შინათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა ერისა და საზოგადოების წინაშე. პირველ უოვლისა, სანამ იგი სამასწავლებლო ასპარეზზე მუშაობას დაიწვეიდეს, უნდა აღიჭურვოს საჭირო იარაღით ე. ი.— შესაფერისი ცოდნით, სპეციაკი ზნეობით და დაუშრეტელი ენერგიით. ჩვენდა სავალდოთ, ამას ვერ ვხედავთ აწინდელ მასწავლებლთა უმეტესობაში; ამის მიზეზი მრავალია და მისი აღნუსხვა ამ უმად ჩვენ მიზანს არ შეადგენს. ამაზე უჩვენოდან ბევრი თქმულა; ჩვენ აქ გვინდა შევეხოთ მხოლოდ ერთს ფრად საუურადღებო გარემოებას, რომელიც ამ სტრიქონების დაშქერს თვით განუდია ცხოვრებაში. ხშირად სკოლაში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, ხარებენ ისეთს ემაწვილებს უფროს განყოფილებებშიაც, რომელთაც წერა-კითხვა შინ უსწავლიათ ანდა რომელიმე მახლობელ სამინისტროთ თუ სამრველო სკოლებში. ასეთი მსურველი უოველ-წლოობით ბევრია, ისე ბევრი, რომ მათი რიცხვი უოველთვის სჭარბობს პირველ განყოფილებაში (სადაც წერა-კითხვას ვიწვებთ) შესვლის მსურველთა რიცხვს. ბავშების გამოცდის დროს უოველთვის (7 წლის განმავლობაში) შეგვინიშნავს, რომ ემაწვიდს, მაგალითად, აქვს საკმაო განვითარება— მამულა; მაგრამ კითხვის პრცესი კი სრულად არ უვარგა: სიტუებებს ამახინჯებს— უმატებს ან აკლებს ასოს; ჯერ ჩუმად გუნებაში კითხულობს და შემდეგ კი იმასვე ხმა-მადლა. ასევე ამახინჯებს ბავშვი სიტუებებს წერის დროსაც. სამწუხარო ის არის, რომ ეს თითქმის საზოგადო მოვლენაა, რიგანი მკითხველი მხოლოდ



გამონაკლს თუ შეადგენს აქედან აშკარაა, რომ თვით მასწავლებელთა უმეტესობა სუსტობს სწავლების ამ დარგში ე. ი. იმათ საკმარისად ვერ შეუთვისებიათ „სახმო წესით“ წერა-კითხვის სწავლება. გარემოების მიხედვით იძულებული ვყოფილვართ კითხვაში სუსტი ბავშვებიც მიგვეღო სასწავლებელში. შემდეგ რამდენი ჭაბან-წვევტა გადავიხდით, რამდენიმე საათები კერძოთ მისთვის შეგვიწირავს მთელი წლების განმავლობაში, რათა როგორმე კითხვაში გაგვეწვრთება, მაგრამ ამგვარ შრომას ეფექტუვის კეთილი ნაყოფი არ მოუტანია: როგორც კითხვის, ისე წერის დროსაც, ერთხელ ცუდ კითხვას დაჩვეული ბავშვი სიტყვებს შემდეგშიაც ამხინჯება ხელში, რასაკვირველია, შედარებით ცოტა უფრო იშვიათათ, ვიდრე წინეთ. რუსული ანდაზისა არ იყოს—„რასაც დასწერ კაღმითა, ვერ ამოჭრი ცუდითთ“, ბავშვისთვისაც კითხვაში გასწვრება ზოგჯერ თითქმის შეუძლებელი ხდება, თუ რომ იმას ცუდათ აქვს დაწვებული იგი. ამ გარემოებას ნათელ-ჰყოფის ისიც, რომ თვით გომნაზიის უფროს კლასების შეგარდებშიაც შეგხვდებით ისეთები, რომლებიც როგორც კითხვის, ისე წერის დროსაც სიტყვებს ამხინჯებენ.—ცნობრებაში ხშირათ შეგხვდებით მაღალ სწავლა მიღებულთა შორისაც კი ისეთი შირები, რომლებიც კითხვაში კოჭლობენ; ამ არა სასურველ მოვლენის მიზეზი კი უფრო ხშირათ, ხემის აზრით, ის არის, რომ მათთვის წერა-კითხვა თავიდანვე უხეირო წესით უსწავლებიათ.

აწინდელი სახალხო სკოლების ერთს უმთავრეს საგანს, სხვათა შორის, ვმაწვილებს წერა-კითხვაში გაწვრთნაც შეადგენს და თუ ეს საგანი უხეიროთაა დაუჩვენებელი, რასაკვირველია, სწავლების სხვა დარგიც კიდევ უფრო დაქვეითებული იქნება. ესეც რომ არ იყოს, კარგ კითხვას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის. უფული მასწავლებელი, ვისაც ან-ბანი უსწავლებია ბავშვებისთვის, ადვილად წარმოადგენს, თუ რა უმადლეს სულიერს კმაყოფილებას გრძნობენ იგინი ერთი ასოს მეორესთან შეწებება-შეკავშირების დროს. თუ რომ ეს შრომისა ადვილათ მოახერხეს მათ. ბავშვების სინარულს. საზღვარი ადარს აქვს: უფული მათგანი თავისუფლად გრძნობს თავს, წელ-გამართული ზის, თამამად იშვირს ხელს და ემუდარება მასწავლებელს—მერე წამაკითხვ.

ემაწვილი გრძობს, რომ იმან რაღაც დიდი საქმე დასძლია, თითქმის ბრძან თვალები ახელადეს; მეტის ხალისით ეკიდება თავის საქმეს, მასწავლებელს თვალს არ აშორებს, დიდის ყურადღებით ისმენს მის სიტყვებს, დაწმუნებული, რომ მასწავლებლის წყალობით ასევე ადვილად შეითვისებს იგი ეგვიპტურს და დასძლიებს საზოგადოთ ყოველ დაბრკოლებას სწავლის დროს; მასთან თანდათან იზრდება ემაწვილის გულში მასწავლებლისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძობა და ბოლოს შეარდება მათ შორის ნამდვილი მეგობრული კეთილ-განწყობილება, რაც დიდათ საჭიროა ბავშვის სწავლაში წარმატებისა და ზნეობრივით აღზრდისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გარკვევით კითხვას: თვითგანვითარების საქმეში. ვინც ამ მხრივ თავის ბავშვობას წარმოიდგენს ან და სხვას დააკვირდება, ადვილად შეამჩნევს, რომ ემაწვილი, რომელსაც რიგაზად შეუთვისებია კითხვის ზრცესი, მუდამ წიგნებს ჩაჭკირავს, მუდამ კითხულობს, დიდათ დაინტერესებულია სულ ახალი და ახალი წაკითხოს და შეიძინოს, კითხვას არ უწყინდება, რადგან უმთავრესი დაბრკოლება (კითხვის ზრცესი) სკამათ დასძლია. ამ რიგათ ბავშვი იზრდება და მასთან ერთად იზრდება და ღვივდება მის ანსებაში წიგნების კითხვისა და სწავლის შეძენის სიყვარულის გრძობა, რაზედაც ძლიერ დამოკიდებულია დამიანის მომავალი ცხოვრების გაუმჯობესობა. კითხვას და კითხვის სწავლებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, არც ერთს სკანს არ შეუძლია ისეთი აღმზრდელობითი ცოდნა და შთაბეჭდილება გადასცეს, ვერც ერთი სკანი ვერ მიახდენს ისეთს გავლენას მოწათის მომავალ სულიერ ცხოვრებაში, როგორც სკანსა კითხვა, რომელიდანაც მოწათე იძენს ცოდნას და შთაბეჭდილებას არა მარტო თავისი სკუთარი ცხოვრებიდან, არამედ თავისი ხალხის, ერის და საზოგადო კაცობრიობის ცხოვრებიდანც, ზრდის და ავითარებს მასში არა მარტო კერძოს, არამედ საზოგადო მოქალაქობრივი მოვალეობის შეგნებასაც.

კარგ კითხვას ვაძლეუთ ჩვენ ასეთ სერიოზულ მნიშვნელობას უფრო აწინდელ სკოლების დანიშნულების მიხედვით. ხალხ, რაც შეეხება მომავალ სკოლებს, ბუნებრივსა და თავისუფალ სწავლას

აღზრდის პრინციპებსე აგებულს, უნდა აღვიაროთ, რომ შეიძლება იქ ეს საკითხი უფრო დაზრდილულ იქმნას და მისი ალაგი დაიჭიროს სწავლის სხვა უფრო ნაყოფიერმა დარგმა, თუმცა ღრმად დაკწმუნებული ვართ, რომ ამ საკითხს იქაც რიგიანი ადგილი დაეთმობა. ასეა თუ ისე, ზეტრეს მოსვლამდე რომ ჰავლეს ტყავი არ გაძვრეს, ჩვენი მოვალეობა უკვე არსებულს მეტის სიფხიზლით, მეტის ჩაკვირვებით და მეტის ენერჯით მოკვიდოთ ხელი, ვერცდოთ, რომ თანამედროვე სკოლებში სადი ჰედაგოგოური პრინციპების გატარებით მოვაშხადოთ ნიადაგი მძაფვალი თავისუფალი სკოლებისათვის.

ვეკლასათვის აშკარაა, რომ ამ მცირე წერილის მიზანია „სახმო მეოთხდით“ კითხვის სწავლების გათვალისწინება. ამ მიზნის მიხედვით ჩვენც ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს შევეხოთ ამ საკითხის მხოლოდ პრაქტიკულ მხარეს იმდენად, რასაკვირველია, რამდენადაც ამ საქმეში ვარჯიშობა-გამოცდილებაში დაგვასხელაფნა და კეთილ-ნაყოფიერი შედეგებიც არა ერთხელ დაგვანახვს. ამით ჩვენ გვინდა ჩვენი წვლილი საცდელი გაკვეთილებისა და შენიშვნების სახით მივაწოდოთ იმ მასწავლებელთა, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზის გამო სწავლების ამ დარგში ჯეროვანათ ვერ დახელოვნებულან. მასთან ვიმედოვნებთ, რომ ვინც ამ პატარა ნაშრომსაც კი გულდასმით და ჩაკვირვებით წაიკითხავს და შემდეგ იმასვე პრაქტიკულად განახორციელებს, შედეგსაც რიგიანს დაინახავს. ამაში ჩვენ ღრმად დაკწმუნებული ვართ მით უმეტეს, რომ იმ მცირეოდენ მასწავლებელთ, რომელთაც კითხვის სწავლების საქმეში ჩვენგან ნაკარნახევის წესით უხელმძღვანელობათ, მათისვე სიტყვით და ზოგჯერ ჩვენისვე შემოწმებით, შედეგი რიგიანი დაუნახავთ.

## I.

### კითხვისთვის მოსამზადებელი წინასწარი ვარჯიშობა.

გეგმა: ა) საკანი და სიტყვა. ბ) წინადადება. გ) წინადადების სიტყვებად დახაწილება. დ) სიტყვის მარცვლებად დახაწილება. ე) მარცვლის ხმებად დახაწილება.

როგორც საზოგადოთ შემოდებულა სკოლის ცხდურებაში, მასწავლებელი უწინარეს ყოვლისა ეცნობა ხელმე სკოლაში ახლად მობარებულ ბავშვებს, ებასება მათ ჯერ კლასში მთავრებულ საგნებზე და შემდეგ კლასის გარეშე მეორე მხლობელ საგნებზედაც. დახ, ასე ატარებენ პირველ დღეებს ზაწია ბავშვები სკოლაში. ამ ბავშვებისთვის ამ ცნობილ მსალათ სატკებლბს მასწავლებელი და იწუებს მათთან შემდეგ (გამეორება) საუბარს:

მასწავლებელი: აჩვენებს ბავშვებს საგნებს და კითხება — რას ეს? მოწათე: ეს ოთახია. მასწ. — ეს? მოწ. — ეს კედელია. მასწ. — ეს? მოწ. — ეს კარია. მასწ. — ეს? მოწ. — ეს ფანჯარაა. მასწ. — ეს? მოწ. — ეს მისწავლეა . . . . და სხვა.

ამ ბასის შემდეგ მასწავლებელი გაანბნბს ბავშვებს ცნებებს — „საგანი“ და „სიტუვა“.

### საგანი და სიტუვა.

მასწ. — აჩვენებს ბავშვებს საგნებს და ეუბნება: (ოთახს) — ეს საგანია. (დაფას) — ეს საგანია. (სკამს) — ეს საგანია. (მწაფეს) — ეს საგანია. (კატას) — ეს საგანია. (ხაჩს) — ეს საგანია. . . . და სხვა.

ბაღას ეუბნება: „რასაც ჩვენ ვხედავთ, ყველაფერი საგანია“ <sup>1</sup>).

მასწ. — რას საგანი? მოწ. — რასაც ჩვენ ვხედავთ, ყველაფერი საგანია. მასწ. — (აჩვენებს ხატს) დამისახელეთ ეს საგანი ერთი სიტყვით. მოწ. — ხატი. მასწ. — ეს? მოწ. — დაფა. მასწ. — ეს? მოწათე — წიგნი, მაგადა, რეუელი, ბავშვი, ცარტი და. . . სხვა.

ამ რიგათ ბავშვები რწმუნდებიან, რომ ამა თუ იმ საგნის სასკელი გამოთქმება სიტყვით <sup>2</sup>).

1) ამ შემთხვევაში ეს განმარტება სრულიად საკმარისია.

2) ამ მასწავლებელმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ბავშვებმა არ აურიონ ერთმანეთში ცნებანი — „საგანი“ და „სიტუვა“ (საგნის სახელ-წოდება).

## წინადადება.

ენი 1935 წლის  
თებელი 100933

მასწ.—ბავშვებო, მე ახლა ვფიქრობ ამ სჯგანზე (მიუთითებს სურათზე, რომელსაც მისჩერებია), იცით რას ვფიქრობ?

მოწ.—აა, აა ვიცით. მასწ.—აა, გეტყვით: სურათი კვ-  
დელზე ჰქვია.—გაიგეთ, რა ვფიქრობ? მოწ.—ახლა გაგიგეთ.

მასწ.—ახლა ვფიქრობ ვანზე (უჩვენებს შეკირდს, რომელსაც მისჩერებია), იცით, რას ვფიქრობ? მოწ.—აა, აა ვიცით.

მასწ.—აა, გეტყვით: ვანო კარგი ბავშვია.—გაიგეთ? მოწ.—კი  
გაგიგეთ. მასწ.—მოფიქრეთ რაზე ამ სჯგანზე (მიუთითებს მაგი-  
დაზე) და მითხარით. ერთი მოწ.—მაგიდა სდას. მეორე მოწ.—

მაგიდა ხისაა. მესამე მოწ.—მაგიდას ოთხი ფეხი აქვს... და  
სხვა... მასწ.—აა, ახლა ამ სჯგანზე მოფიქრეთ (უჩვენებს ხატს)

და მითხარით რაზე. ერთი მოწ.—ეს ხატი კედელზე ჰქვიადა.

მეორე მოწ.—ეს მაცხოვრის ხატი... და სხვა. მასწ.—ჩვენ რა-  
ზე ვფიქრობთ და ვლამარაკობთ? მოსწ.—ჩვენ ვფიქრობთ და  
ვლამარაკობთ სჯგანზე.

მასწ.—ჩვენ რომ სჯგანზე რასმე ვფიქრობთ და შემდეგ  
ვიტყვი, იმ ნათქვამს ჰქვია წინადადება <sup>1)</sup>.

მასწ.—რა ჰქვია? მოწ.—წინადადება. ყველანი—წინადადე-  
ბა (გაიმეორებენ 3-ჯერ).

მასწ.—მოფიქრეთ რაზე ამ სჯგანზე (მიუთითებს კათედრაზე) და მითხარით წინადადებები. ერთი  
მოწ.—კათედრა სდას. მეორე მოწ.—კათედრა ხისაა. მესამე

მოწ.—კათედრას მატარა უჯრა აქვს... და სხვა... მასწ.—აა,  
ბავშვებო, მითხარით სხვა წინადადებები. ერთი მოწ.—ნიკო სკამ-  
ზე ზის. მეორე მოწ.—მასწავლებელი ასწავლის. მესამე მოწ.—

ბავშვები ეზოში თამაშობენ... და სხვა.

როცა მასწავლებელი წმუნდება, რომ ბავშვებმა სჯგებით შე-  
იკნეს წინადადებების შედგენის პრინციპი, იგი გადადის წინადადე-  
ბის სიტყვებზე და ეფთხაზე.

<sup>1)</sup> რასაკვირველია, ამ განმარტების (როგორც ყოველ-გვარ განმარ-  
ტებას) ზვირათ დასწავლა პაწია ბავშვებისთვის სავალდებულო (და არც  
ხაკირთა) არ არის. სრულიად სკმარისია ამ განმარტების შინაარსის  
პრაქტიკულათ შეთვისება.

## წინადადების სიტყვებად დაყოფა დანაწილება.

მასწ.—ბავშვებო, მე ვიტყვი წინადადებას და თან ხელს ხელზე დავკრავ: სანდრო (ხელს დავკრავს) ზის, (კიდევ დავკრავს); რა წინადადება ვთქვი? <sup>1)</sup>.

მოწ.—სანდრო ზის. მასწ.—რამდენჯერ დავკარი ხელი? მოწ.—ორ ჯერ. მასწ.—რატომ ორ-ჯერ? <sup>2)</sup> მოწ.—იმიტომ, რამე ამ წინადადებაში ორი სიტყვაა. მასწ.—რამეღია პირველი სიტყვა? მოწ.—სანდრო. მასწ.—მეორე? მოწ.—ზის. მასწ.—აბა, ახლა თქვენ მითხართ ორ-სიტყვიანი წინადადება. ერთი მოწ.—მასწავლებელი ასწავლის. მეორე მოწ.—ბავში სწერს. მესამე მოწ.—წიგნი სძევს.... და სხვა. მასწ.—წიგნი სძევს რაზე? (მიუთითებს) მოწ.—წიგნი სძევს კათედრაზე. მასწ.—ახლა რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში? მოწ.—სამი სიტყვაა. მასწ.—აბა, რამეღი და რამეღი? მოწ.—ა) წიგნი, ბ) სძევს, გ) კათედრაზე. მასწ.—მითხართ სამ-სიტყვიანი წინადადება. ერთი მოწ.—საკლასო დათვა სდგას. მეორე მოწ.—ხატი კედელზე ჰკიდია. მესამე მოწ.—ვახა ბეჭითი მწაფთა.... და სხვა.

ამ სახით მასწავლებელი ავარჯიშებს ბავშვებს ჯერ ორ-სიტყვიან, მერე სამ-სიტყვიან, ოთხ-სიტყვიან და ბოლოს მრავალ-სიტყვიან წინადადებათა სიტყვებად დანაწილებაში; შემდეგ კი გადადის სიტყვის მარცვლებად დანაწილებაზე.

## სიტყვის მარცვლებად დანაწილება.

მასწ.—აბა, ვინ მეტყვის წინადადებას? მოწ.—ეს დათვა ძველია. მასწ.—რამდენი სიტყვისაგან შესდგება ეს წინადადება?

1) მასწავლებელი თითონ განზრახ ირჩევს ჯერ მხოლოდ ორ-სიტყვიან წინადადებას და ამბობს მას, როგორც ყოველთვის, ღინჯად და გარკვევით.

2) მოსალოდნელია, რომ ბავშვები სწორ პასუხს მოგვცემენ, ხოლო თუ გაუჭირდათ, მეორეჯერ უნდა გაუმეოროთ იგივე წინადადება იმავე წესით.

მოწ.—საში სიტყვისაგან: ა) ეს, ბ) დაფა, გ) ძველია. მასწ.—  
 ეს (ამბობს გრძლად და გარკვევით და თან დაჭკრავს ხელს ერთ-  
 ჯერ), რა ვთქვი? მოწ.—ეს. მასწ.—ხელი რამდენჯერ დაგვარნი?  
 მოწ.—ერთჯერ. მასწ.—აბა ახლა ვიტყვი მეორე სიტყვას (ამ-  
 ბობს გრძლად და ხელის დაკვრით): და... (დაჭკრავს ხელს).. თა..  
 (კიდევ დაჭკრავს), რა ვთქვი? მოწ.—ჭბაძავს მასწავლებელს და  
 ისიც გრძლად ამბობს — და... თა. მასწ.—რამდენჯერ დაგვარნი ხე-  
 ლი? მოწ.—ორ-ჯერ. მასწ.—რატომ ორჯერ?

აქ კი ბავშვებს სწორი მასწავლებლის მიერ ან შეუძლიათ, რად-  
 გან ნება „მარცვლი“ ჯერ ან გაუგონიანთ<sup>1)</sup>; ამიტომ მასწავლე-  
 ბელი თვითონ ეუბნება: ხელი დაგვარნი ორჯერ იმიტომ, რომ ამ  
 სიტყვაში (და-ფა) ორი მარცვლია: ა) — და, ბ) — ფა. გაიმეორეთ  
 ექვსამ პირველი მარცვლი.

მოწ.—და მასწ.—გაიმეორეთ მეორე მარცვლი. მოწ.—ფა.  
 მასწ.—მითხარით მთელი სიტყვა გრძლად. მოწ.—და.. თა.  
 მასწ.—რამდენ მარცვლადგანი ეს სიტყვა? მოწ.—ორ-მარცვლადგა-  
 ნი. მასწ.—რამეღია პირველი მარცვლი? მოწ.—და. მასწ.—მე-  
 ორე? მოწ.—ფა. მასწ.—რამეღი იყო პირველი სიტყვა? მოწ.—  
 ეს. მასწ.—რამდენჯერ დაგვარნი ხელი ამ სიტყვის თქმის დროს?  
 მოწ.—ერთჯერ. მასწ.—რატომ ერთჯერ? მოწ.—იმიტომ, რომ  
 (ეს) ერთ მარცვლადგანი სიტყვაა. მასწ.—აბა, ვინ მეტყვის მესამე  
 სიტყვას გრძლად, ხელის დაკვრით? მოწ.—ამბობს: ძვე... (ხელს  
 დაჭკრავს) ლი.. (კიდევ დაჭკრავს)... ა (მესამეჯერ დაჭკრავს). მასწ.—  
 კარგი, რამდენჯერ დაგვარნი ხელი? მოწ.—სამჯერ. მასწ.—რატომ  
 სამჯერ? მოწ.—იმიტომ, რომ „ძვე-ლი-ა“ სამ-მარცვლადგანი სიტ-  
 ვაა. მასწ.—აბა, მითხარით ერთ-მარცვლადგანი სიტყვები. მოწ.—  
 ამბობენ: ის, ხე, ქვა... და სხვა... მასწ.—მითხარით ორ-მარცვ-  
 ლადგანი სიტყვები. მოწ.—ამბობენ: და-ფა, ბავ შვი, ხა-რი, კა-რი,

1) ბავშვებს შეუძლიანთ გვიტხარან მხოლოდ: „და“ სიტყვის ნაწი-  
 ლია, ნახევარია; ხოლო „ფა“ მეორე ნაწილი, მეორე ნახევარი. ამ პა-  
 სუბიტაც მასწავლებელი უნდა დაემაყოფილდეს და შემდეგი ახსნა ამას  
 დაუკავშიროს.

სკა-მი... და სხვა... მასწ.—მითხარით სამ-მარცვლოვანი სიტყვები. მოწ.—ამბობენ.

ამ რიგად ბავშვები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ სიტყვები აჩის ერთ-მარცვლოვანი, ორ-მარცვლოვანი, სამ-მარცვლოვანი და მრავალ-მარცვლოვანი.

## მარცვლების ხეობად დანაწილება.

ერთ-მარცვლოვანი სიტყვები.

მასწ.—ბავშვებო, მითხარით ერთ-მარცვლოვანი სიტყვები. მოწ.—ის, სე, ქვა, ეს, ცა, ზის... და სხვა...

ამ სიტყვებიდან მასწავლებელი პირველად დაჭუფებს ხმებად უფრო მარტივსა და ადვილად დასაყოფ სიტყვებს. ასეთ სიტყვებათ უნდა ჩაითვალოს—„ეს“ და „ის“ იმიტომ, რომ ისინი შედგებიან მხოლოდ ორ-ორი ხმისაგან: ერთი-ხმოვანისა და მეორე თანხმოვანისაგან; მასთან თანხმოვანი ხმაც („ს“) სხვებთან შედარებით უფრო კეთილ-ხმოვანია და გამოითქმის ხმოვანი „ი“-ს შემდეგ <sup>1)</sup>. ეკვლა ეს პირბები სახეში უნდა მიიღოს მასწავლებელმა ამ შემთხვევაში. დანარჩენ თან-ხმოვან ხმებში შედარებით უფრო კეთილ-ხმოვანია—შ, ზ, ხ.

მასწ.—თანხმად ზემოთე მყოფანელ მოსაზრებისა იჩიევს დასაყოფად სიტყვას „ის“, ამბობს გრძლად და გარკვევით (ი...ს); სთქვით ეკვლამ ასე.

მოწ.—ამბობენ გრძლად—ი...ს. მასწ.—რამდენი ხმა ისმის

1) საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ადვილი დასაყოფია ხმებათ ის მარცვლები, რომელთაც წინ უძღვის ხმოვანი ხმები, მაგალითად: ის, ას, მს, მხ, ოხ, უხ, ოშ, მშ და სხვა. იმ მარცვლებში, რომელთაც წინ უძღვის თან-ხმოვანი ხმები, უფრო ადვილი დასანაწილებელია ისინი, რომელთაც თითო თანხმოვანი ხმა აქვთ, მაგალითად: სი, სა, ხო, შვ, ზუ,—მე, კუ და სხვა. შემდეგ უნდა დანაწილებულ იქნას ხმებად ის მარცვლები, რომელთაც წინ უძღვის ორ-ორი თანხმოვანი ხმა—სკა-მი, ცხენი, ძროხა, რკინა და სხვა; მერე სამ-სამი—ფქვილი, ცხვარი, წიხვილი, ცხვირი და სხვა.



ამ სიტყვაში? მოწ. — ორი ხმა. მასწ. — რომელია პირველი ხმა? მოწ. — ი... (გრძლად). მასწ. — მეორე? მოწ. — ს... (გრძლად). მასწ. — კიდევ უფრო სიტყვას: — ე... ს; რა ვსთქვი? მოწ. — სიტყვა — ე... ს. მასწ. — რამდენი ხმისაგან შესდგება ეს სიტყვა? მოწ. — ორი ხმისაგან. მასწ. — პირველი ხმა? მოწ. — ე... მასწ. — მეორე? მოწ. — ს.

ამ წესით დაჭყოფენ ხმებად სიტყვებს: ეხ, ოხ, ხე, ზის და სხვა... საზოგადოთ მასწავლებელმა ხმებად დასაწავილებლად უნდა აირჩიოს ისეთი სიტყვები, რომლებშიაც იქნება მხოლოდ ერთი ახალი (ბავშვებისთვის უცნობი) ხმა, რათა ცნობილი ხმების შემწეობით ბავშვებმა ადვილად გამეჭოფონ იგი სიტყვიდან.

## ბ). ორ-მარცვლოვანი სიტყვები.

ამ შემთხვევაშიაც მასწავლებელმა სიტყვების არჩევის დროს უნდა იხედოდეს იმ წეს-რიგით, რომელიც ზევით მოვიხსენეთ, ე. ი. ჯერ დაჭოფოს ხმებად უფრო მარტივი და კეთილ-ხმოვანი სიტყვები და შემდეგ თანდათანობით უფრო რთულიც.

მასწ. — ახეყნებს ბავშვებს იას სურათს ან თვით იას და ჭკითხავს: რას ეს? მოწ. — იას. <sup>1)</sup> მასწ. — რას იას? მოწ. — იას უვალია. <sup>2)</sup> მასწ. — მითხარით ეს (იას) სიტყვა გრძლად. მოწ. — ი... ა. მასწ. — რამდენ მარცვლოვანია ეს სიტყვა? მოწ. — ორ-მარცვლოვანი. მასწ. — პირველი მარცვალი? მოწ. — ი. მასწ. — მეორე? მოწ. — ა. მასწ. — რამდენი ხმა იასის პირველ მარცვალში? მოწ. — ერთი ხმა — ი. მასწ. — მეორეში? მოწ. — ერთი ხმა — ა. მასწ. — რამდენ-ხმოვანია მთელი სიტყვა? მოწ. — ორ-ხმოვანი: ა.) ი, ბ.) ა. მასწ. — ამბობს ახალ სიტყვას გრძლად: — ი — სი; გაიმეორეთ. მოწ. — ი — სი. <sup>3)</sup> მასწ. — რამდენ-მარცვლოვანია ეს სიტყვა? მოწ. — ორ-

<sup>1)</sup> ამ სიტყვის ხრემად დაყოფა (ი — ძალიან კეთილ ხმოვანია) შეიძლება სულ პირველადაც; მოვამტიეთ აქ მხოლოდ იმიტომ, რომ „იას“ ორ-მარცვლოვანი სიტყვაა.

<sup>2)</sup> ამ შემთხვევაში ეს პასუხი სრულიად საკმარისია.

<sup>3)</sup> ამ სიტყვასაც, როგორც სხვებს, მასწავლებელი მოკლეთ აუხსნის ბავშვებს.

მარცვლყანი. მასწ.—რმელის ჰირველი მარცვლი? მოწ.—  
 მასწ.—შეორე? მოწ.—სი. მასწ.—რამდენი ხმა ისმის ჰირველ  
 მარცვალში? მოწ.—ერთი ხმა—ა. მასწ.—შეორეში (ამბობს გრძლად  
 და გარკვევით—ს. ი)? მოწ.—ორი ხმა: ს, ი. მასწ.—რამდენი  
 ხმა მთელ სიტყვაში? მოწ.—სამი ხმა: ა, ს, ი.

ამ რიგათ დანაწილებენ ბავშვები ხმებათ ორ-მარცვლყან სი-  
 ტყეებს: სსსა, სსსა, სსხე, ეზო, შიო, ორი, ზარა, კარი, ტარა,  
 თითი და სხვა, შემდეგ სამ-მარცვლყან სიტყვებს: ოფოფი, მამა-  
 ლი, კაკალი, დედალი, კაჭკაჭი, გუგუელი და სხვა მრავალ-მარც-  
 ვლყან სიტყვებს.

მარცვლებისა და სიტყვების ხმებად დანაწილება გაცილებით  
 ძნელია ზემორე მოყვანილ სავარჯიშოებზე, ამიტომ მასწავლებელ-  
 მა აქ კიდევ შეტი სიღინჯე და დაკვირვებითი მოქმედება უნდა  
 გაშიინოს.

საზოგადოთ, უნდა აღვიაროთ, რომ ამ წინასწარ სავარჯი-  
 შოებზეა დიდად დაშუარებული კითხვის პროცესის აგ-კარგინება,  
 ამიტომ მასწავლებელმა აქ არ უნდა იჩქაროს.

როგორც გამცდილებამ დაგვარწმუნა, ამ საქმისათვის საჭი-  
 რია ორი-სამი კვირა.

ამ ვარჯიშობასთან ერთად ბავშვები ხატვა-ხაზვაში და წერაშიც  
 ვარჯიშობენ; სწერენ მხოლოდ ხაზებს და ასკების ნაწილებს.

ამის შემდეგ მასწავლებელი გადადის ასკებზე.

## II.

### ასკები (ან-ბანი).

სანამ მასწავლებელი ანბანის სწავლებას შეუდგებადეს, იმან  
 უნდა მამზადოს:

ა). მოძრავი ასკების ასე ოთხ-ათხი თუ ხუთ-ხუთი ცალი.

ბ). საკლასო ოთახის წინა კედელზე (ბავშვების მარტების  
 შირდაშირ) მასწავლებელმა უნდა მიატედოს 3-4 ღერი ფინარი,  
 შიგრძით ასე ოთხ-ათხი არშინი, ხლოდ სიგანით ორ-ორი გოჯი

(2 ვერსიი). ეს ფიქრები (თხელი და მსუბუქი) უნდა მიჰყვებოდეს იქმნას კედლის შუა ადგილას ისე, რომ ყოველი ბავშვი კარგად ხედავდეს მას; მასთან ფიქრები უნდა დაშორებულ იქმნას ერთმანეთს დაახლოვებით თითო მტკაველზე და იმ ანჯარიშით, რომ თვით უკვლახე უმცროსი ბავშვიც კი ადვილათ სწავლობდეს უკანასკნელ ზედა ფიქრს. პირველი (ქვედა) ფიქარი უნდა დაშორდეთ იატაკს ასე სახევა არშინზე, ხელს დახარჩენები — მის ზევით ისე, როგორც თარებები.

ამ თარებს აქვს შემდეგი დანიშნულება: პირველ (ქვედა) თარზე მასწავლებელი ალაგებს თანდათანობით უკვე ნასწავლ ასრებს, რასაკვირველია, იმ რიგზე, როგორც გაიარა ბავშვებთან, მაგალითათ: დღეს ბავშვებმა შეისწავლეს ასრები: ა, ა; მასწავლებელი ალაგებს ქვედა თარზე მარცხნივ მოძრავ ასრებს — ჯერ „ა“-ს, ხელს მის გვერდით მარჯვნივ „ა“-ს და ასე სულ უკანასკნელ ასრამდე. — დანარჩენ თარებზე კი მოწათვები ნასწავლ მოძრავ ასრებისაგან ადგენენ და ალაგებენ სიტყვებს ე. ი. როგორც შემოღებულა ხმარებაში, მოძრავი ასრების საშუალებით ადგენენ სიტყვებს თარებზე.

ნასწავლი ასრები, როგორც გაკვეთილებისა და დასვენების დროს, ისე სხვა დროსაც მუდამ თარებზე რჩება, რათა ბავშვებმა გაკვეთილების გარეშე თავისუფალ დროსაც ივარჯიშონ ასრებისაგან სიტყვების შედგენაში და თვით ასრებიც არ დაივიწყონ.

როცა მასწავლებელმა მოამზადა ყოველივე ეს, იგი იწვევს ასრების სწავლებას კეთილ ხმოვანების მიხედვით იმ რიგზე, რომელიც აღნიშნეთ, როცა მარცვლების ხმებათ დანაწილებაზე ვბასობდით.

პირველ დღეს მასწავლებელი ასწავლის ბავშვებს ასრებს: ა, ა. ამ მიზნით მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს იას, ან მის სურათს, გამართავს მათთან საუბარს ამ საგანზე კითხვა-პასუხის სახით, აწერინებს ბავშვებს ამ უვავილს ისე, როგორც ეს მოყვანილი აქვს ბ. გოგებაშვილს თავის „დედა-ენის“ პირველ ნაწილში (ანბანთ კვ. — 32). და შემდეგ იწვევს მათთან შემდეგ საუბარს:

## ა). ასო—ი.

მასწ.—(ახეულებს ია-ს) ახა, ვინ მეტყვის ამ სიტყვის სახელს ერთი სიტყვით გრძლათ?

მოწ.—ი.ა (ამბობს გრძლათ). მასწ.—რამდენი ხმა გესმით ამ სიტყვაში? მოწ.—ერთი ხმა: ი, ა. მასწ.—მითხარით ეგელამ პირველი ხმა გრძლათ მოწ.—ამბობენ.—...ი....

როცა ბავშვები აგრძელებენ ამ ხმას, მასწავლებელი პირველათ ახეულებს მათ მობრავ ასოს „ი“-ს და თან ეუბნება: აი ამ ხმის გამომხატველია ეს ნიშანი, ეს არის ასო „ი“. მასწ.—რას ასოა ეს? მოწ.—ეს არის ასო—ი. (ამბობენ გრძლად და გარკვევით).

შემდეგ მასწავლებელი ამ მობრავ ასოს „ი“-ს ერთ ცალს სდებს ზედა თაროზე, ხოლო დანარჩენებს თავის ალაგას ე. ი. როგორც ზევით გვეჩვენა ნოქვაში,—პირველ თაროზე მარცხნივ; მერე რამდენიმეჯერ სწერს „ი“-ს სკალას დაფაზე და ბავშვებსაც აწვინებს ჯერ იმავე დაფაზე და შემდეგ რვეულშიაც. ამას შერება მასწავლებელი იმ მიზნით, რომ ბავშვებს ასოს დახსოვება გაუადვილდეთ <sup>1)</sup> და მისი წერაც შეისწავლან.

## ა). ასო—ა.

მასწ.—(ი..ა) რომელია ამ სიტყვაში მეორე ხმა? მოწ.—ა... (ამბობს გრძლათ). მასწ.—თქვით ეგელამ ეს ხმა გრძლათ. მოწ.—ამბობენ:....ა....

როცა მოწაუბები აგრძელებენ „ა“-ს, მასწავლებელი ახეულებს მათ ასოს „ა“-ს და თან ეუბნება განაგრძონ იგივე ხმა. აქ უკვე მოწაუბები თავითან მიხედობიან, რომ მასწავლებელი ახეულებს მათ ასოს „ა“. მასწ.—რას ასოა ეს? მოწ.—ასო „ა“.

მასწავლებელი რამდენიმეჯერ (გამეორებინებს) წაკითხვებს

<sup>1)</sup> ამ რიგათ ბავშვი მეტ შთაბეჭდილებას ღებულობს, რაც დიდად საჭიროა სწავლაში წარმატებისათვის საზოგადოთ და კერძოთ ამ მენ-სევეაში.

ბავშვებს „ა“-ს, შემდეგ ამ მოძრავე ასოს (ა) ერთ ცალს დადებს ზედა თაროზე, ხოლო დანარჩენებს ალაგებს პირველ (ქვედა) თაროზე „ი“-ს მარჯვნივ; მერე რამდენიმეჯერ სწერს „ა“-სად საკლასო დაფაზე და ბავშვებსაც აწერინებს ჯერ იმავე დაფაზე, ჯა შემდეგ რეულებშიც.

როცა მასწავლებელი რწმუნდება, რომ ბავშვებმა უკვე სავსებით შეათვისეს ასოები—ი, ა—იგი გადადის კითხვაზე.

### კითხვის პროცესი.

სიტყვები: ია, აი.

მასწავლებელი იღებს თაროდან მოძრავე ასოების—ა, ი—თითო ცალს, უჩვენებს ბავშვებს პირველათ „ი“-ს, (ასო „ა“ დამალული აქვს) ეუბნება მათ—წაიკითხე ეს ასო გრძლად. მწაფეები ამბობენ „ი“-ს გრძლად. იმ დროს, როცა ბავშვები აგრძელებენ „ი“-ს, მასწავლებელი უცებ (ბავშვებისთვის სრულიად მოულოდნელად) ჰმაღავს ამ ასოს და მის მაგიერ აჩვენებს „ა“-ს და ეუბნება შეუჩერებლივ გადავიდენ ახალ ასოზე და განაგრძონ კითხვა. ბავშვებიც შეუჩერებლივ გადადიან „ა“-ზე და აგრძელებენ კითხვას<sup>1)</sup>. ამ წესით მასწავლებელი რამდენიმეჯერ გაამეორებინებს ბავშვებს ამ სავარჯიშოს, რის შემდეგ მწაფეები ამკარად ხედავენ, რომ ასოების—„ი“-სა და „ა“-ს შეერთება-შეკავშირებიდან გამოდის სიტყვა—ია. მერე მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს ორივე ასოს ერთათ და ეუბნება მათ წაიკითხონ სიტყვა გრძლათ. ბავშვები კითხულობენ სიტყვას—ია.

შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს ჯერ „ა“-ს და ეუბნება—წაიკითხე ეს ასო გრძლად. ბავშვები ჰკითხულობენ. ამ კით-

1) ეს ვარჯიშობა რომ უფრო მოხერხებულათ ჩატაროს მასწავლებელმა, საჭიროა, რომ ერთი ასო დაიჭიროს ერთ ხელში, ხოლო მეორე ასო—მეორეში. მაშინ კი ერთი ასოს უცებ დამალვა და მის ადგილზე მეორეს ჩვენება ადვილი საქმეა.

ხვის დროს მასწავლებელი, როგორც ზევით მოიქცა, უნდა „მასწავლებელს“ მათთვის უხელოებს „ი“-ს და ეუბნება შეუჩერებლივ გადავიდეთ ახალ ასოზე. ბავშვებიც ხმის განუწყვეტლივ გადადიან „ი“-ზე და განაგრძობენ კითხვას. ამასაც რამდენიმეჯერ გაიმეორებს მასწავლებელი, რის შემდეგ მოწაფეებს გამოჰყავთ სიტყვა „ია“. ბოლოს მასწავლებელი ალაგებს ასოებს შირველ თაროზე თავ-თავის ადგილას და იწეებს შემდეგ ვარჯიშობას:

მასწ. — აბა ვინ შეადგენს თაროზე სიტყვას — „ია“ მოწ. — აიღებს „ი“-ს და დადებს ზედა თაროზე, ხოლო მის გვერდით (მარჯვნივ) „ა“-ს. მასწ. — წაიკითხეთ გრძელად! მოწ. — ი. ა — კითხულაბენ გრძელად <sup>1</sup>). მასწ. — აბა ვინ შეადგენს ასოებიდან სიტყვას „ა.ი“. მოწ. — ადგენენ ამ სიტყვასაც ასოებისაგან, რომელსაც ალაგობენ თაროზე. ამ ორ სიტყვას (ია, აი) ბავშვები რვეულებშიაც სწერენ.

რაცა მასწავლებელი რწმუნდება, რომ ბავშვებმა სავსებით შეითვისეს ზემოთ მოხსენებული სავარჯიშოები, იგი გადადის შემდეგ ასოებზე. მასთან უნდა აღნიშნოთ, რომ ამ ორი ხმოვანი ასო — (ი, ა) შემდეგ მასწავლებელმა უნდა შეასწავლოს ბავშვებს უსათუფო თანხმოვანი ასო, რომ ექნეთ საშუალება გავლილი ასოებისაგან სიტყვების შედგენისა და კითხვაში ვარჯიშობის. თან ამ შემთხვევისთვის უნდა აჩუქდეს იქმნას (თანხმოვანი ასოთა შორის) შედარებით უფრო კეთილ-ხმოვანი ასო. ასეთ ასოთ ჩვენ მიგვაჩინა — ს. მას უნდა მოვინახოთ ისეთი სიტყვა, რომელშიაც იქნება უნდა ასო მხოლოდ — ს და ისიც სიტყვის ბოლოს უნდა იქნეს მოქცეული; ეს უკანასკნელი გარემოება უსათუფო უნდა იქმნას მიღებული მხედველობაში, რადგან მასწავლებელს სიტყვიდან ხმის გამოყოფა ერთი დროთ ადვილია.

ვიღებთ რა მხედველობაში ზემოთ აღნიშნულ პირობებს, ვიწეებთ (მაგალითად) შემდეგ ბასს:

<sup>1</sup>) კითხვის დროს მასწავლებელი მუდამ ყურადღებას უნდა აქცევდეს, რომ ბავშვებმა სიტყვა არ გასწყვიტონ, არამედ ერთი ასოდან მეორეზე შეუჩერებლივ გადადიოდნენ. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ და მარტო „გრძელად“ კითხვით.

## ბ). ასო—ს.

მასწ.—(მასწავლებელის ქუდი თანჯარაზე სძევს) მიუთითებს:—  
 ის ქუდი ვისია? მოწ.—ის ქუდი მასწავლებლისაა. მასწ.—რას  
 სთქვით თქვენ? მოწ.—წინადადება. მასწ.—რამდენი სიტყვისაგან  
 შესდგება ეს წინადადება? მოწ.—სამი სიტყვისაგან: ა.) ის, ბ.)  
 ქუდი, გ.) მასწავლებლისაა. მასწ.—მითხარით უკუვამ ვირველი  
 სიტყვა გრძლათ. მოწ.—...ს (ამბობენ გრძლათ). მასწ.—რამ-  
 დენ-მარცვლოვანია სიტყვა—ის? მოწ.—ერთ-მარცვლოვანი. მასწ.—  
 რამდენი ხმა გესმით ამ სიტყვაში? მოწ.—ერთი ხმა: ი, ს. მასწ.—  
 აბა მხვენეთ ასო—ი. მოწ.—ხვენებს თაროზე „ი“-ს. მასწ.—  
 მითხარით მეორე ხმა გრძლად. მოწ.—ს... (აგრძელებენ). მასწ.—  
 როცა ბავშვები აგრძელებენ ამ ხმას (ს), მასწავლებელი უცბა ახვე-  
 ნებს მათ მოდრავ ასოს „ს“-ს და ჰკითხავს: რა ასოა ეს? მოწ.—  
 ს...<sup>1)</sup> (უზანუხებენ გრძლად).

შემდეგ მასწავლებელი „ს“ ს გამომსატყველ მოძრავ ასოებსაც  
 აღაკებს ვირველ თაროზე „ა“-ს გვერდით მარჯვნივ, სწორს და-  
 ფაზე ამ ასოს და ბავშვებსაც აწერინებს ჯერ იმავე დაფაზე და  
 შემდეგ რვეულებშიაც.

მასწ.—რა ასო ვისწავლეთ დღეს? მოწ.—ს. მასწ.—აბა მ-  
 ხვენეთ. მოწ.—გადის და უხვენებს თაროზე „ს“-ს. მასწ.—აბა  
 ვინ შეტყვის ისეთ სიტყვებს, რომლებშიაც „ს“ ისმის? მოწ.—  
 სახე, საჩუკე, სიკო, სკამი, სტოლი და სხვა.

## კითხვის პროცესი.

სიტყვები: ის, სია, ასი, სასა.

მასწ.—აიღებს ერთ ხელში მოძრავ ასოს „ი“-ს, ხოლო  
 მეორეში—„ს“, უხვენებს ბავშვებს ვირველათ „ი“-ს და ეუბნება:  
 გრძლად წაიკითხეთ. მოწ.—კითხულობენ გრძლად—ი...მასწ.—

<sup>1)</sup> თვითონ მიხედობიან.

რცა ბავშვები აგრძელებენ „ი“-ს მასწავლებელი უცხო ჩამოათარებს<sup>1)</sup> მის მეორე ასო „ს“-ს და ეუბნება განაკრძეო. მოწ.—  
 შეუჩერებლივ გადადიან „ს“-ზე და ამ ასოსაც აგრძელებენ. მასწ.—  
 რამდენიმეჯერ გაიმეორებს ამ პრცესს, შემდეგ კი ორივე ასოს  
 ერთად უჩვენებს. მოწ.—გამოჰყავთ სიტყვა—ის. მასწ.—ახვენებს  
 ჯერ „ს“-ს და წააკითხებს ბავშვებს გრძლად. მოწ.—კითხულა-  
 ბენ—ს... მასწ.—უცხო ჩამოათარებს ასოს „ი“. მოწ.—შეუჩერებ-  
 ლივ გადადიან „ი“-ზე და კითხულბენ გრძლად. მასწ.—ამ სვარ-  
 ჯიშისაც რამდენიმეჯერ გაიმეორებს. რა წააკითხეთ? მოწ.—სი.  
 მასწ.—დასწოაბს თაროზე ამ ორ ასოს (სი) ერთად და ეუბნება—  
 წააკითხეთ. მოწ.—სი. მასწ.—შემდეგ ამ მარცვალს (სი) მარ-  
 ჯვრით მიუმატებს ცოტა მოშორებით „ა“-ს მოწ.—კითხულა-  
 ბენ: სი—ა. მასწ.—რა სიტყვა გამოვიდა? მოწ.—სია<sup>2)</sup>. მასწ.—  
 ალაგებს ამ ასოებს (ს, ი, ა) თავათვის ალაგას და ჰკითხავს ბავ-  
 შვებს: რა ხალი სიტყვა ვისწავლეთ? მოწ.—სია. მასწ.—რამდენ  
 მარცვლადანია ეს სიტყვა? მოწ.—ორ მარცვლადანია: ა.) სი, ბ) ა.  
 მასწ.—რამდენი ხმა გქმნით პირველ მარცვალში (სი)? მოწ.—  
 ორი ხმა ს, ი. მასწ.—აბა ვინ დამიწერს პირველ მარცვალს თა-  
 როზე? მოწ. აიღებს მოძრავ ასოებიდან „ს“-ს და დადებს პირველ  
 თაროზე, ხოლო მის გვერდით მარჯვრით „ი“-ს. მასწ.—წააკით-  
 ხეთ ეს მარცვალი გრძლად. მოწ.—სი... მასწ.—რამდენი ხმა  
 ისმის მეორე მარცვალში? მოწ.—ერთი ხმა—ა. მასწ.—ვინ და-  
 დებს „ა“-ს „სი“-ს გვერდით? მოწ.—„სი“-ს გვერდით დადებს  
 „ა“-ს ცოტა მოშორებით.<sup>3)</sup> მასწ.—წააკითხეთ გრძლად მთელი  
 სიტყვა. მოწ.—სია—კითხულბენ გრძლად განუწყვეტილივ.

1) ამ წესითაც შეიძლება სარგებლობა.

2) მასწავლებელი უხსნის ამ სიტყვას.

3) საზოგადოთ პირველ ხანებში ე. ი. სანამ ბავშვები კითხვაში  
 თვალს გაიტყნდნენ, ალაგებენ თაროზე სიტყვის შემადგენელ მარცვლებს  
 ერთმანეთზე ცოტად მოშორებით, რაც დიდათ უაღვილებს მათ სიტ-  
 ყვის წაკითხვას; სიტყვას კი კითხულობენ განუწყვეტილად, გრძლად,  
 ხმა-გაბით.



ამ წესითვე შეადგენენ ბავშვები თარბზე მოძრავი მასლების საშუალებით სიტყვებს: ა-სი, სს-სს.

შემდეგ მასწავლებელი შეადგენინებს ბავშვებს მთელ სიტყვებს მოძრავ ასოებისაგან სრულიად დ მოუყიდებლად, მიუხმარებლად:

მასწ.—აბა, ვინ შეადგენს სიტყვას: ის? მოწ.—აღაგებს თარბზე—ის. მასწ.—სიტყვას: სია? მოწ.—აღაგებს თარბზე: სი-ა. მასწ.—სიტყვას: ასი? მოწ.—აღაგებს—ასი. მასწ.—ვინ დააღაგებს: სსსს? მოწ.—აღაგებს თარბზე: სს-სს... და სხვა....

ასეთივე წესით გაივლის მასწავლებელი შემდეგ ასოებს და თვითრეულ მათგანზე თან მოყოლებულ წერა-კითხვაში სავარჯიშო სიტყვებს:

დ.) ასო—ბ.

სიტყვები: აბ, ა-ბი, ა-ბი-ა, ბა-ბა, ბის, ბი-ბა....

ე.) ასო—ო.

სიტყვები: ბ-სი, ბა, სი-ბ, სი-ბა, ბა-ბა....

სიტყვები: ეს, ე-სა, ა-სე, ხე, ხე-ხე, სა ხე, ი-სე, სე-სე....

ზ.) ასო—უ.

სიტყვები: სუ, უ-სა-ბა, სუ-სხი....

თ.) ასო—შ.

სიტყვები: ში-ბ, შუ-ა, მე-შა, ში-ში, ხა-ში, შუ-შა, შა-ში-ა....

ი.) ასო—ჭ.

სიტყვები: ხა-ჭი, ზა-ზა, ზის, ა-ჭი-ჭი, უზის, შუ-ა-ჭე...  
ზემორე ჩამოთვლილ სიტყვებს, როგორც ვთქვი, მასწავლებელი შეადგენინებს ასოებიდან და აკითხებს მოწაფეებს მხოლოდ და მარტო მოძრავი ასოების საშუალებით.<sup>1)</sup>

ამ რიგით მასწავლებელმა უკვე გაიარა ბავშვებთან უკვლას ხმო-

<sup>1)</sup> როგორც ასოებს, ისე მოკლე სიტყვებსაც რვეულზეშიაც აწერია-  
ნებს.

ვანი ასოები: ი, ა, ო, ე და უ; ხოლო თანხმევან ასოებიდან მხოლოდ—ს, ხ, შ და ზ.

ვარჯიშის ბავშვები ამ ასოებისაგან (მოდრავი ასოების საშუალებით) სიტყვების შედგენაში და მათს თარგმანზე დალაგება-კითხვაში; აწერინა ცოტადენი რეგულაციებიც და თუ მასწავლებელმა უფლები ეს თანახმით ჩვენი რჩევისა და შენიშვნებისა მოხერხებულად ჩაატარა, სრული დარწმუნებული ვართ, რომ მოწავლეებმა უკვე საგნებით შეიგნეს კითხვის მრცხის ე. ი. ისინი თავისუფლათ უკავშირებენ ერთი მეორეს ასოებს და გამჭყვავთ მარცვლები, ხოლო მარცვლების შეკავშირებისაგან—სიტყვები

მართალია, ამ დროს ბავშვები კითხულობენ ძლიერ ნელა და გრძელად, მაგრამ ამან სრულიად არ უნდა შეგვაშინოს: შირიქით, სწორეთ ამ გრძელად კითხვაშია ნამდვილი ხსნა—გრძელად კითხვა აძლევს ბავშვებს საშუალებას—სისწორით წაკითხონ სიტყვები ე. ი. არც შირიქით და არც მთავლად ასოები, რაც უნდა ჩართვალოს კითხვის უმთავრეს ღირსებათ.

მოდრავი ასოებისაგან სიტყვების შედგენა და მათი თარგმანზე რიგზე დალაგება აჩვენებს ბავშვებს მართლ-წერას: ამ დროს ბავშვი თავის გონებაში ანაწილებს სიტყვას მარცვლებათ, ხოლო მარცვლებს ხმებათ და სწერს მხოლოდ იმას, რაც ესმის ე. ი. არც უმთავრებს და არც აკლებს ასოს. ესეც რომ უმთავრესი ღირსებაა წერისა.

### კითხვა წიგნში.

ზევით მოყვანილ ვარჯიშობის შემდეგ მასწავლებელი გადადის ბ. გოგებაშვილის „დედა-ენა“-ზე (ანბანი, ხაწ, შირველი) და განაგრძობს შემდეგი ასოების გავლას ნახეჩება წესით.

„დედა-ენა“-ში ყველ ასოს წინ უძღვის სურათი. უშირველეს ყოვლისა ბავშვები ასწერენ სურათს (რასაკვირველია, მასწავლებლის ხელმძღვანელობით) ისე, როგორც თვით ავტორს აქვს მთავსებული ანბანის ბოლო ფურცლებზე (ია, ბუდე, თითი, ქათამი, ოფოფი და სხვა გვ. 32—39). შემდეგ სურათის სახელ-წოდებას (სიტყვას) დაჭყვავთ მარცვლებათ, მარცვლებს ხმებათ, გამჭყვავთ

სიტუვიდან ახალ ხმას, ეცნობიან ამ ხმის გამომხატველ ასოსს<sup>1)</sup> და კითხულობენ მასზე მოყვლებულ სიტყვებსა და წიხადადების გრძელათ და ძალიან გარკვევით პირველათ უსათუოთ თარეებზე მოძრავი ასობის საშუალებით,<sup>2)</sup> მერმე კი იმასვე წიგნში. დიას, ასე უნდა ისარგებლოს მასწავლებელმა „დედა-ენით“ პირველი სურათის და პირველივე ასოდან უკანასკნელამდე.

„დედა-ენაში“ რამდენიმე ასოს (10—15) გავლის შემდეგ მასწავლებელი თანდათანობით ამჩნევს<sup>3)</sup>, რომ მოწაფეები თვითონ სწავლობენ წიგნში შემდეგ უცნობ ასობებს. ეს გარემოება დიდათ შეუწყობს ხელს მასწავლებელს შედარებით დასჩქაროს<sup>4)</sup> ასობის გავლა ე. ი. თანდათანობით შეიძლება სიტყვების მარცვლებათ და ხმებათ დანაწილებისა და უცნობი ხმის გამოყოფის პრატესის შემოკლების, მაგალითათ: სრულიად საკმარისია ამ ხანებში უჩვენოს სურათი, ვთქვათ, კაკუკის, ააწერინოს ეს ფრანგული და შემდეგ კითხოს: ამ სიტყვაში (კაკუკი) რომელი ახალი ასო უნდა ვისწავლოთ? ბავშვები მაშინვე სწორ პასუხს მისცემენ—კ და სხვა. შეიძლება აგრეთვე შემოკლებულ იქმნას მოძრავი ასობისაგან თარეებზე სიტყვების შედგენა და კითხვის პრატესიც ე. ი. თარეებზე დალაგონ და იკითხონ ბავშვებმა მხოლოდ უფრო რთული სიტყვები, უმთავრესი დრო კი მოახმარონ თვით წიგნში კითხვას.

ის ცხრა ასო, რომელიც გაიარა მასწავლებელმა ბავშვებთან წიგნის ხელში აღებად, რასაკვირველია განმეორებულ უნდა იქნას წიგნშიც თავთავის ადგილას მით უმეტეს, რომ „დედა-ენა“-ში იმ ასობებზე, როგორც საზოგადოთ ვუვლგან, თან მოყვლებული კითხვაში სავარჯიშო მასალა განილებით უფრო მეტია, ვიდრე ჩვენ გვქონდა ანუხსული; ისიც კი იმავე „დედა-ენი“-დან იყო ამოღებული.

1) მასწავლებელი აჩვენებს მოძრავ ასოს.

2) მხოლოდ ცალკე სიტყვებს.

3) ბავშვები ამ დროს მეტად დაინტერესებული არიან კითხვით და მასწავლებლის დაუხმარებლადაც კი ითვისებენ შემდეგ ასობებს.

4) საზოგადოთ კი ამ საქმეში სიჩქარე არ შეიძლება.

## საზოგადო უნივერსალი.

ბავშვები უნდა კითხულობდნენ სიტყვებს ვრძლად, ხმა-გაბმითა და რაც შეიძლება გარკვევით ისე, რომ თითოეული ასო კარგად ისმოდეს. სრულიად ნორმალური კითხვა თანდათანობით თავისთავად გამოემუშავდება; ეს მასწავლებლისაგან მაინცა და მაინც დიდ შრომას არ მოითხოვს.

მთელი სიტყვა უნდა წაკითხულ იქნას მხოლოდ ერთჯერ განუწყვეტლად.

სიტყვის ნაწილის წაკითხვა, შეჩერება და ისევ თავიდან წაკითხვა არ შეიძლება.

სწორ-მარცვლადანი სიტყვების (მა-მა-ლი, დე-და-ლი, წი-წი-ლი, გუ-გუ-ლი, კა-კა-ლი და სხ.) წაკითხვა ადვილია, ამიტომ არც ითხოვს მასწავლებლისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას.

სამაგიერათ ძალიან ძნელია (არა სწორ-მარცვლადანი) რთულ-მარცვლადანი სიტყვების (ფქვი-ლი, წი-სქვი-ლი, სი-ტყვა, მარცვლე-ბი და სხვა) წაკითხვა. ამგვარი სიტყვების კითხვის დროს კი მასწავლებელს მართლაც განსაკუთრებული ყურადღება მოეთხოვება. ავიღოთ, მაგალითათ, სიტყვა „ფქვი-ლი“. ამ სიტყვის შიდა-კვდი მარცვლადი სავსებით რთულია: იგი შესდგება სამი თანხმადანისა და ერთი ხმოვანი ასოსაგან „ფ,ქ,ვი“ და ამის გამო ძნელი წასაკითხავია; ამიტომ ბავშვი უნებურათ ჩაუმატებს ხელში ხმოვან ასოს, მაგალითათ — „უ“-ს; ასე, რომ „ფქვი-ლი“-ს მაგიერ წაკითხავს „ფუ-ქვი-ვი-ლი“ — და სხვა. ასევე მოიქცევა წერის დროსაც. ეს რომ არ მოხდეს, მასწავლებელმა განსაკუთრებით უნდა აიძინოს ასეთი სიტყვები და მოძრავი ასოების სავსელებით თარგმნე დადასტოების და კითხვის ბავშვებს, თანაც გააფრთხილოს, რომ ასეთი მარცვლების კითხვას შეტის დაკვირვებით მოეპყრან, ე. ი. ამ შემთხვევაში წინა ასოები სთქვან ჩათვლით — ფ...ქ..., ხოლო უკანასკნელი „ვ“ შეუერთან ხმოვან ასოს „ი“-ს, მაშინ გამოვა — ფ...ქ...ვი—ლი. ამ სახითვე წაკითხავენ სიტყვებს: წი—ს...ქ...ვი—ლი, მა—რ...ც...ვი...ლე—ბი და სხვა.

ამ რიგით მასწავლებელი გაიფლის ბავშვებთან „დედა-ენი“-დან (ნაწ. I) უგულას ასოებს და ზედ მოყვლებულ კითხვაში სავარჯი-

შობებს დახლოებით 15 ნოემბრამდე, ხოლო მთელ წიგნს წაფლის კარგად 20 დეკემბრამდე. მაშინ კი ბავშვები თავისუფლად კითხულობენ და სწერენ ანა მარტო ცალკე სიტყვებს, ანამედ მოკლე წინადადებებსაც. მასთან აქვთ წარმოდგენა საუბრებულ ( ; ; ) და საკილოვნე (!) ნიშნებსაც. თავისუფლადვე და შეგნებით კითხულობენ პატარ-პატარა მოთხრობებს, ლექსებს, აწერილობას, იციან სურათების წაკითხვა და წერა, თუ ვინ რას აკეთებს ამა თუ იმ სურათზე, რაც ახვევს ბავშვებს თავიდანვე აზრის ცოცხლად გამახატვას.

ამნიარად პირველი საფუძველი წერა-კითხვის სწავლების საკმაოდ მკვიდრი შეიქნება და რამდენადაც ეს პირველი საფუძველი სწავლების უფრო მაგარ ნიადაგზეა დამყარებული, იმდენად შემდეგში სწავლებაც უფრო გააღვივდება, როგორც მოწაფისათვის, ისე მასწავლებლისთვისაც.

ამ სახით, საკმაოდ მომზადებული ბავშვი, იანვრიდან გადადის ანბანის შემდეგ პირველ საკითხავ წიგნზე, „დედა ენის“ მერვე ნაწილზე და ნაყოფიერ უკუფასსათვის თვალსაჩინო ხდება.

ან. შუბლაძე.

## ცრუპენ ტელა აღმზღელი \*).

ჩვენ იმ სამღურავის შემდეგ, რომელიც გამოვუცხადეთ ციხელს, მალევე შევხდით. ჩვენმა სიყვარულმა მისდამი მაინც არ იკლო; მაინც ისევ ექვში ვიყავით, უბრალო შემთხვევას, ჩვენს უკეთურობა-უხეირობას დავაბრალეთ, რომ ვერ გავხდით ღირსნი გვენახა ციხელის ძვირფასი სალარო: გველის თვალი, აღის სალამური, ცხოვრებაულის აბჯარი — ჯაჭვი, მუზარადი, ხმალი და ფრთა-სანთელი; კაკაბმა რომ უძღვნა ციხელს.

ციხელი ჩვეულებრივ თავის თხა-ცხვრებსა ჰმწყსიდა. ჩვენ დავგინახა, მაგრამ ყურადღება სრულიადაც აღარ მოგვაქცია. საბრალო სანახავი იყო: ისევ ის ძველი ტყავი ეცვა, ისევ ის ქუდი ეხურა, მაგრამ, ჩვეულებრივ, გვერდზე აღარ იყო შემოწოლილი: ორივე იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, გარდიგარდმო ჰქონდა კალთაში გადებული საწყემსო ჯოხი, ჩასჩერებოდა დაბლა დედა-მიწას, თითქოს ტიროდა. ჩვენ ნელის ნაბიჯით, გაუბეღავად გავწიეთ იმისკენ.

— გამარჯვება, პაპავ, გამარჯვება! — შევუძახეთ ჩვენ ერთ-ხმად, თუმცა ყველას ხმა გვიკანკალებდა, გვრცხვენოდა იმის შემდეგ, რაც ჩვენ მოხუცებულს ტყუილად შეურაცხყოფა მივაყენეთ. იპან ხმა არ გავცა, მინამ მესამედ არ დავუძახეთ გამარჯვება; მხოლოდ მაშინ ძლივს აიღო თავი და ცრემლიანის თვალებით გადმოგვხედა. მართლა ეტირნა. ჩვენ ძალიან შაგვეცოდა მოხუცი, ვიფიქრეთ: რა უნდა ატირებდეს? იქნებ ციხელის სალაროს მიაგნო ვინმე ბედნიერმა და გაქურდა? შესაძლებელია. შემოვხეხვიენით გარშემო.

— რადა სტირი, პაპავ, რა დაგემართა? ვეკითხებოდით

\*) იხ. „განათლება“ 2-5-6 1908 წ.

და გვინდოდა ჩქარა მიგველო პასუხი და თუ რამ ჩვენგან შა-  
იძლებოდა, მიგვეცა ნუგეში, დაგხმარებიყავით.

კარგა ხანს პასუხი არ მოგვეცა. ბოლოს ძლივს ნამტი-  
რალევი ხმით გვიპასუხა:

— ეჰ, — ამოიხვნეშა ციხელ მა: — დასხედით, შვილო, და-  
სხედით... რა მატირებს? რა არ მატირებს, მაშ რა მაქვს სა-  
სინარულო, აბა თქვენვე მითხარით? მუხლი აღარსად, ჯანი,  
თვალთა-ხედვა, ყურთა-სმენა!.. ბებერი ცოცხალ-მკვდარია.  
ნელ-ნელაობით კვდება კაცი, როცა ბერდება, ცოტ-ცოტა-  
ობით ცივდება, მინამ სამუდამოდ არ გაცივდება. მოხუცი  
რის-ღა მაქნისია? ეხლა მე გინდ საფლავში ვდებულვარ, გინდ  
აქა ვგდებულვარ? ასლი სასამარეო ვარ, სამიწე. სხვად აღა-  
რადა ვარგვივარ, არა, თუ არ მიწად, ან ქვად. ამას მე კარ-  
გად ვხედავ და ვგრძნობ. ნეტავი ისევ ომში მოვმკვდარიყა-  
ვი, ტყვიას გავეგმირე, ან ხმაღს გავესხიპე და ეს არ  
მეგრძნო, რასაც დღესა ვგრძნობ. მერე რამდენ ომებში ვყო-  
ფილვარ უნდა იცოდეთ და! ან კი საითა ვრჩებოდი, მიკვირს.  
აღბად ასე მეწერა; ჩემმა წერა-მწერელმა ასე დამიწერა: იცო-  
ცხლე ციხელო და ეწვალე. რისთვის ვიცოცხლე? რა გავაკე-  
თე, რა გავარიგე? ჩამოვბერდი შავად, როგორც რიყიანს ქა-  
ლაზე ბერდება მოურყანი უნაყოფოდ. ამოვვარდი ძირ-ფო-  
ჩვიანად. აღარავინ მრჩება, რომ ჩემი შესანდობარი მაინც  
დალიოს, ჩემობა ეთქმოდეს... იმით-ღა ვნუგეშობ, რომ თქვე-  
ნა გხედავთ ბაღლებს, თქვენ გიყურებთ, როგორც თავის  
შვილებს... იცოცხლეთ, დაიზარდენით! აახ, როგორ ჯავრი  
მომივიდა ჩემს თავზე, ბეწვი გასწყდა, თავი არ მოვიკალ წუ-  
ხელ, სწორედ წუხელ. ამოწვდილა ქარქაშიდან ცხოვრებაუ-  
ლის ხმალი, ტარით მეჩჩეჩება ხელში და თან მეუბნება: „შენ,  
ეი, ციხელო, ძმობილო, სულ-კურთხეულმა, დიდებულმა  
გმირმა ცხოვრებაულმა როცა ჩემი თავი ჩაგაბარა, რა გით-  
ხრა? დაგავიწყდა? ამ ხმლით ეომე საქართველოს მტერსო.  
შენ კი დასდინარ არხეინად. თხა-ცხვრებს ურიალებ, მე კი  
ქანგი მქამს, ვგდივარ უპატრონოდ. მტერი-კი ბევრია, ბევრ-

ზე ბეფრი. ესევე მისაყვედურა ცხოვრებაჲს უღის ჯაჲის პერანგ-  
 მა — ჩამიცვი ტანზე და ხმალი მოიქნიეო, ხომ იცი, მე ხმალი  
 აღვიღად ვერ გამკვეთსო. მუხარადმა; დამიდგი თავზე, რა  
 დაგემართა, რა ჰყოფილხარ? ერთხელ როგორ აღაღ მაჩვენებ  
 ომის გრიალსა და ხმლების პრანალსაო?! — საიდან, ჩემო კარ-  
 გებო! მე ვუბასუხებ: — მზა სიდიდან? დამკვლიეთ, ამხელ-ჩამხე  
 დეთ, მაქვს განა თავი თქვენის ხმატებისა, ომში შეტანისა?  
 გაბედე, უნდა გაბედდყო, ავწიე ხმალსა, ძლივს ავიღე; მარ-  
 ტო აღება ხომ არ არის, ხმალს მოქნევაც უნდა? ჩემი აღი-  
 რო მომსლოდა იქნება ის რასმე მიწამლებდა, ის შაიძლებ-  
 და ჩემს განახლებას. ნაშდვილად გამაჯვილებდა, მაგრამ ბელი  
 აღამიანს თავის სიცოცხლეში თურმე ერთხელ ეწვევა. თუ  
 მაგრა ჩაბღუჯე, შავრჩება ბოლომდე, თუ არა და მალე ისევ  
 გაგისწოტება ხელიდან. ტყუილია, რისთვის ვაუხებ ღმერთს  
 ლოცვა-მუდარით? მთელი ღამე დაჩოქილი შევბღღადებ ღმერთს,  
 რომ გამხადოს ღირსი ჩემი ძვირფასი შვილობილის ნახვისა.  
 ნუქაბა, ვრა! ამოა, ამოა, წავიდა, მორჩა. რაც შინახავ, ვე-

ღარა ვნახავ. ჩემი ვაჟკაცობა რო მომაგონდება, ღმერთო, რა ვიყავი,  
 რა? ლომი ვიყავი, ლომი, დევი. ხელს რასაც მოგავლებდი,  
 თუნდა ქანდარი ყოფილიყო, ან უნდა ამომეგლიჯა, ან მკლა-  
 ვებო ზედ უნდა დარჩენილიყო. არ შაიძლებოდა. ციხელი  
 თან-და-თან ეშხზე მოდიოდა, მისმა საუბარმა მწუხარე კილო  
 დაკარგა, მხიარულება დაეტყო და ჩვენი ჯავრის ამოყრაც  
 მოინდომა; მოიწადინა ჩვენი გაბრაზება. ჩვენ რომ ერთხელ  
 ვაწყენინეთ, ესლა სამაგიეროს გვიხდიდა.

— ჰოო, იმას გაამბობდით, — განაგრძო ციხელმა — მარ-  
 თალია გეწყენებათ, მაგრამ უნდა ვითხრათ სიმართლე და ანა  
 სიცრუე. სიმართლე კი არ უნდა გეწყინოსთ, ბაღლებო. ერთ-  
 ხელ მამათქვენებმა ჩხუბი გამიმართეს, იი სწორედ ავერ იმ  
 აღვიღას, იმედის კაკალთან, აღდგომა დღეს. ხატში ვიყუ-  
 ნით, ლუდი ვსვით, მე კარგა ქეიფიანად ვიყავ. კარახელს,  
 გეჯას, შალვას, ბერიძეს და ვახაზარეს — მათქვენებს მოვლა-  
 პარაკნათ, — ვე ციხელი როგორღაც ბიჭობს, ყოყოჩობს, მო-



დი ერთი მაგასა ვცეთო. მე რა ვიცოდი, შეზარხოშებულნი  
კაცი შინ დასაძინებლად მოვდიოდი, მოულოდნელად თავ-  
ზე დამესხნენ, დამიწყეს ცემა, ლანძღვა. ბიჭო, დადევით,  
ქკვიანად იყავით, მე თქვენი არა მმართვებს, თქვენ ჩემი, თუ  
ღმერთი გწამთ, ხელი არ გამამალღებინოთო. აბა, იმათ არ შა-  
ისმინეს. გამოვიღე ხელი, მივაყოლე. ისე გაუხადე საქმე, რო-  
სუ თავ-ბედი ვაწყევლონიე, ვიხვეწიე,—თუ ღმერთი გწამ, თა-  
ვი დაგვანებე, ხო არ გაგწყვეტო. ახლა მე გაფრინიანდი,  
ალარა ვდგებოდი. ბოლოს, კარგა რა მოვრეხვე თქვენი ჯი-  
უტი მამები...

— დიახ, დიახ, მაშ არა?! წამოვიძახეთ ჩვენ ერთ-ხმად,  
რადგან შეურაცხყოფილად ვიგრძენით ჩვენი თავი.

— ახლა, დამაცადეთ, თქვე კაი კაცებო, გითხრათ და,  
—სთქვა ციხელმა: და იქვე შორი-ახლო ზემო-სოფლებლების  
ვირები ჭბა, დავხსენი საბლები, საბლები და რა საბლები,  
კაი მაგარი ბაღნის საბლები! შაუკარ ხუთსვე ხელ-ფეხი. კარ-  
გა შავბოჭე ხუთივე, გადავაბი ერთი-მეორეზე, ცალი საბე-  
ლის წვერი ხელში დავიჭირე და სახრით დავირეკე. მივრეკე  
ყველა თავ-თავის სახლში, არავის არ გავავებინე. მამაშენი  
ცხვირით: დავაბი დიდს ძირხვეწაზე, თქვენი სახლის წინ რო-  
დგა, სწორედ იმაზე დავაბი. გაუფხვრიტე მახათით ი დიდი  
კეხიანი ცხვირის ნესტო, გაფუყარე შიგ ბაღნის ლაზლა, ბევ-  
რი მეხვეწა, მაგრამ, აბა, არ შავიბრაღე. ან რად შავიბრა-  
ღებდი? მე რო მომრეოდენ, ვინ იცის, რა ცეცხლში ჩამაგ-  
დებდენ?!. მამაშენი, —სთქვა კვალად— მაშინ დიაკვნად იყო,  
გრძელი წვერი ჰქონდა, წვერით თქვენის კარების რკინის  
კოჭაკზე დავაბი. ისიც ბევრს მეხვეწა, თუ გწამს უფალი,  
ხელები მაინც გამიხსენ. ჩემო ციხელო, მოიგონე, კაცო,  
ქრისტემ რო ბრძანა:— შეიყვარე მოყვასი შენიო. მე ვარ და  
არ შევიყვარეო,— ვუბასუხე. ხელები, გიჟი ხომ არ ვიყავ,  
რო გამეხსნა?! არც ერთსაც არ გაუფხვნი ხელები, აეშვე-  
ბოდენ და რალა ლაზათი ექნებოდა იმათ დაბმა-დატყვევებას?  
— არაფერი. — მამაშენი, — მიუბრუნდა მესამეს: — ყურებით  
თქვენის ღერიფნის ბოძზე მივაკარ ზურგით. გავაკარ რო-

გორც ჯვარზე ქრისტე გააკრეს, ორივე ყურის ბიბილოები  
 ვაფუხვრიტე, შიგ ლაზლა ვაფუყარე, შემოვახვიე ბოძსა და  
 ვაენასკვე. ბევრი მემუქრა, იტორტმანა, მაგრამ ტყუილად.  
 ვერაფერს განდა... აახ, ნეტაფი ხელთ ნებას ვიყოვო, ბუტ-  
 ბუტებდა. წელან ხო ნებას იყავ, რად მოიხდინე, რა ძალა  
 ვედგაო, მე ვეუბნებოდი.

ჩვენ უთანხმოებას ვუცხადებდით ციხელსა, ვბრაზობდით,  
 ვწყურებოდით. თითქმის შხად ვიყავით, მშობლების სამაგიერო  
 ვვებდენინა ციხელისათვის. ციხელი მაინც არა სცბრებოდა.  
 მოიცათ, შვილო, მათმინეთ, ვაიგეთ ბოლო და! რასა ჰგავ  
 ეგეთი სულსწრაფობა?! გვეუბნებოდა ციხელი დინჯად, აუჩ-  
 ქარებლად, შეუშფოთებლად.

— მამაშენს კიდევ, — უთხრა მეოთხეს, — რადგანაც ბურ-  
 ნუთი უყვარს, ცხენის თოფრა ამოვდე პირზე, შიგ ბლომად  
 თამბაქო ჩავუყარე. ხმაც არ ამიიღო, როგორც ვატყობდი,  
 კიდევ უხაროდა. ვინ იცის, რა სასჯელს მოელოდა ჩემგან  
 და რა-კი ასე მცირე და თან სასიამოვნო სასჯელით გადარ-  
 ჩა, რა ეთქმოდა, წავიყვანე და მოშორებით, რომ ცინტაობა  
 (ცხვირის ცემინება) არავის ვაფეონა, ბოსტანში რომ პანტა  
 გიდვათ, იმაზე დავაბი... მამაშენი შავიყვანე ბოსტელში, —  
 უთხრა მეხუთეს — და გრკალით ძროხების საბმელ ბაგაზე და-  
 ვაბი. ყველას შუბლზე ნახშირით ჯვარი ვაფუყეთე და ვაფწიე  
 ჩემთვის მამებს რომ ჰკითხოთ, არ გეტყვიანთ, იუარებენ,  
 კაცს სამარცხვინო ამბის თქმა თავის თავზე არ უყვარს, სა-  
 სახელოსი კი ესიამოვნება. ჰო და იმას ვეუბნებით, არ იტ-  
 ყვიან მართალს და შაიძლება დედებმა კი არ დამალონ და  
 თქვან სიშართლე, რადგან თქვენი მამები დედა-თქვენებს გა-  
 ენთავისუფლებინათ მეორე დღესა. ასე იყო, ასეთი ბიჭი ვი-  
 ყავ ჩემს ჯეილობაში, ჩემო შვილებო, და რომ სჯავრობთ,  
 რასა სჯავრობთ, განა ეხლაც-კი გვეჯავრება ერთ-ერთი მე  
 და მამა-თქვენებს, არა. ძალიანაც ვიყვარს. მალევე შავრიგ-  
 დით და როცა მოვიგონებთ, სიცილადაც არა გვეყოფნის.

— ტყუილია, ტყუილი! შენ მამაჩემს ვერ მოერეოდი,

გერა. მამანქანისა და ლონიერი არავინა არ იქნება, — სთქვა  
 ვერტმა. — მამანქანი კი უღონოა? ისეთ ძეგლებს მოიტანს შინ  
 მხრითა, უღელს ხარს გაუქირდება საზიდავად, — სთქვა მე-  
 ნორემ.

— ტყუილია, ეგ არ შეიძლება, როგორ არა, დიახ მაშ,  
 მაშ? ვიძახდით ჩვენ უკმაყოფილო კილოთი მანქანა

— ვერე კი იყო და ეხლა თქვენ იცით, სთქვა ციხელმა  
 და შემოწვა მხარ-თეძოზე; მერე ისევ წამოიწია და განაგრ-  
 ძო: — ვიცოდი, გეწყინებოდათ და მუდამაც ვერეა, როცა  
 კაცს პირში სიმართლეს ეტყვი. აკი წვლანვე ვითხარით — გე-  
 წყინებათო. გეწყინოსთ, რა ვქნა. რაც მართალია, — მართა-  
 ლია. გამოიკვლიეთ, გამოიძიეთ, თქვე კაი კაცებო და მერე  
 დაიძახეთ, ტყუილია, ეხლა ყვირილს რა ფასი აქვს?! აბა დე-  
 დებსა ჰკითხეთ, შეხვეწენით, დააფიცეთ, არ დამალონ, სწო-  
 რად იუბნონ, რაც მოიხილეს. ვინ იცის, იქნება არც იმათა  
 თქვან, ან რა სასიამოვნოა, თუ ღმერთი გწამთ ცოლისთვის  
 ქმრის განიხება? ქმარზე ავის, აუვის საუბარი. შიძლება არა  
 სთქვან, ისევ ხვეწნა-მუღარამ იქნება იმოქმედოს, თუმცა ვამბობ  
 მაინც გამეორებით, — შიძლება ხვეწნამაც არ გასჭრას. რა სასიამო-  
 ნოვნოა, არა თუ ღმერთი გწამთ ცოლმა სთქვას თავის ქმარზე  
 სთქვეყნოდ: „იმ დამეხილს ციხელს ჩემის ქმრისთვის ცხვირი გაე-  
 ხვრიტა, ძირხვენაზე დაებაო; ჩემის ქმრისთვის ყურები დაე-  
 ხვრიტა, ბოძზე მიყერაო; ჩემისათვის ცხენის აზგა ამოედვა თამ-  
 ბაქოთ სავსეო“ და სხვა-და-სხვა. არ არი ადვილი სათქმელთ-  
 მაინც ვცადენით, იქნება როგორმე მოახერხოთ და ათქმევი-  
 ნოთ, მიაშობდით, თუ ღმერთი გწამთ, ერთი რას იტყვიან.

ჩვენ ერთმანერთს გადავხედეთ, თვალებით გამოვვლიაჰა-  
 რაკეთ და თვალებითვე გადავწყვიტეთ: მოდი, მართლაც ვკი-  
 თხოთ დედებს, ვინაზოთ, რას იტყვიან, იქნებ არა სტყუ-  
 ოდეს.

მიმდოცხვდა რა ეთეათიციპ, მინმოციპ ვაჟა-ფშაველა. ითე

ეთეობდონ ოღე მინძინან მუნ სთუილტ, ათუილტ —

# მ ო ც ე უ ე ბ უ ლ ი .

ქალმა სთქვა თვალ-უუუუნამა  
 ტანის ადვის ხედ მრნეველმა  
 ვნების წაღკოტმა, ჭაბუკთა  
 გულის უწყადოდ მრბეველმა—  
 რცა ის ამას ამბობდა  
 შუბლი შეიკრა ტეე-ველმა:  
 „გოყია, ვინაჲ ერთს გტრფის,-  
 მზე ამოუდის მახედა,  
 გახელებულის გრძობითა  
 დიდადა ჭისხავს მთახედა.  
 მხოლოდ ის უკრთის თვალეპში  
 შინ შეოფს, — მიმავალს გზახედა.  
 დანარჩენთათვის ბრმა არის  
 ამოდენს დუნიახედა.  
 სხუებს ჯანლი ჭთარავს, ის ბრწყინავს  
 ხალხი რამ ისხდეს ჯარხედა;  
 წასული გულსა წაიღებს, —  
 მოსკლის დღე წელად ეტრევა,  
 თუ სატრფოს ზიანი ესმა  
 ნარა—მტრად გადაიტრევა.  
 მეც ერთს წელს ერთსა ვეტრფოდ  
 როგორც ვსთქვი ამა წესითა.  
 აწოდდა გული. . . დასლიე  
 შთელი ის წელი კვნესითა:  
 გულს აბლად ქრეულს ამლიდა  
 გრძობა ნაპერწკლებს კვესითა.  
 ღღეს კი დაფცინი ჩემს თავსა  
 ოტნებით დაბრძაკებულსა,  
 რადგან ვუმოგებე წამადი

სიღრცხლეს გაავებულსა.  
 ვსთქვი თუ დავქაქსო გულის თქმა  
 იქით და აქით მხარესა:  
 ერთი ნაწილი მზესა ჭხვდეს,  
 მეორე ერგოს მთვარესა;  
 მესამე—ჭიტა ვარსკვლავსა,  
 ქურდულად მოეღვარესა.  
 ვსთქვი და ვასრულე ნათქვამი:  
 მარჯვად ვხმარობდი თვალეპსა  
 და გაუსწარი ამითა  
 ვგელს ჭკვა მოკლე ქალებსა.  
 მას აქეთ გულ-ქვად ქრეული  
 ვგელს ვუკოტნი ხალებსა.  
 ვვლარვინ მნახავს მჭმუნვარეს  
 მამოგოთარს შესაბრლებსა;  
 ტკბილს სიზმრებს ვსინჯავ მუდამს,  
 მოკლეულს დაფცინი ტრფობასა;  
 არ დავსდევ ქვეუნის თათბირსა  
 იმის სმდურავს, გმობასა.“  
 რცა ამბობდა ამასა,  
 ვიღოდდა ტანის რხევითა,  
 ჭკრეულდა მიწდარში ვვავილებს  
 ლამახებს, გამორჩევითა.  
 თან აზრს ჭკითხავდა ბუნებას,  
 მთებს მადლებს, ჭალას ოფნილსა,-  
 მიწდარსა აბიბინებულს,  
 მზეს დიღით ამჩენილსა  
 და ირემს რქა-ბუღიანსა  
 ტუის ზიარად გამჩენილსა.

ქალის ხმა ესმა უოჩანსაც  
 მის თავზე გადმოფრენილსა;  
 თვალ-ბედიის წყენა დაეცოდა  
 სახესა ნისკარტ ღრენილსა.  
 უაგელ მხრით ბუზღენი ესმის  
 ქალს გარტებულს, რცხვინილსა;  
 ვერ უძლებს ბუნების ბრძანსა  
 შიკრიდან გადმოდენილსა—  
 ქალი კოპწია. შინც სთქვა  
 მანუგებულად თავისა:  
 „ბრძოლას ბუნებას არ ძალ-უძის  
 ცნობა კარგის და ავისა.  
 ტუუილად შებუზღუნება  
 ჩემს გასაბრძოლებს ჩსავისა!“

დრომ განვლდა ჩვეულებრივად  
 მცდელებმა კარგისა ავითა:  
 ბევრჯერ დაღამდა, - გათენდა,  
 დღე შეიცვალა ღამითა;  
 მრწებელი გუშინ აკვნისა  
 დღეს კუბოს ეჯდა თავითა, —  
 შვილს დასტიროდა შშობელი,  
 შემოსილიყო შავითა.  
 ქალიცა ვინაჲ არშოიო  
 გათეთრებულის კავითა:  
 თვალემა ჭკობობდა დაწვებსა,  
 სჩანს ადარ იფუნენ ზავითა;  
 ტუჩებსა მდურჯა ათრობლებს  
 ნასმენი უაგელ-მხარითა.

თვით ქალსაც თავისი თავი  
 აღარ ჰსურს/ნახოს თავლითა,  
 ძმაც გასდგომიყო, შვილიცა,  
 დასძვირებოიყო სსლამი;  
 აღარვის ეპიტნავება,  
 რეგორც დამწალი წაღამი:  
 ნაცნობნი ემალებოდენ  
 მსხვედრას სწყინდათ ტურფისა,  
 მიტომ რომ დროსა წაგდო  
 შევენება კალთა-უბისა.  
 ერთს დროს მშვიდი და ამაჲი,  
 გალადებულნი ბედითა,  
 ეკვდასა სწყეველის და ჭვანბდავს,  
 შეზობლებს დასდევს კეტითა,  
 ბრალაინსა და უბრალეს  
 გაბრუებულნი ბნედიითა.  
 თავის ბრალს იერის სხვებზედა  
 სიბრძნით მეტის-მეტითა,  
 მძინარაც შეფთავს, გულის იფხანს,  
 შმაგად ტუჩების კვრეტითა.  
 სწყურის სიმშვიდე სულისა  
 ერთ დროს აღსავსეს ვნებითა,  
 ველან ვაუღობს საბრალე  
 სიმშვიდეც თავის ნებითა:  
 ცარიელს სულისა არ ანდავს  
 ამოსახვერები ხერხებითა...  
 რამდენჯერ აღამაინნი  
 არ ვინით რასა ვშერხებითა!..  
 ვაჟა-ფშაველა.



# დაიშხვრო ბარემ!..

ნათით გაძიძენილი ჭრაქი უგულოდ ანათებს ნესტიან ოთახს... მისი აღისფერ-მოყვითლო სხივები უსიცოცხლოდ ეფინებიან შავ კედლებს და ისედაც გულ საკლავ ოთახის მორთულებას უფრო გულ საკლავად ხდიან. ოთახის ყოველ წერტილიდან სიღარიბე გამოიყურება, არსად სიცოცხლის ნიშან წყალი, არსად აწმყოთი კმაყოფილება... ყველაფერი უსიტყვოთაა, არაფერს არ უნდა ამ საზარელ აწმყოთი გატაცებულ ფიქრებისგან გამოირკვეს... თითქოს ყველას შეთვისებ-შეყვარებია ეს უნუგეშო სურათი, გულის დასაღონათ გააღისფერებული კედლები... სამარისებური სიჩუმეა...

ალათიც მკვდარივით სდუმს და გულ-ხელ დაკრეფილი მთხოვარის გამომეტყველებით ხან ავადმყოფ შვილს დააცქერდება და ხან ხატს მიაპყრობს მიბნედილ თვალებს და ჩალურჯებულ ტუჩების უთავბოლოთ ცმაცურით რაღაცას სთხოვს... ის სრულიად ჩამომხმარია, უფერულ სახეზე უშნოდ დაუსრიალებენ ჭრაქის ფერ მიხდილი, სიცოცხლეს მოკლებული სხივები. . . სულ ფეხზე სდგას, დაჯდომა ვერ მოუფიქრებია... თმებ აშლილი, ღარიბულად მორთული მთელის თავის არსებით დაჰყურებს თავისს უკანასკნელ იმედს—სარეცელს მწოლარე პირმშოს...

მას ისე შესისხლხორცებია შვილის სიყვარული და არსებობა, რომ ერთი წუთითაც ვერ წარმოუდგენია უმისობა... შვილის სიცოცხლე და მისი ერთი და იგივეა... თუ შვილი ცოცხალია, ისიც სცოცხლობს, შვილი მოკვდება და ისიც... თავიდანაც აგრე იყო. უდროვოდ დაქვრივებული ერთად ერთი შვილის იმედით და სცოცხლობდა, მასთან ერთად უცემდა გული... როცა შვილი იცინოდა, ალათიც იცინოდა, როცა შვილი ტიროდა, ისიც ტიროდა. ასე რომ ორი არსება ისე შესისხლხორცებია მშობლიურ სიყვარულს, რომ ერთის სიცოცხლე მეორის გაგრძელება იყო, რომ გვეითხათ ვერც

ერთი მათგანი საზღვარს ვერ დაუდებდა თავისს საკუთარ მუსიკაში. ვინაიდან მთელი თავისი არსებით ორთავეს სწამდათ, რომ მათი სიცოცხლე განუყრელათ იყო ერთმანეთზე გადაკვანძულ-გადაღებულნი... აქი სამ თვეს შვილის ციხეში ყოფნამ ასე გაანადგურა და მოსპო აღათის სხეული... და დღეს, ამ შავ ბედისწერ წუთებში, აღათის სასოება, აღათის იმედი—მიტო—საკვდილის კარსაა მისული, სულთ-მობრძავი წვეს დედის წინ... მისმა ნორჩმა არსებამ ვერ აიტანა საშინელის ცემის შემდეგ ციხის მოშხამული ჰაერი, დასუსტდა და თუმც კი გაათავისუფლეს, მაგრამ... დღეს მას სააქაოსი არაფერი ატყვია... ერთს დროს სიცოცხლით სავსე, დედის წინ მუდამ მოალერსე, პირ-მოცინარე და თვით იმედი, დღეს ყველას და ყველაფერს გულ-გრილად უტკერის: დავიწყებია დედის სიყვარული, იმ დედის, რომელმაც ის თავის სისხლ-ხორციდან შექმნა და ყოველ სულდგმულისათვის უძვირფასესი განძი—სიცოცხლე—უწყალობა... ერთ დროს ცეცხლის მფრქვეველის თვალებით ის ეხლა დედას თითქოს კიდევ ადანაშაულებს, ამადლის რაღაცას. თითქოს აყვედრის: თუ ასე უღრვოდ მოვისპობოდი, თუ ასე ხან-მოკლე იყო ჩემი ქვეყნიერი ცხოვრება და ნეტარება, რაღად მაჩენდი, რაღად შემქენიო...

დედა კი ვერაფერ ამის მსგავსს ვერ ამჩნევდა უსაყვარლესის არსების გამომეტყველებაში და რეტ-დასხმული, ისიც სრულებით უაზროთ ჩასჩერებოდა ღონე-მიხდილს შვილს...

— დედაა!.. ამოგჯა უცებ გულის შემზარავი ამოძახილი ავადმყოფის გულის სიღრმიდან და მთელი ოთახი თითქოს შეტკრთა, თითქოს მას ამოეკვნესოს ეს სიტყვა და არა ხნეულს... კრაქიც შეტკრთა, მანაც შიშით მიახალა თავისი სხივები კედლებს და გულ-დასერილ დედას თვალი არიდა...

— ა, დედა, აგერ ვარ, ნუ გეშინია!.. გაისმა პასუხათ სრულებით ცივი და სიტკბოს მოკლებული დედის სიტყვები.

სად წავიდა მისი ალერსით გაჟღენთილი შვილისადმი მიმართული ყოველი ხმა? რამ გააქრო, რამ შთანთქა? რისთვის არ დაესიტყვა ის თავისს პირმშოს უწინდებურათ სი-

ყვარულით აღსავსე ხმებით, რისთვის არ ჩააქსოვა მან თავის პასუხში შეილისადმი განუხაზღვრელი სიყვარულის სინაზე, სიღრმე და სინარჩარე?..

ამის პასუხს მთელი ოთახი გეტყვისთ, ამას იქაურობა აგისნისთ ყველაზე და ყველაფერზე უფრო მქვერ-მეტყველათ!.. აბა ჰკითხეთ ნესტიან კერს რა გითხრასთ? აბა დაეკითხეთ უგულო კედლებს, რა გაიმბოთ? ალათის კი ნურაფერს ჰკითხავთ, ნუ შეაწუხებთ, ნუ გააწყვეტინებთ შავ ფიქრთა მორევში ცურვას... ნუ!..

— შეილო... შეილო!.. ჩემო სასოებავ, ჩემო იმედო!.. კიდევ წამოისროლა სევდით განგმირულმა დედამ და ქანდაკივით მდგომს ოღნავათაც არ შეუტყვლია თავის სხეულის მდგომარეობა...

— დედა!.. ამით-ლა უპასუხა მას მისმა იმედმა, სასოებამ, მისი სიცოცხლის დასაწყისმა და დასასრულმა...

უცებ ალათი მოსწყდა ადგილიდან და ტყვიით განგმირულივით მიუჩოქა შეილის სასთუნალთან დაკიდულ ღვთის-მშობლის ხატს...

მისი სურათი იმ წამსვე აღბეჭდა ერთგულმა კრაქმა შავ კედლებზე.

— ღვთისმშობელო! შესძახა ალათიმ ხმის კანკალით. იმ წამსვე ჩაჰკვდა ეს სიტყვები ნესტიან ოთახის ბნელ კუნჭულებში, არავინ არ გამოხმაურებია მას...

— ღვთისმშობელო- გაუმეორა. ყოვლად წმიდა თითქოს შეინძრა და მის წინ დაჩოქილ ქალს თვალეში ჩააცქერდა...

— გესმის, ღვთისმშობელო?! შენს წინ დედაა დაჩოქილი, დედა! მას პირმშო ეცლება ხელიდან!.. უკანასკნელი იმედი ეკარგვის!.. შენ რას ეუბნები მას, რა იმედს უტოვებ?.. ღვთისმშობელო! მე გეკითხები მე, გულ-დასერილი დედა!..

ალათის ხმა ჰკრთოდა, ის უსაზღვრო თხოვნას და მასთან გულის-წყრომას გამოხატავდა ..

ღვთისმშობელი კი ისევ იმ მდგომარეობაში იყო, მისი სიყვარულით აღსავსე თვალეები ისევ ისევ მშვიდათ გამოიყურებოდნენ.



— დედა!.. დედა!..

არც ეს სიტყვები მოქმედებდენ ღვთისმშობლის სულზე და გულზე.

— გესმის, ღვთისმშობელო, ეს ჩემი შვილია, ეს ჩემი შვილის უკანასკნელი ამოძახილია! რათ მართმევ, მითხარი? რა დაგიშავე, რა შეგცოდე? ღვთისმშობელო, მაჩუქე პირმშო, დამითმე!.. ის ჩემი იმედია, ამომავალი სულია! ნუ წამართმევ!.. გემუდარები მე, მე დედა მისი, მისი მშობელი, აღმზრდელი... შემობრალე! შენც დედა ხარ წამების ჯვარზე გაკრულისა!.. შენ იცი დედის გული! შენც იტანჯებოდი შვილის ტანჯვით, შენც, ღვთისმშობელო! შეიბრალე უნუგეშო დედა, რომელსაც გარდა ამ შვილისა არაფერი გააჩნია ამ ქვეყნად!.. დედაო ღვთისაო, მომინდვია შენთვის ეს ჩემი პირმშო, შენ მომიჩინე, იყავ მისი პატრონი და მფარველი... შენ დაუბრუნე მას უწინდელი ჯანმრთელობა და სიცოცხე!.. ნუ მომისპობ უკანასკნელ იმედს, შენ ყველაფერი შეგიძლია, შემავედრე შენს ძეს—იესოს, მანც იცის დედის გული, ის იყო, რომ წამების ჯვარიდან შენ—მისი ღვიძლი დედა, განუგეშა!.. ის მეც მანუგეშებს, მაჩუქებს ჩემს შვილს, ჩემს სისხლსა და ხორცს, ჩემს მიტოს! ღვთისმშობელო, ოღონდ მომიჩინე ჩემი მიტო და ერთის წლის განმავლობაში მე ხორცი არ ვჭამო, ფეხ-შიშველი ვიარო, მიტომ კი მისი სიმაღლე სანთელი და ფული მოგართვას საწინდრად!..

აღათი წრფელის და სარწმუნოებით აღსავსე გულით ემთხვია ღვთისმშობლის ხატს და კვლავ ქანდაკივით გაუჩერდა მას წინ.

ახლა, ამ წუთში, მან უკვე ჰპოვა მხსნელი, მშველელი, რომელიც შეიბრალებს ტანჯულ დედას და აჩუქებს პირმშოს. ეხლა თითქოს უწინდებურად ჯანსაღი და მხიარული ჰყავდეს თავისი მიტო, რადგან დარწმუნებულია, რომ ღვთისმშობელი დაეხმარება მას, უშველის, შეიბრალებს... სასოწარკვეთილ აღათის იმედი მიეცა, გულს კაეშანი მოეშვა და სიხარულით უყურებს ღვთისმშობლის ხატს, მისს იმედს, მხსნელს... არაფერი არ ახსოვს რწმენით გატაცებულს... „მაჩუქებს, მო-

მირჩენს ღვთისმშობელი ჩემს შვილიკოს, მან იცის დედის გული, ის უმოწყალებია“, ჰფიქრობს დედა და გულში ჩარკობილი ეკლები თან-და-თან შორდება, გააღმასებული სამართებლის ტრიალი ჩერდება მის ძვალ-რბილში.

მან გაგანიერებული თვალები მიმოავლო ჩაფიქრებულ კედლებს და უკმაყოფილება გამოეხატა სახეზე... თითქოს უსაყვედურა იქაურობას: რა არის, რათ ხართ უწინდებურათ მოწყენილნი? რათ არ გიხარისთ გული, როცა მე ხსნა ვპოვე, როცა ჩემს ბნელეთით მოკულ გულში განთიადმა ამოაშუქაო...

— დედა! დედა! ისევ გასმა გულის გამგმირავი კენესა.

— ა, დედა! შენთან ვარ, შენთან! ნუ გეშინია, ჩემო შვილიკო, ნუ! ღვთისმშობელი მომირჩენს შენს თავს, მაჩუქებს... მე მას შევევედრე, შევევფეწე... ის გულკეთილია, ის დედის შემბრალება...

ამ სიტყვებით აღათი შვილს ლოგინზე ჩამოუჯდა და მილოლულ თვალებში თავისი გაუყარა. მისი იმედი, მიტო, უაზროთ აცმატურებდა თეთრ კბილებზე გადაკრულ თხელ და ჩაღურჯებულ ტუჩებს... ძლივს აღებდა ფერმკრთალ თვალებს, რომელნიც ისე ამოანათებდნენ ჩაღრმავებულ უბეებიდან, როგორც ქის ძირიდან ვარსკვლავები... სანთლათ ქცეული ხელები დაჭრილივით ეყარა იმ გულზე, რომელიც ამ რამოდენიმე თვის უკან ისე იწოდა ქეშმარიტების ალით, მაშვრალთადმი სიყვარულით... დღეს კი ძლივს-ღა ცემდა...

ამ სურათის დანახვაზე შავმა გველმა გაიკლაკნა მრავალტანჯულ დედის გულში და სიცოცხლის მომპობი შხამი ჩაეწვეთა არსებაში... საშინელმა სურათმა ელვასავით ჩაუქრო ხსნის იმედი, მაგრამ იმ წამსვე ღვთისმშობელს შეხედა და კვლავ იმედს მიეცა, დააღწია თავი შავი გველის შხამს... თუმც რამოდენიმე ცრემლი, მისდა დაუკითხავად, გადმოუნაკადულდა მიბნედილ თვალთაგან და შვილის საბანს ჩაექსოვა...

— ღვთისმშობელო, შენ არ წამართმევ ჩემს შვილიკოს, მაჩუქებს!.. ამ სიტყვებით მან კვლავ მიუჩოქა ხატს. — მას სი-

ცოცხლე უნდა, ქალწულო, მე მისი თავი მინდა, მე უმისობა არ შემიძლია, მისი სიცოცხლე ჩემი ბედნიერებაა, ის ჩემი ღვიძლი შვილია! შენ კარგად იცი, რომ ის-ღაა ჩემი პატრონი, მეტი მე არავინ გამაჩნია, მისის იმედით და ვცოცხლობ ამ ქვეყნად!.. მიშველე, მომირჩინე ამ გზობით! და რაც დაგპირდი, ავისრულო, მოვართვა! შენთვის მომინდვია მისი სიცოცხლე.. დეე, მანც ილოლოს მიწაზე სხვებთან ერთად კიდევ რამოდენიმე წამი!.. ნუ თუ ღვთისთვის ერთი აღამიანის სიცოცხლე ასე საძნელო იქნება... ღვთისმშობელო, მისმინე!..

ღვთისმშობელი კი კვლავ სრულიად მშვიდად და წყნარად ათვალისწილებდა იქაურობას თავის ღმობიერებით აღსავსე თვალებით და მავედრებელ დედას თითქოს უღიმოდა.

აღათისაც თან-და-თან ემატებოდა იმედი. ღვთისმშობლის მომღიმიარე თვალეებში რა არ ამოიკითხა? ის ფრთებასხმული მოუბრუნდა ავადმყოფს და თავისებურის სიყვარულით ჩაჰკოცნა, ჩაეკრა ჩამქრალ ბაგეებში... ისინი ოდნავ თბილნი იყვნენ და ხან-და-ხან თითქოს კიდევ ჰკრთოდნენ..

დაიმედებულმა აღათიმ თავისუფლად ამოისუნთქა, ყელში გაჩრილი ბურთი მოიშორა და ლოგინთან მიჩოქილმა შვილის ფეხებზე ჩამოდო თავი... იმ იმედით, რომ შვილი მოურჩებოდა, მისი გული დაშვიდდა, დაწყნარდა მწვავე ტანჯვისა და ბოზოქრობის შემდეგ...

თითქმის ერთის კვირით უძინარ დედას მაშინვე თვალეები მიეღულა...

და აი მისი მიტოვ კარგად ჰყავს, ჯანმრთელად ჰყავს, უწინდებურათ სიცოცხლით სავსეა, მერცხალივით დაქიკქიკობს, მთა-ბარს ეთამაშება, დედას გულს უხარებს, უცისკროვნებს... ძველებურად შრომობს, იღვწის, მისის სიცოცხლით ხარობს, მხიარულობს... თან მშვენიერი დღეებია, ყველაფერი ვარდისფრადაა მორთული, მიწა ხავერდითაა დაფენილი... ჰაერში ოქროს ფრთებიანი ჩიტები დაქლურტულეებენ და ვერცხლები მიმტბორავ რუებს თავს დასრიალებენ... აღათიც იქა თავისი მიტოთი... ისინიც თვალ-წარმტაც წალ-

კოტში რაღაცაზე შრომობენ... აი ღვთისმშობელიც მშვიდი და წყნარი სახით. მომღიმარის ტუჩებით... თითქოს უნდა დაელაპარაკოს ბედნიერ დედა-შვილს... აი ესაა გააღლოს ტუჩები, აი... მარა ამ დროს ალათის აგონდება მიტოს ავადმყოფობა და ღვთისმშობელმა უნდა უთხრას, მოუჩივებოთ თუ არა ის... ყოვლად ქალწული კი სრულებითაც არ ჩქარობს, თითქოს არც კი თანაუგრძნობს დედის გულის კვნესას... მარა ალათი ამდენს ვერ ითმენს და თვითონ მიაძახებს: მორჩება, მორჩებაო?..

— უი ჩემი ცოდვა! წამოიყვირა ამ წამოძახილზე დედამ და ძაფივით ჩამოკიდებულ გულზე ხელები მოიჭირა...

— უჰ, რა ნეტარებაში ვიყავი!.. უჰ!.. და ის მიაჩერდა ხატს.

— შვილო! წარმოსთქვა ანგარიშ მიუცემლად და მთელის მშობლიურის სიყვარულით აღვზნებულ შვილის ტუჩებს დაეკანა...

მარა ოჰ, უბედურობავ! მიტოს ტუჩები ყინვასავით იყო... სიცოცხლის უნარი დაეკარგა, უკანასკნელი სითბო გაჰპაროდა.

ის გაქვავებულიყო, უძრავად იყო, ძვლებზე შემდნარი ხორცი ყინვასავით გადაქცევოდა... არ იყო ალათის იმედი, უფსკრულს შთაენტქა...

— ღვთისმშობელო, ეს რაა? შეჭკივლა დაქრილ ღომივით ალათიმ და ელვასებრ მივარდა მას.

— ეს რაა მითხარი?! ამით მანუგეშე დედა, ამით? ამას მოველოდი შენგან? რათ დამაიმედე!.. ნუ თუ არ შეგეძლო ჩემი რწმენა გაგემართლებია? ჩემი მიტო გეჩუქებია?... ჩემი გულწრფელი ვედრება აგესრულებია?!. აკი დაგპირდი!!! ღვთისმშობლის ხატი კი ისევ ისე იყო, ისევ გულ-გრილად და სრულებით აღუშფოთებლად უსმენდა გულ-ამოძღვარ დედას...

ალათიმ საშინელის სისწრაფით და კბილების ღრქენით ჩამოგლიჯა ის ადგილიდან, დაუქრო წმიდა სანთელი და ხელებში დაჭერილს ჰკითხავდა...

— ღვთისმშობელო, მარჯეი, რა ვქნა აწი? რა მიქენ-  
ეს?.. განა არ შეგეძლო, განა?..

ის კი—ღვთისმშობელი—ისევ წყნარი, ისევ მშვიდი,  
ისევ უგრძობია...

— დაიმსხვრი ბარემ!!! დაიმსხვრი, თუ მეტი არ შეგი-  
ძლია!!! შეჭკივლა ალათიმ და იმ წამსვე ხატი მიწას დაათ-  
შენა...

— დაიმსხვრი... მოისპე!.. თუ მეტი იმედის მოცემა არ  
შეგიძლია!.. აგრე... აგრე!.. შვილო... შვილო!.. იძახდა  
ალათი...

კედლები ისევ სდუმდენ, კრაქიც უგულოდ იღრიკებო-  
და, მიტო კი გალოდებული ესვენა...

ვ. მალაქიაშვილი.

წელს ჰეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლოზ მარრი სამეცნიერო აკადემიის წევრად აირჩიეს. ნ. მარრი დღეს თვალსაჩინო მეცნიერად ითვლება. თავისი გამოკვლევებით ქართულ და სომხურ ენასა და ისტორიაში მან დიდი სახელი მოიპოვა. ნ. მარრი დაუღალავი მკვლევარი და მუშაკია. წელიწადი არ გავა ისე, რომ მისი ახალი რამ გა-



პროფ. ნიკოლოზ მარრი.

მოკვლევა, ახალი თხზულება არ გამოვიდეს. მან წარსულის ბევრ საიდუმლოებას მოჰფინა ნათელი, ბევრი რამ ახსნა და განმარტა.

აკადემიკოსი მარრი დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1864 წელს, მაშასადამე, იგი ამ ქამად სულ 45 წლის კაცია. მამა მარრისა ვადმოსახლებული ინგლისელი იყო (მეზაღედ იყო ქუთაისის გუბერნიაში), დედა გურული ქალი. ნიკ. მარრი

ქართულად აღიზარდა და გულითა და სულით ნამდვილი ქართველია.

ქუთაისის გიმნაზიაში კურსის დამთავრების შემდეგ მარრი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1888 წელს, სამი წლის შემდეგ იგი ამავე უნივერსიტეტში პირვატ-დოცენტად მიიწვიეს სომხურ სიტყვიერების კათედრაზე.

კვლევა-ძიებას მარრმა ჯერ ისევ სტუდენტობის დროს მიჰყო ხელი. იკვლევდა მეცნიერულად ქართულ სიტყვიერებას. 1886 წელს „ივერია“-ში მოათავსა საინტერესო წერილი ამ სათაურით „ბუნება და თვისება ქართულის ენისა“. ამ წერილში მარრმა პირველად აღნიშნა მწერლობაში ის, რომ ქართული ენა სემიურ ჯგუფის მონათესავე ენაა. მას შემდეგ გამოვიდა მრავალი თხზულება მარრისა: „აღწერა ოთხ სახარების სპარსელ ხელთნაწერისა“. „სპარსულ ლიტერატურის გავლენა ქართულზე“; გამოვიდა რამდენიმე წიგნი სომხურ-ქართულ ფილოლოგიის შესახებ. საყურადღებოა მეოთხე წიგნი „ტექსტები და გამოკვლევანი ქართულ და სომხურ ფილოლოგიისა“. ამ წიგნში ავტორი დაწვრილებით ეხება შავთელსა და ჩახრუხაძეს. 1906 წელს გამოვიდა მისი წიგნი ი რუსულად „საქართველოს ისტორია“ და მრავალი სხვა.

მეცნიერულ კვლევა-ძიების გარდა ნიკოლოზ მარრი ყოველთვის გაფაცოცებით ადევნებს თვალ-ყურს საზოგადოებრივ ცხოვრებასაც. საქართველოს, მის წარსულსა და აწმყოს შესახებ მარრის მრავალი წერილი მოუთავსებია სატახტო ქალაქის გაზეთებში. იგი ყოველთვის მედგრად იცავდა ქართველობას. მარრი მონაწილეობას იღებდა იმ თათბირშიაც, რომელიც სინოდთან გაიმართა ავტოკეფალიის შესახებ. მან საბუთებით აშკარად და ნათლად დაუმტკიცა ყველას, რომ ძველად საქართველოში ავტოკეფალია არსებობდა.

ნიკ. მარრი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია. იმისი დიდი ნიჭი და დაუღალავი მხნეობა თავდებია, რომ კვლავაც ბევრ რასმე შესძენს მეცნიერებას („დროება“).



# წინასწარი ცნობა

ქართულის ენის სემიტურს ენებთან ნათესაობის შესახებ.  
წერილი პროფ. ნ. მაროშის<sup>1)</sup>.

ქართული ენა არის შეტად ნიშნული წარმომადგენელი განსაკუთრებულის ლინგვისტიკურის შტოსი, რომელიც თავის მხრით ენათესაება სემიტურს ენათა შტოს. ამ განსაკუთრებულს შტოს, სემიტურის შტოს მონათესავეს, ეკუთნიან გარდა ქართულისა და მასთან ძმურად-დაკავშირებულის ცოცხლის კილგაკავებისა, ე. ი. გარდა აგრედ წოდებულის ქართულის ანუ ივერულის ჯგუფისა (უკეთ: ქართულის, ივერულის და სვანურის ჯგუფისა), აწ შევადარი ენებიც. ამათგან ზოგიერთნი, თუმცა ჯერ კიდევ ჭიბთეტიურად შიხნეულნი ქართულის მონათესავედ, მისწვდენნი არიან ჩვენის გამოკვლევისათვის მხოლოდ ეპიგრაფიულს ნაშთებში (როგ. მაგ. სუზური (ელამური), სხვები—ახლანდელის შერეულის ტიპის ენების შედგენილობაში, როგ. მაგალითად სასომხეთის არიელთა წინანდელი ენა, ძბაქრის და მრავალ-რინცხოვანის ნატამლებით დალეკილი იმ ენაში, რომელიც ცნობილია ფართე საზოგადოებაში, და შეცნეირებაშიაც—მხოლოდ „სომხურის“ სახელწოდებით.

ახლად მინაკვლევა ლინგვისტიკური შტო პირობით იწოდება ჩემ მიერ „იაფეტურად“, იმ სახელით, რომელიც წინად იხმარებოდა ინდო-ევროპულის ენათა ჯგუფის ასანიშნავად, მაგრამ ამ აზრით არ იქნა მიღებული და კარგი ხანია რაც გადავარდა ხმარებითგან.

1) ეს წერილი წინ მიუძღვის საგრამატიკო ტაბულებს, რომლებიც შარშან დაბეჭდა პროფესორმა მაროშმა ცალკე წიგნად ამ სახელით: Основные таблицы къ грамматикѣ древне-грузинскаго языка съ предварительнымъ сообщеніемъ о родствѣ грузинскаго языка съ семитическими. ამ შრომის შესახებ ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ჩვენ დაგებულთ, „განათლებლის“ № 3—4-ში.



წინა აზრით ანიჭების (ინდო-ევროპელების) გამოჩენამდე აფეთქური შტო თავის სამხრეთის წარმომადგენლებით შირდაპირ მეზობლობდა სემიტურს ენებთან. მე განგებ ვხმარობ ტერმინს „შტოს“ და არა „სახლობას“, რადგან სემიტური ენები, ისე როგორც აფეთქური ენები, თავისთავად წარმომადგენენ განსაკუთრებულს ნაწილებს, შტოებს ერთის სახლობისას: სემიტური შტო მხოლოდ აფეთქურს შტოსთან ერთად შეადგენენ ერთს ლინგვისტიკურს სახლობას, რომლისთვისაც სახელწოდება ჯერ კიდევ მოსაგებებელია, თუ არ ვინდომებთ მიმდევრობის გულისთვის ვუწოდოთ მას „ნიკიტური“, თანახმად ბიბლიურის ტერმინოლოგიისა, საითგანაც აღებულია ტერმინები „სემიტური“ და „აფეთქური“.

ქართულის ენის სემიტურს ენებთან ნათესავობის ლინგვისტიკური საფუძვლები მოკლედ შეიძლება გამოთქმულ იქნენ შემდეგს სამს დებულებაში:

1. ქართულის ენის ფონეტიკა ენათესავება სემიტურის ენების ფონეტიკას. სხვათა შორის, ქართული ენა, რომელიც სემიტურთა მსგავსად წარმომადგენს თანხმოვანთა მეტის მეტად განვითარების მაგალითს, შეიცავს მათებრ ხარხის ბგერების სიმდიდრეს და მრავალსახეობას. სემიტურის ყ-ის მქონებელს ძველის მაგარის გამოთქმით, აქვს მათებრ მეტად ნიშნული ხმის კახანები, მაგ. კარდაცვლა სსს-გბილის ბგერებისა ხარხის ბგერებად, როგორც წ-ის ყ-ად და სხ. ქართულს აქვს აგრეთვე სემიტურის ენების მსგავსი ხმოვანთა სისტემა: ქართულშიაც ძირეულია არიან სამი მარტივი ხმოვანი, ა (მის ცალით ე), ი (მის ცალით ე), უ (მის ცალით თ), და ზოგიერთს შირობებში ნახევარ-ხმოვანების მაგიერობის გამოწვევი სუსტი თანხმოვანები ღ და ჳ.

2. მორფოლოგიაში თავი და თავი ნათესავობა გამოიხატება იმით, რომ ქართულში ხმოვანები არიან მახვილებები ეტიმოლოგიურის კატეგორიებისა, ხელთ რაც შეეხება ფესვებს, ისინი შესდგებიან მხოლოდ თანხმოვანთაგან, როგორც სემიტურს ენებშიაც. სემიტურის ენების მსგავსად ქართული ენა მორფოლოგიაში სარგებლობს მარტო სუფიქსებით კი არა, არამედ პრეფიქსებითაც.

3. ფესვებში ქართულს ენას ანათესავებს სემიტურს ენებთან როგორც ის ძირეული დებულება, რომ ფესვის ბგერები არიან

მხოლოდ თანხმობანები, ისე ის ნაშენული მოვლენა, რომ ქართული ფესვები სამსარკინებისა ანუ, რაღაც უფრო იშვიათია, რასწარაობანები.

უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართული ენა ენათესავება სემიტურებს არა მხოლოდ ამა თუ იმ თეორეტიკულის დებულებით წარმოდგენილს საზოგადო ფორმულაში ფონეტიკის, მორფოლოგიის და ფესვების, აგრეთვე, რასაკვირვლია, სინტაქსის შესახებ, არამედ თვით რეალებითაც. ამხარად ქართულის ფესვების ნათესავობა სემიტურებთან არ ჩერდება მესამე მუხლში მისხუნებულს მთავარს მოვლენებზე, ის მიღის უფრო ღრმად, შეიცავს ვეგლა ცალკე ლექსიკონს ფაქტებს, რადენადაც, ერთის მხრით, სემიტურს ენებს, მეორე მხრით, ქართულს ენას დაუცავთ ერთი და იგივე ფესვები, რომლებიც მე ჯერ-ჯერობით ვპოვე საერთო სასამდე ცალკე შემუშავებულის იაფეტურ-სემიტურის შედარებითის ფონეტიკის მიხედვით. ამხარად, მორფოლოგიაში ასეთს ნამდვილს ნათესავობას ამჟღავნებენ უწევებული ხმოვანები, დამახასიათებლები ამა თუ იმ კატეგორიებისა, და ფაქტურით თავურა მორფოლოგიურის კლემენტებისა, მაგ. ქართულში არა თუ სამი ძირეული საბრუნავია, როგორც არაბულში, რომელსაც შენახული აქვს ვეგლაზე მეტად სემიტური ბრუნვა, არამედ ხმოვანი მარწეულებიც ამ საბრუნავებისა იგივეა: სახელ. *o* (უ-ითგან), ნათეს. *a* (დაწეებითი) და მიცემ., resp. შემსმ. *a*. ქართული ბრუნვა იზიარებს არა მხოლოდ საბრუნავთ დაბოლოებათა ხმოვანის მარწეულების იგივეობას, არამედ მათში დამათავებულის თანხმობანის უფინასაც, ამასთან იაფეტურ-სემიტურის შედარებითის ფონეტიკის მიხედვით ქართულს ენაში დამათავებულს თანხმობანად გამოდის *s*, კანონიერი დარი სემიტურის *š*-სი, რომელიც ამხარად იქნება არ უნდა უფილიოფი მიდებული მარტო რთოვრკაფიულს მოვლენად ებრაულს საბრუნავს დაბოლოებაში. ამას გარდა იმავე მიზნისთვის ქართულმა ენამ ნატამალის სახით დაიცვა სხვა თანხმობანებიც, სახელდობრ *n*, როგორც არაბულში (ნუნაცია), *m*, როგორც ებრაულში (მიმაცია), *g*, როგორც ასურულში, ვიტყვით ჩვენ, რომ დაბოლოებაში *uv*, *iv*, *av* თვით ასარილოვებს არ გადაწევიტათ წაკითხათ უაღვილად ებრაულს მიმაცის მიწავარად: *um*, *im*, *am*, და სხ. სწო-

რედ აგრეთვე ქართულში არსებობს არა მარტო ორი ძირეული ფორმა ვნებიანის გვარის მიმღებობისა, რეგორც სემიტურებში, არამედ ხმავანი მარხევიც ერთისა უ, მეორის ა ერთნი ანუ ცხადად მონათესავენი არიან იმასთან, რასაც ვხედავთ სემიტურს ენებში. ანუ კიდევ—ქართული არა თუ სარგებლობს მონათესავეობაში ვრეფიქსადის წარმოებით, რეგორც სემიტური ენები, არამედ თვით ამ წარმოების ელემენტები ქართულს ენაში ერთნი ანუ მონათესავენი არიან სემიტურს თანაგვარებთან, მაგ. მწარმოებელი მ ამა თუ იმ ხმავანთან ერთად, ხან უხმავანდაც, რამელიც იხმარება მწარმოებელს ვრეფიქსად მიმღებობათათვის და აგრეთვე მიმქმედის პირების სახელებისთვის და სხ.

უკეთესს შემოწმებად ჩემ მიერ მტკიცებულის ნათესავეობისა, განსაკუთრებით ხვეწთვის, ქართულის მკვლევარებისთვის, უფრო დამამტკიცებელს საბუთად მის სასარგებლოდ ხდება ის, რომ მის შემწებობით მიხეწნდა ბოლოს შეგნება ქართულის ენის აკებულებისა და გამორკვევა მტკად რთულის, გადაწყვეტელის საკითხებისა ქართულს გრამატიკაში, მაგალითად, ქართულის ზმნების უღვდილებისა. ვუთითებ სამაგალითოდ ზმნებზე, რადგან მათ შემუშავების სისრულე ადვილად შეიძლება დანახულ იქნას ქვემოთ წარმოდგენილის ტახტების (№№ XI—XX) დასწავლებულის განცხობით.

თავის თავად განსაკებია, რომ ქართულს ენაში არის ბევრი, ძალიან ბევრი რამ ისეთი, რაც მას აშორებს სემიტურებისაგან. ამიტომაც ის არ შეიძლება ჩაითვალოს სემიტურად: ის მხოლოდ მონათესავე სემიტურებისა რადენადმე, სახელდობრ იმ დროს რადესაც სემიტურები ძმურად მონათესავენი არიან ერთმანერთისა, ახლანდელი წარმომადგენლები იაფეტურის შტოსი, მათ რიცხვში ქართულიც, იმეფებიან სემიტურებთან ბიძაშვილების, ორთა ძმთა წინაპარ-სემიტურისა და წინაპარ-იაფეტურის ენების შვილების დამკვიდრებულებაში. იაფეტურის და სემიტურის ენების უფრო დამკვიდრებელი ნათესავეობას ხარისხი ადებს განსაკუთრებულს ფასს სარკვევს მოფლენას: ნათესავეობის შორეულობა გვიხსნის იმედებს ნაყოფიერის შრამისას სემიტურთ ენათა კვლევისათვისაც. მტკად მახლობელი ნათესავეობა სემიტურის ენების ერთმანერთში დღევანდ-

ღამდე წარმადგენდა უმთავრესს დაბრკობებს შედარებითი მეთოდის განვითარებისათვის სემიტურის ენების შესახებ. ზოგიერთი მეცნიერები, მაგ ბოკლემანი, ცდილობენ დაამტკიცონ ამ დაბრკობების ძალა შით, რომ სწინაბენ მის უარებით მნიშვნელობას მხოლოდ ცოტადნად ახლა აბუნად აგდებულის საკითხისთვის სემიტურის წინაპარ-ენის შესახებ, მაგრამ მის არსებობას არავინა ჰყოფს უარს. ეს დაბრკობება ახლავე ისპობა ანუ, უფრო სწორედ იქნება ითქვას, მოისპობა იმ დროდგან, როდესაც უმადვალე შესწავლა ჩვენი ენებისა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სემიტურებთან უფრო შორეულის ნათესაობით, და წინა-საქმიანი გამოყენება შათში მთავრებულის უხვეულო მასალისა და პირველს შეხედვასე უცხო ბგერათა მფლენისა მისცემენ სემიტურთ ენათა ცოდნას ნამდვილს შეძლებას განვითარდეს ახალს უფრო ფართო კარგმისამზინადში.

ქართულის ენის სემიტურებთან მონათესავეობის ცნობის შემდეგ სწორის და ყოველმხრივის შემუშავებისათვის ამ მეტად რთულის საკითხისა უმადობელესს მორიგს საქანად მიმანია ენათა იათუტურის შტოს განსაკუთრებულის თვისებების რადენადც შეიძლება სისრულეთ გამოჩვენება. ამ საქანის შესრულებას თავის მხრით უნდა მიუძღოდეს თვითულის მის წარმომადგენელის კრამატიკის დაწვრილებითი გამოჩვენება. რომ ამ მხრით ქართულმა კრამატიკამ პირველს ხანს უნდა მიიპყრას ჩვენი განსაკუთრებითი ყურადღება, ეს ეჭვს კარეშა, რადენადც ქართულს ენაში დაცულია უფრო ძველებურის სხიით და უმეტესის სისრულეთ ღინგვისტიკური მასალა. მისი მონათესავე ენები, ვანურის ღურსმულის წარწერების ენა და აგრეთვე სურსურის (ელამურის ანუ აგრედ წოდებულის მედურის) ღურსმულის წარწერების ენა ჯერ კიდევ არ არიან გარჩეულნი ფონეტიკურად სწორედ. ამიტომ უველა იათუტურთ ენათგან ეს არის ერთად ერთი შედარებით წმინდად დაცული კულტურული ენა: ქართული წარმოდგენილია არა მარტო დიალექტურად ცოდნალს კილლებში, გურულს, იმერულს, ქართლულს და სხ., როგორც მის მონათესავენი სვანური—თავის კილლებში და ივერული—თავის დიალექტებში, ჭანურს და მეგრულში შათ კილლებითურთ, არამედ ისტორიულადც, სულ ცოტა თონხმეტის საუკუნის სიგრძისე,

მრავალს წერილობითს ნაშთებში ჯერ სასულიერო მწერლობისა, ხოლო X—XI საუკუნეთგან საერო მწერლობისა. <sup>1)</sup>

1) მთარგმნელის უენიშვნა. პროფ. მარს უენიშვნებში მოჰყავს მრავალი მაგალითები იმისა, თუ რომელი ქართული სიტყვა რანაირად არის მონათესავე სემიტურის ენების სიტყვებისა. აი ის სიტყვები: მზე, მსახური, სამხარი, სამხრეთი, ბზინვა, ფერება, კარი, დიდი, ქერი, ბილიკი, სვლა, ფიცი, ბუ:ე, ბადე, ფაცერი, გვამი, ქარი, არვე, ფენა, სული, სუნი; სძალი, სძე, სიძვა, სიმამრი, სილა, სერი, სვვა, სისნო, სლექვა, სახლი, სასთაული (სართუმალი), სად, სულელი, სპოლვა, სწორი, სენი, სიო, სრბა, სრესა, სგრა, სხდომა.

დ. კარიჭაშვილი.





# ბიბლიოგრაფია.

ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა  
ქვემო ქართლელისა გამოც. ზაქ. ჭიჭინაძისა 1903 წ.

ეს პატარა წიგნაკი შეიწავს სულ 36 გვერდს. თავდაპირველად წერილი დასტამბული უოფილა 1877 წლის „ივერიაში“, სიდახნაც ბ-ნ ზ. ჭიჭინაძეს გადმოუბეჭდია და გამოუცდა ცალკე წიგნაკად. წიგნაკი საუურადღებოა იმ მხრით თუ ამ 30—40 წლის წინად რა თვალსაზრისით განიხილავდნენ სკოთხს ჩვენი ხალხის განათლების შესახებ და რა ღონისძიებას ასახელებდნენ ხალხის უმეტრების წყვდიადიდან გამოსაყვანად და გასწავლებლად. მაგრამ რომ გულდასმით წაიკითხოთ და დაუგვირდეთ უოფელ მოსაზრებას და სურათს ამ სტატიაში გატარებულს და აღწერილს, ნათლად წარმოგიდგებათ თვალწინ დღევანდელი სურათი ხალხის უმეტრებისა, თითქოს ავტორი ეხება დღიურ ვარაშს და არა იმას, რაც უოფილა ორმოცი წლის წინად. წერილში გატარებულია აზრი ხალხის სწავლად განათლების დემოკრატიულ ნადავზე მოწყობის შესახებ, მშვენივრად და უკლისად არის დახატული სოფლის ხალხის ცხოვრების სურათები; სადი და პედაგოგიური მოსაზრებებაც გატარებული დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ, რუსული ენის წერა-კითხვის დაწვების შესახებ მესამე წლიდან, აღნუსხულია წესი სამეურნეო განათლების ევროპის განათლებულს სახელმწიფოებში და ნახვენებია თუ რა გზას უნდა დაადგეს ქართველი ერი ამ მხრით. მოხსენებულა იმ აუარებელი თანხა, რომელსაც მთავრობა ხელგაშლილად ურიგებდა სხვა და სხვა უცხოეთიდან გადმოსულ პირებს იმ მიზნით, რომ ვითომ მეურნეობა უნდა გაეგრძელებინათ ჩვენს ხალხში, მაგრამ ამას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია ჩვენის მხვნიელ-მთესველებისათვის.

შეიძლება ზოგიერთ წვრილმან კითხვებში, დღევანდელ პირობების მიხედვით, ვინმე არ დაეთანხმოს წერილის ავტორს, არ დაეთანხმოს იმ საშუალებაში, რასაც ავტორი ასახელებს, იქნება მან უკეთესი საშუალება დასახელოს, მაგრამ მიუდგომელ კითხ-

ველს იტაცებს ის სიყვარული, საქმის ცოდნა და გამჭრიახობა, რომლითაც განმსჭვალულია ავტორი წერილისა.

სიამოვნებით ვურჩევთ ამ წიგნაკის წაკითხვას ჩვენი ხალხის განათლების გულ-შემატკივართ.

სტატია ეკუთვნის ჩვენს დაუღალავ მსწავლან მოღვაწეს ნ. ზ. ცხვედაძეს.

ილ. ალხაზიშვილი. ბუნება და ცხოვრება (მგზავრის დღიურიდან) თბილისი 1897 წ.

ეს წიგნი, რომლის სათაურიც ზევით ამოვწერეთ, ბევრს სურსადღებო, საჭირო სამეცნიერო და საეტიკოგრაფიო ცნობებს შეიცავს. უკვლავ ცნობები, ბუნების შეტყუველებას შეეხება იგი თუ ასტრონომიას, საქართველოს რომელიმე კუთხის ხალხის ცხოვრების აღწერას თუ ბუნების მოვლენათა ასხნა-განმარტებას, მარტივად, უკვლასათვის გასაგებად და კარგის ერთ ან რამდამცემუდომთხრობის კილოთი. სამწუხაროა, რომ ამისთანა მშვენიერს წიგნს ჩვენში გასაფალო არ აქვს. ის უნდა მოიპოვებოდეს უკვლავ სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველთაში, უკვლავ სკოლის ბიბლიოთეკებში ერთი კი არა რამდენიმე ცალი, ის უნდა შეადგენდეს ჩვენებურ სახალხო მასწავლებელთათვის სახელმძღვანელო წიგნს, რომელშიაც ბევრს სურსადღებო ცნობებს ამოკითხავს უკვლავ მასწავლებელი და ცოცხალი სიტყვებით თვალსაჩინოდ გადასცემს საჭირო ცნობებს, როგორც თავის მოწაფეებს, აგრეთვე ხალხსაც, რომელშიაც დღევანდელი მასწავლებელი მნათობ ვარსკვლავივით უნდა ტრიალებდეს და ყოველის მხრით ავრცელებდეს განათლების სხივებს.

გასტონ ტისანდრე. მეცნიერებისთვის წამებულნი. თარგმნილი ა ნიკიტინის-მაიკ 48 სურათით. გამოსცმა ძმ. თავართქილაძეების წიგნის მდარბისა. ფასი 1 მანეთი.

თუ დღეს კაცობრიობა განათლების მხრით წინ მიდის, თუ დღეს ბევრს უკემნია განათლების სიტკბობა, გამოსულა ველურ მდგომარეობიდან და გამხდარა ადამიანად, თუ დღეს რომელიმე უნს დიდი ხნის თავ-გამოდებითი ბრძოლით მოუბრუნებია ადამიანური ცხოვრების უფლებება, უკვლავ ეს არის ნაყოფი იმ თავ-განწირული მეცნიერთა მოქმედებისა, რომელთაც თავი შესწირეს მეცნიერებას და კაცობრიობას მოუვლინეს სანატრელი აღმოსავლენის ხანა.

არ ცოდნა იმისი, თუ რომელ მეცნიერს რა ღვაწლი მიუძღვის ამ თუ იმ მეცნიერების დარგში, რა გადახდათ თავს დიდებულს მეცნიერებს და რა გატაცებით უმღვანისათ კაცობრიობის სსსარგებლად, პირდაპირი დანაშაულობაა ეგვლა ერისათვის, რომელიც შესდგომია კულტურულ განვითარების გზას. მიუხედავად იმისა, რომ ეგვლა შეითხველი ამ დიდებულ მეცნიერთა ცხოვრების და ღვაწლის აწერილობისა განიშსჭვალება დიადის აზრით და აღმაფრენით, რაც ასულდგომულებდა ეოველს მეცნიერებისათვის წამებულთ, იმავე დროს აღივსებთან ზიზღით იმ პირთადმი, რომელნიც კრიტიკაში უდგნენ და ათას გვარ წამებას აყენებდნენ კაცობრიობის მოკეთებს. ბრძოლა კაცობრიობის მტერთა და მოკეთეთა შორის თანდათან ჰქრება და გამარჯვების დროშა ბოლოს მოკეთებს რჩებათ ხელში. მაგრამ რამდენი უმანკო სისხლი დანახუვლა ზვარჯვად, რამდენი მეცნიერი გამოსაღმებია წუთისათვის მტარვალთა წყალობით, რამდენი საუნჯე დაუმარხავს ამით საუკუნით კაცობრიობას, ამასაც გვასწავლის ის წიგნი, რომლის სათაურიც ზემოთ არის ამოწერილი.

სამწუხაროდ დღევანდელ სკოლებშიც უფრო მეტს უურადლებას აქცევენ იმ კარგიმებას თუ რომელიმე ბატონოს თავადებულ სარდალს როგორ გაუნადგურებია, მიწასთან გაუსწორებია მრავალ საუკუნეებით შეგრძობილი ნაყოფი განათლებისა, დაუმარხებია ერი და ცდილა ამ უკანასკნელის მოსპობა განადგურებას, მაგრამ იმავე დროს სკოლებში იმდენ უურადლებას არ აქცევენ იმ ფაქტს თუ რა ჯანაწივევით და თავ-განწირული შრომით უღირდა მეცნიერთა ის ღვაწლი, რაც საშვილი-შვილად გადასცეს მათ კაცობრიობას. უსუსუს ამის შესახებ შეითხველი ამოკითხავს დასახელებულს წიგნში.

წიგნი მშენიერის გნით არის ნათარგმნი. შიგ ჩართული სუკათებიც კარგია. ამ წიგნის გავრცელება ჩვენში აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს.

პოლობერი. ბუნების ცოდნა. წელიწადი მოსამზადებელი, აღამანი, ცხოველები და მცენარეები, მინერალები, ქვები ჩვეულებრივი მოვლენები. ფრანგულთ ნათარგმნი პ. სურგულაძის-



მიერ. გამომცემს ქ შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. ფასი 25 კაპ.

ამ უკანასკნელ დროში უველგან დიდ უურადლებას აქცევენ ბუნების მეტოველების შესწავლას სკოლებში. მართლაც თუ ბავშვმა არივის ბუნება, რაც მის გარშემოა, არ შეუძლია დაუკვირდეს, ახსნას, განმარტოს ბევრი რამ, რაც ბუნებაში ხდება, ისეთი ბავშვი განუვითარებელია და გონებითაც სუსტი. ვველა განათლებულ კრს ამ მხრითაც მრავალი წიგნები მოეპოვება. ბევრია ამ გვარი წიგნები რუსულ ენაზედაც, ქართულად კი თითო ოროლას თუ აზვით, ისიც კარგი. ერთი ამგვარ წიგნთაგანია „ბუნების ცოდნა“ პოლბერისა, რომელიც უთარგმნია ბ-ნ ვ. სურგულაძეს და რომლის არსებობაც ღვემდის ბევრმა არც კი იცის.

პოლბერს, გერმანულ პედაგოგს ვიდემანს და ბევრს სხვებსაც ვისაც შეუდგენიათ თვალსაჩინო სწავლებისათვის სახელმძღვანელოები, სხვათა შორის ერთი საზოგადო ნაკლულევანება აქვთ, რაცა საუბარს პირდაპირ ადამიანიდან იწყებენ, მაგრამ მასწავლებლისათვის სრულიად საჭირო არ არის სასტიკად მიჭუკვს იმ დღეებს მასწავლისას, რაც სახელმძღვანელო წიგნებშია, მას თავისუფლად შეუძლია სხვა გზა აირჩიოს და ისე წარმოვოს სწავლების საქმე. ერთის შენეღვით მართლაც იმაზე უმანდობელესი სხვა არ არის რა ჩვენთვის, როგორც საკუთარი სხეული, მაგრამ მისი ანალიზი სრულიად აღემატება ბავშვის ძალას. ადამიანის აზროვნების საზოგადო განვითარების ბუნებას თუ მავაქცევთ უურადლებას, შევნიშნავთ, რომ ბავშვები თავდაპირველად მეტს უურადლებას გირეგან ბუნებას აქცევენ და მხოლოდ ბოლოს ხდის თავის ორგანიზმს დაკვირვების საგნად. ცნობილია აგრეთვე რომ თავისი თავის განცნობა სულიერად თუ ხორციელად, მისი განვითარების პირობების ცოდნა ადვილი საქმე არ არის და არც ბავშვები მოითხოვენ ამას პირველ ხანებში. ყოველ შემთხვევაში საიდან უნდა დაიწკოს მასწავლებელმა საუბარი ბავშვებთან ეს თვითონ მასწავლებელზეა დამოკიდებული და მისს პედაგოგიურს უნარზე.

წიგნში მრავალი სურათებია, რომელიც თვალსაჩინოთ ხდის საუბრის საგანს. ყოველ საუბრის შემდეგ საჭირო კითხვების წამოყენებული, ამის საშუალებათ მოწაივე ადვილად ითვისებს საუბრის

საგანს, თითოეული განყოფილების ბაღში მოთავსებულია საზოგადო კითხვები, რომლის პასუხი შეიცავს ნასწავლის შინაარსის მთავრად გამოვლენას. ბაღში ჩართულია თემები წერისათვის.

არ შეგვიძლია დავეთანხმეთ მთარგმნელს ზოგიერთი ტერმინების შესახებ. მაგალითად რძით შევება ანუ ძუძუს-მწვანარ ცხველებს „ძუძონებს“ ეძახის, „ხაში“ წყალი, მტკნარი წყლის მაგიერ. რაც შეეხება ხის ტანის აკებულობას ასეთი ტერმინები აქვს ნახმარი: „ქერქი“. „ახალი ფენა“ „რბილი გული“ „მაგარი გული“, „შვავული“ (იხ. გვ. 62) ამინარად გამოდის, რომ ხეს ხაში გული ჰქონია. ხის ტანის შესახებ ჩვენში ასეთი ტერმინები უკვე შემოდებული და ბერძენულს ხმარებული: ფერფლი, ქერქი, ახსკა, ცილა, ხე ანუ შერქანი და ბაღას გული.

თარგმანს ენის მხრით არა უშავს რა, რომ ზოგიერთი კორექტურული შეცდომები არ აუშნობდეს მაგ. „უველა ეს გამაფრთხილებელი ზომები შეადგენენ ჰიგიენას, ანუ სიმართლის(?) დაცვის ცოდნას“ (გვ. 19).

ამ წიგნის საშუალებით მოწაფეები გაიცნობენ არა მარტო ბუნებას, არამედ განისმკვავლებიან ჭეშმანიური დამაკადებულობით ცხველ არსებასთან, რასაც დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს.

საზოგადო წიგნი დიდად დასაწყისი სკოლების მასწავლებლებისა და საზოგადო ბავშვების ამღობრდელთა ურადლებისა და მისი გავრცელებაც ჩვენში სასურველია.

## მედი უკულმართობის გამეფება სკოლებში

(წერილი დასავლეთ საქართველოდან)

ვის არ ახსოვს ის ყოვლად უწმაწური მუნჯური მეთოდი, რომლითაც ჩვენი სახალხო სკოლების მასწავლებლები ტვირს ულაცებდნენ და ნორჩ გონებას უჩლოუნგებდნენ მოზარდ ახალგაზრობას, ვის არ ახსოვს ყველასაგან ცნობილი ამ მეთოდის სულის ჩამდგმელი ლევიცი თავისი დაგერშილი აგენტებით. ჟრუანტელი გივლის ტანში, როცა გაგახსენდება ის აუტანელი ტანჯვა-წვალება, რომელსაც განიცდიდნენ სა-

ბრალთა მასწავლებლები და მოწაფეები ამ მეთოდის წყალობით, მასწავლებლობა ერთ ვეებერთელა ჯარის კაცთა რაზმს წარმოადგენდა, რომელიც ვალდებული იყო სავსებით დამორჩილებოდა უფროსების ბრძანებას; და აი ამოდენა ჯარი მედგარი იერიშით მიექანებოდა ნორჩი გონების დასაჩლუნგებლად, ტვინის გასალაყებლად, ყოველი შემოქმედებითი ძალების მოსაკლავად მოზარდ ახალგაზდობაში.

უფრო აუტანელი იყო ის გარემოება, რომ მასწავლებლებს, წინააღმდეგ სურვილისა და ელემენტალური პედაგოგიური მოთხოვნებისა, ვალდებულათა ხდიდნენ ესწავლებინათ თვით ლევიცკის მიერ შედგენილი ყოველად უსისტიემო სახელმძღვანელო წიგნებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნები მოწონებულიც კი არ იყო სათანადო დაწესებულებების მიერ. ასეთს სისტემატიურ ტანჯვის ხანას განიცდიდა ჩვენი დასავლეთ საქართველოს სახალხო პირველ-დაწყებითი სკოლა, სანამ განმათავისუფლებელ მოძრაობის სიომ არ დაპბერა ჩრთილოეთიდან და გაშეშებული, მანქანად ქვეული მასწავლებელი არ გამოაფხიზლა, არ წამოაყენებია თავისი **მე.** დიან, 1904 წლიდან იწყება მოძრაობა მასწავლებელთა შორის. პროგრესიული ელემენტები აფხიზლებენ თავიანთ მოძმეებს, აგონებენ ხალხის მუშაკის მოვალეობას, იწვევენ მათ კოლექტიური მუშაობისკენ სკოლის გასახლებლად. ნიადაგი თან და თან მზადდება. იბადება აზრი მასწავლებელთა კავშირის დაარსებისა. დადგა 1905 წელი, მოძრაობა უფრო ფართოვდება. კავშირი უკვე მუშაობს, აღგენს საკუთარ პროგრამას სახალხო სკოლებისათვის და განახლებულის გეგმით თავისუფლად შედის სკოლებში. მთავრობა უარს ჰყოფს თავის ძველ სასწავლო გეგმას. ხელს არ უშლის მასწავლებლებს იმოქმედონ თავისუფლად, „ოღონდ ღია იყოს სკოლის კარები“. ასე ეუბნებოდა მასწავლებლებს გუშინ სასტიკი ბრძანებელი, დღეს კი მომბალი სახალხო სკოლების დირექტორი. მთავრობა ჰპოულობს არხივში 1881 წლის გეგმას და ციკულიალური ბრძანებით ავალებს მასწავლებლებს ამ გეგმით სარგებლობას დროებით, ახალი პროგრამების

შემუშავებამდიო... დადგა რეაქცია — აღსდგა დირექცია. მან დაუგზავნა ყველა სკოლებს დაბეჭდილი გეგმები 1881 წლისა და დაავალა მითი ხელმძღვანელობა სწავლების დროს. მასწავლებლები უმეტესად თითქმის მთელი 1906 წლის განმავლობაში არ იშლიდნენ განეგრძოთ განახლებული პროგრამებით სწავლის წარმოება სკოლებში. რეაქციამ თან და თან ფრთები გაშალა. დირექციის დაგერშილი და გარწვრთნილი მოხელეები წელში გაიმართნენ, თან და თან შეეპარენ სკოლებს, ხმა აიმაღლეს, ბრძანების კილო ასწიეს, პოლიტიკანობა იწყეს, თვით 1881 წლის გეგმასაც ძირის თხრა დაუწყეს. მასწავლებელთა სუსტი ძალები უკვე მიიძხრეს. მათის წყალობით ფაქტიურად სკოლებში კვლავ ძველი პროგრამები გააშეფეს... ბევრ სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლება წინააღმდეგ გეგმისა, რუსულს ენაზედ სწარმოებს. წერა-კითხვას რუსულს ენაზე იწყებენ პირველი განყოფილებიდანვე. ზოგიერთ ორკლასიან სკოლებში მეოთხე და მეხუთე განყოფილებაში ქართულს სრულიად არ ასწავლიან. დიშის სკოლაში მე-4 და 5 განყოფილებაში წარსული წლის 1-ლ ენკენისთვიდან დეკემბრის 20-დის არც ერთი ქართული ენის გაკვეთილი არ ყოფილა, იშვიათად ნახავთ სამინისტრო სკოლას, რომ საღმრთო სჯულს უცხო ენაზედ არ ასწავლიდნენ (მოთხრობებს, ლოცვებს) მეორე განყოფილებიდან დაწყებული. (ეწერის სკოლა, დიშის, ბაღდადის, ბანოჯის და სხვა....) სამწუხარო უფრო ის არის, რომ ასეთს პოლიტიკას მასწავლებლებიც ხელს უწყობენ და გულუბრყვილოდ აცხადებენ: „რუსულად რომ არ ვასწავლოთ „გაროდის“ კლასში არ მიიღებენო, ცხოვრება თხოულობსო და სხვა“, ასე ესმისთ ზოგიერთ მასწავლებლებს სახალხო სკოლის დანიშნულება. გამარუსებელ პოლიტიკას ერთგულად ემსახურება ცნობილი სუდაკოვი... მან თავისი გამოცდილი პროპაგანდით ბევრი უბრინციპო სოფლის მასწავლებელი აათამაშა, მოთაფლა და როგორც უნდოდა ისე აალაპარაკა... სახალხო სკოლებში რომ ბაზარი მოიპოვა, ახლა ქალაქის სკოლებს დაუტრიალდა და იქ ეწევა პროპაგანდას „რუსულად ასწავლეთო“. ქალაქის ერთად ერთ საქალგობო ორკლასიან სკოლაში მოწერილობის ძალით საღმრთო სჯულსაც უკანასკნელ ორ განყოფილებაში, რუსულად ასწავლიან, როდესაც თვით სამინისტროს განკარ-

გულებით ამ საგნის სწავლება განაპირა ქვეყნებში სხვა ტომის ხალხთათვის უნდა სწარმოებდეს დედა ენაზე. რად არ აქცევს ქალაქის საბჭო ამ საკითხს ყურადღებას არ ვიცით...

გამარჯვებულ პოლიტიკას უფრო გადგმული აქვს ფესვები სამეგრელოში. აქაური სკოლების ინსპექტორი აზმაფთვი თან და თან აძევებს ქართულ ენას სამეგრელოს სკოლებიდან.... დროა გამოფხიზლდნენ თვით სოფლის მასწავლებლები, მოქალაქობრივი სითამამით აღიჭურვონ და შემოპარებულ პოლიტიკას სკოლის საქმეში ნაძლის თვალთ შეხედონ; ეს დიდ გმირობას მათგან არ მოითხოვს.... მაგრამ რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ ისეთის მასწავლებლებისაგან, რომელნიც ამჟღავნებენ გაზეთების ფურცლებზე კორპორაციების შესახებ ისეთს რასმე, რაც დღევანდელს პირობებში შეუწყნარებელია, დანგრევა რისამე ადვილია, აშენება მხოლოდ ძნელი და ეს კი არ ეპატიებათ ქუთაისის დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს, ვინც პირველად იკისრა ეს სადუხჭირო როლი!

დევნა და გადასახლება მასწავლებლებისა ქუთაისის გუბერნიიდან ამ ბოლოდროსაც გახშირებულია — ოზურგეთის მაზრიდან გადასახლეს სამი მასწავლებელი. 28 თებერვლიდან ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გადასახლებულ იქმნა საგენერალ-გუბერნატოროდან ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობაზე არსებული საქალაქო სკოლის გამგე ვ. ბურჯანაძე, ამ გადასახლების დაჩქარებაში დიდი მუყაითობა გამოიჩინა ადგილობრივმა დირექციამაც.

ქუთაისში სასკოლო კომისიამ შეიმუშავა გეგმა საყოველთაო პირველ დაწყებითი სწავლის შემოღებისა და სკოლის ტიპისა; მაგრამ არ ვიცით რა დასტური დასდო ქალაქის საბჭომ ამ გეგმას, ვიცით მხოლოდ, რომ დირექციას არ მოუტლია ქალაქის გამგეობის მიერ შემოწმებული გეგმის განხორციელებისათვის და თავის მხრით აღუძრავს შუამდგომლობა მზრუნველის წინაშე მომავალ სამოსწავლო წლიდან ხუთი სამინისტრო სკოლის დაარსების შესახებ ქუთაისში. როგორ შეხვდება ქალაქის თვით-მართველობა დირექციის ასეთს პოლიტიკას ამას მომავალი დაგვანახვებს.

განდგომილი.

